საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 სექტემბერი პარასკევი 2011
№230 (13527) ფასი 80 თეთრი

ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

შენგელიას პირველი ნაბიჯი ევროლიგისკენ

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** ბელგიური „შარლერუას“ შემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ბელგიელები ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უკრაინის „დონეცკს“ დაუპირისპირდნენ და ორქულიანი სხვაობით დაამარცხეს - 61:59.

თორნიკემ 13 წუთი ითამაშა, 5 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

„შარლერუა“ მომდევნო მატჩს 1 ოქტომბერს გერმანიის „ალბასთან“ გამართავს. თუ შენგელიას გუნდმა ბერლინური ბარიერიც დაძლია, ითამაშებს საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში, რომლის გამარჯვებული ახალ სეზონში ევროლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს მიიღებს.

გუშინ ევროპალიგაზე

7

აეკ-შტურმი 1:2. გიორგი ფოფხაძე (მარცხნივ) და ხოსე კარლოსი

რუშმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ბოლო ჯერის მოლოდინი

8

კოკაია გელაშვილს ტრანსფერს შეჰპირდა

ინტერვიუ ნიკოლოზ გელაშვილთან

2

ჩვენი ნაცნობების პაექრობა

ინტერვიუ

ზამთარი, როგორც მიცემული სიტყვა. თანაც, პრეზიდენტის კოკაია გელაშვილს ტრანსფერს შეჰპირდა

ნიკოლოზ გელაშვილი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ 2008 წლიდან თამაშობს და მას შემდეგ მუდამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. მოახდინა თუ არა გია გეგუჩაძის გუნდიდან წასვლამ გავლენა „ბრიუგესთან“ მატჩზე და როდის წავა გუნდიდან თავად გელაშვილი - „ლელო“ ნიკოლოზ გელაშვილს ესაუბრა.

- გია გეგუჩაძემ „ზესტაფონი“ „ბრიუგესთან“ მატჩის წინ დატოვა. იქონია ამან გავლენა შედეგზე?

- ვერ ვიტყვი, რომ იქონია. პირველი თამაში 3:3 დავასრულეთ, ასე რომ, უშუალოდ შედეგზე ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია. მცირე ფსიქოლოგიური მომენტი ნამდვილად იყო, მაგრამ არც ისეთი, გარდატეხა რომ შეეტანა თამაშში.

- ბრიუგესთან“ მსაჯთა გადაწყვეტილებები საკამათო იყო...

- პირველი მატჩისას ამან მართლაც იმოქმედა, მაგრამ მეორე შეხვედრაში გვაჯობეს. თბილისში პირველივე წუთებზე ისეთი გოლი ჩათვალეს ჩვენს კარში... გასვლაზეც იგივე მოხდა, მაგრამ გამოვარდნას მსაჯს ვერ დავაბრალებთ. მოგვიგეს და გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

- ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრები ტრავმებით ჩაატარე. ზედმეტად ხომ არ გარისკე?

- ტრავმები ნამდვილად მქონდა, მაგრამ გარისკვით არ გამირისკავს. ექიმები ამის შესახებ გამაფრთხილებდნენ და თამაშის უფლებას არ მომცემდნენ.

- ჩემპიონატი არასტაბილურად დაიწყეთ: ქულა „კოლხეთთან“, „დინამოსთან“, შემდეგ გამანადგურებელი მარცხი „დილასთან“... გუნდი გადაიღალა?

- რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც არის. უფრო ადრე დავიწყეთ მოსამზადებელი პერიოდი, დიდი ხანია, ვვარჯიშობთ. „მეტალურგს“ მოვუგეთ, მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ. „დილასთან“ წაგება კი უფრო შემთხვევითობა იყო.

- რა შეიცვალა გუნდში გია ჭიაბრიშვილის მოსვლის შემდეგ?

- რომ გითხრათ, რაიმე ძირეულად შეიცვალა-მეთქი, ასე არ არის. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს. ესაა და ეს.

- „ზესტაფონის“ ბოლო წლების ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელი ხარ, შესაბამისად, სატრანსფერო თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო...

- ჩემამდე ინფორმაცია არ მოდის, რომელი გუნდია დაინტერესებული ჩემით. მოლაპარაკებას უშუალოდ კლუბის პრეზიდენტთან აწარმოებენ. როგორც ილია კოკაია შემპირდა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში გამიშვებს, თუ სათანადო გუნდი გამოჩნდა. შემოთავაზება რეალური უნდა იყოს.

- ჩემი ინფორმაციით, ყაზანის „რუბინი“ მზადაა, შენს ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს. თუ იცი, რა აფერხებს ამას?

- „რუბინზე“ ვერაფერს გეტყვით, უკვე გითხარით, რომ ტრანსფერებზე უშუალოდ კლუბის პრეზიდენტთან მიდის ინფორმაცია. რომც ვიცოდე, რა აზრი აქვს? „ზესტაფონთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და ჯერჯერობით ამ გუნდის ფეხბურთელი ვარ.

- ესპანეთში შეკრებისას ინციდენტი მოხდა - შენ და გიორგი ხიდეშელი იქიდან დაგითხოვეს. კულუარებში ამბობდნენ, რომ ეს ჩაშლილ ტრანსფერებს უკავშირდებოდა, ისიც ითქვა, რომ შენ და ხიდეშელმა იჩხუბეთ...

- ტრანსფერებთან ამას კავშირი არ ჰქონია, გუნდის შიდა განაწესი დავარღვიეთ. ხიდეშელთან კი არანაირი კონფლიქტი არ მომსვლია. დისციპლინის დარღვევის გამო გამოგვიშვეს.

- ბოლო წლებია, ჩემპიონატის ერთერთი საუკეთესო თავდამსხმელი ხარ, თუმცა საამისო ყოველგვარი ჯილდო გაუქმდა. გწყინთ, რომ ასეა?

- ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთი პრიზები უნდა იყოს. ნებისმიერ ქვეყანაში დაწესებულია ჯილდოები საუკეთესო ფეხბურთელისთვის, თავდამსხმელისთვის და ასე შემდეგ. სამი წლის წინ ერთადერთხელ მივიღე ასეთი პრიზი, შემდეგ კი გააუქმეს, არადა, ამით ხომ ისტორია ინერება! ფეხბურთელებს გარჯა, სიმამაცე და სტიმული არ უნდა დაუკარგონ — ნლეულს თუ მე გავხდი საუკეთესო, მომავალ წელს სხვა გახდება. გული მწყდება. ეს ყველაფერი აუცილებელია. ვიღაცამ ხომ უნდა გაიგოს, რომ საქართველოში საუკეთესო გახდა ესა და ეს ფეხბურთელი? მით უმეტეს, „ზესტაფონმა“ წლეულს ძალიან კარგად ითამაშა და ჩვენი გუნდიდან ბევრი იმსახურებდა ჯილდოს.

- ჩემპიონატშიც და ევროსარბიელზეც საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშე, თუმცა თემურ ქცებაიამ ნაკრებში აღარ გამოგიძახა. შენი წარუმატებელი სანაკრებო თამაში იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ შენს პოზიციაზე არ თამაშობდი?

- ჩემს პოზიციაზე მართლაც არ მითამაშია, იქ, სადაც „ზესტაფონში“ ვარ ჩვეული, მაგრამ ნაკრებს როცა და სადაც დასჭირდება და რასაც მწვრთნელი გეტყვის, იქ უნდა ითამაშო. გული მწყდება, რომ ვერ გავამართლე იმ პოზიციაზე, სადაც დამაყენეს. გამოუძახებლობაზეც მწყდება გული. ყველა ფეხბურთელის მიზანი ისაა, ეროვნულ გუნდში ითამაშოს.

მაგდა კლდიაშვილი

ლეგიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიშვილის გუნდში დიდი ამბებია

უფრო სწორად, დიდი ფულის და სახელების ამბავია

თავად ნუკრი კი კრასნოდარს ელაპარაკება

გუშინ მახაჩყალის “ანჟის” მეპატრონე სულეიმან კერიმოვი მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი თანამდებობიდან გაათავისუფლა. მის ნაცვლად კი მოთამაშე-მწვრთნელად რობერტო კარლოსი დანიშნა, რომელსაც ალექსანდრე გორდეევი დაეხმარება. დაღესტანში ჩასვლამდე ბრაზილიელს კონტრაქტში ჩაუწერეს, რომ სურვილის შემთხვევაში სეზონის ბოლოს “ანჟის” ჩაუდგებოდა სათავეში. ასე რომ, ეს ამბავი არც ისე მოულოდნელი იყო.

გაჯიევის გათავისუფლების მიზეზი არ დაკონკრეტებულა, თუმცა ფაქტია, რომ “ანჟის” გასაძლიერებლად კარიმოვი მილიონებს არ იშურებს, გუნდი კი ბოლო ტურებში წარუმატებლად თამაშობს, ევროსაგზურის ზონას დაშორდა და რუსეთის პრემიერლიგაში მხოლოდ მე-7 ადგილზეა.

ცხადია, მომხდარით ნუკრი რევიშვილის გამო უფრო დავინტერესდით – რა ბედი ელის ბრაზილიელის ხელში “ანჟისა” და საქართველოს ნაკრების მეკარეს? ნუკრი სეზონს მახაჩყალურ კლუბში დაასრულებს, შემდეგ კი “კრასნოდარში” გადავა – “ლაიფსპორტის” ცნობით, ქართველმა მეკარემ ახალ კლუბთან წინასწარი კონტრაქტი უკვე გააფორმა. ამ ამბებზე სალაპარაკოდ ნუკრის მახაჩყალაში დავუკავშირდით.

- რობერტო კარლოსი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ იყო კი მისი მწვრთნელობის აუცილებლობა?

- ეს ჩემთვის ძნელი სათქმელია, ფაქტია, რომ მწვრთნელი გაუშვეს და ახალს ეძებენ, რობერტო კი დროებით დანიშნეს. თუმცა მის დარჩენასაც არ გამორიცხავენ, შედეგი თუ ექნება. თუმცა გაჯიევის ადგილზე რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ, მე რაც ვიცი, გუს ჰიდინკზეც ფიქრობენ.

- ფეხბურთში ბევრს წყვეტს ურთიერთობები, შენ და რობერტო კარლოსს როგორი ურთიერთობა გაქვთ?

- ვმეგობრობთ, ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ასე აღარ გაგრძელდება.

- “ანჟი” სამეულს უომედოდ ხომ არ ჩამორჩა?

- არა მგონია, რადგან წლეულს რუსეთის პრემიერლიგა შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადავიდა და მესამე წრე კიდევ სათამაშოა. ასე რომ, წინ ბევრი დრო და მატჩია, ამიტომაც სამეულში მოხვედრის იმედს არ ვკარგავ.

- ვარსკვლავების მიწვევის მიუხედავად, “ანჟი” ჯერ შედეგებით თავს ვერ მოიწონებს.

- გუნდის შენება ძალიან ძნელია, ვარსკვლავების ჩამოყვანაც არ ნიშნავს იმას, რომ ძლიერი გუნდი ხარ.

- პირადად შენზეც ვილაპარაკოთ: “ლაიფსპორტის” ცნობით, “კრასნოდართან” წინასწარი კონტრაქტი გააფორმე.

- მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია.

- არც აპირებ?

- ჩემი დატოვება“ანჟისაც” სურს, მაგრამ ყველაფერი რუსეთის საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული: თუ ლეგიონერებზე ახალ ლიმიტს დააწესებენ, მაშინ, რუსეთის მოქალაქეობის მიუხედავად, მაინც ლეგიონერად ჩავითვლები, რადგან საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ. ეს “ანჟისთან” პრობლემებს შემიქმნის, გუნდში ხომ ისედაც ბევრი ლეგიონერია.

- ნაკრები ახსენე და ამ თემას ვერ ავცდებით. ბოლო თამაშებში რა დაგემართათ?

- ლატვიასთან წაგება უსამართლობა იყო, ბურთი კარში არა და არ შევიდა. არადა, მიმაჩნია, რომ ციკლში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩავატარეთ. მალტასთან კი მოტივაციადაკარგულებს, ალბათ, ემოციაც არ გვეყო, ეს კი ფეხბურთში ბევრს ნიშნავს.

მერაბ მამულაშვილი

ნუკრი რევიშვილი და რობერტო კარლოსი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დინამო

ლორიას ორი კვირა გაუცდება

ხმალაძის გერმანული კონსულტაცია

მარტვილის "მერანთან" მატჩი **გიორგი ლორიასთვის** უიღბლო გამოდგა. თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარე პირველივე ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ამის გამო იგი ნაკრებს ბერძნებთან შეხვედრისთვის დააკლდება, თუმცა, საბედნიეროდ, ლორიას ტრავმა საგანგაშო არ არის და მოედანს, სავარაუდოდ, ორ კვირაში დაუბრუნდება. გიორგიმ უკვე გამოტოვა გორის "დილასთან" სათასო მატჩი და კვირას ვერც ბოლნისში, "სიონთან" ითამაშებს. სავსებით შესაძლებელია, ეს მის მიერ გაცდენილი ბოლო მატჩი იყოს.

შეგახსენებთ, "მერანთან" ლორია გამოცდილმა **სოსო გრიშიკაშვილმა** შეცვალა, "დილასთან" კი "დინამოს" კარში "სპარტაკიდან" დაბრუნებული **თორნიკე ზარქუა** იდგა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლორია "დინამოს" გამოკვეთილი პირველი ნომერია და სანამ ტრავმას მიიღებდა, მიმდინარე სეზონის ყველა მატჩი (საერთაშორისოც და ეროვნული ჩემპიონატისაც) შეუცვლელად ჩაატარა.

სამწუხაროდ, გაცილებით სერიოზულია **ლევან ხმალაძის** პრობლემები. შეგახსენებთ, მას მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშია. მისი მოედანზე დაბრუნება ძალიან გაჭიანურდა და ეს არც უახლოეს პერიოდშია მოსალოდნელი.

ხმალაძე და "დინამოს" ექიმი **მერაბ ვარძუკაშვილი** ორიოდე დღის წინ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გაემგზავრნენ კონსულტაციებისთვის ცნობილ ქირურგ-ორთოპედ **თომას ფრიულიხთან**. სწორედ ამის შემდეგ დაზუსტდება, თუ როგორი და რა ხანგრძლივობისა იქნება ხმალაძის მკურნალობის კურსი.

ნიკა გვათუა

გიორგი ლორიას ყველაზე ერთგული ქომაგი მამამისი, ბატონი ნუგზარია

ფოტო: www.fcdinamo.ge

ფუტსალი

ოლეგ სოლოდოვნიკი: წელიწადია, იბერია ნაუგებელია

ოლეგ სოლოდოვნიკის გაწვრთნილი "იბერია სტარი" ფუტსალში უეფას თასის ელიტრაუნდში დაუბრკოლებლად გავიდა: თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და უეფას თასის უცვლელმა მონაწილემ ჯერ მინსკის „მაპიდთან" გაიმარჯვა 4:0, მერე კი შვეიცარიული "ჟენევა" გაანადგურა - 11:0.

კი ბატონო, ფუტსალი კლასიკური ფეხბურთის "გარე ბიძაშვილია", ხუმრობით ჩვენში "სათბურის ფეხბურთსაც" ეძახნიან, მაგრამ ქართველ გულშემატკივარს უყვარს გოლი და მისი ლამაზად გატანა, თამაში სად, რა ვითარებასა და წესებითაც უნდა ტარდებოდეს. ჩვენი გუნდი კი ლამაზ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს, რაც მაყურებელს ასე მოენატრა. ამიტომაც არ წყდებოდა სპორტის სასახლეში ტაში და შეძახილები, როდესაც ერთმანეთზე ლამაზი გოლები გაჰქონდათ იბერელიელებს, ზოგს ქუსლით, ზოგს ვარდნით, ბრუნო მელომ კი მთელი შვეიცარია მოატყუა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო...

ორ მატჩში "იბერიამ" 15 ბურთი გაიტანა და არც ერთი გაუშვა – უჩვეულო შედეგია ტურნირისთვის, სადაც მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულები თამაშობენ.

გუნდის მთავარ მწვრთნელს, უკრაინელ ოლეგ სოლოდოვნიკს "იბერიაზე", ტურნირსა და ელიტრაუნდის შესაძლო მასპინძლობაზე ვესაუბრეთ.

- გილოცავთ ელიტრაუნდში გასვლას, მაგრამ თქვენი გუნდისთვის ეს არახალი ამბავია.

- ასეა, მაგრამ შედეგმა არ მოგვატყუოთ, ნამდვილად არ გვყავდა სუსტი მეტოქეები. ის მიხარია, რომ ორ მატჩში ჯერ გოლიც არ გაგვიშვია, ანუ უფრო ორგანიზებულები გავხდით.

- რა არის ამ სეზონში "იბერიას" ამოცანა?

- მიზანი ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხეულში მოხვედრაა. წლეულს გუნდის მდგომარეობა ამის რეალურ იმედს გვაძლევს.

- როგორც ჩანს, სეზონისთვის კარგად მოემზადეთ.

- საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის. უეფას თასამდე ლვოვის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშეთ, სადაც უკრაინისა და რუსეთის უძლიერესი გუნდები მონაწილეობდნენ და ბიჭები თანდათან ფორმაში შევიდნენ.

- თქვენი აზრით, ზაფხულში "იბერია" გაძლიერდა?

- შედეგებიდანაც ჩანს, რომ "იბერია" შარშანდელზე ბევრად ძლიერი გუნდია, უფრო შეთამაშდით და დავიხვეწეთ. ამას გარდა, ორი ლეგიონერი დავიმატეთ ძლიერი ლიგებიდან — გამოცდილი ლუის ნეგაო იაპონიის სუპერლიგის "ნაგოიადან" და ახალგაზრდა ედუ ბაქოს "ნეფთჩიდან". ორივე ბრაზილიელია. ვფიქრობ, ამ ტურნირზეც გამოჩნდა, რომ ორივე ძლიერი მოთამაშეა. გაძლიერებას შემდგომშიც ვაპირებთ.

- "ჟენევასთან" გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, ბეტინიომ რატომ არ ითამაშა?

- სამწუხაროდ, ბეტინიო დაგვიშავდა.

- ტრავმა სერიოზულია?

- არც ისე, კუნთი დაეჭიმა, მაგრამ თავი დავიზღვიეთ და გართულებას მოვერიდეთ. ამის გამო ბოლო ტურში "სლოვ მატიკთანაც" ვერ ითამაშებს. ფაქტობრივად, მიზანი მიღწეულია და აჯობებს, დავასვენოთ, ელიტრაუნდის მატჩებისთვის მზად რომ იყოს.

- „სლოვ მატიკთან" გამარჯვებას და პირველი ადგილის დაკავებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

- არა მხოლოდ ეს — უკვე წელიწადი სრულდება, რაც საშინაო და საერთაშორისო სარბიელზე თამაში არ ნაგვიგია – საქართველოს ჩემპიონატში, უეფას თასზე და სოლიდურ ტურნირებში. ელიტრაუნდიდან საუკეთესო ოთხეულში იმიტომ ვერ მოვხვდით, რომ ყაზახურმა კლუბმა მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით გვაჯობა, თორემ ალმათიში "კაირატთან" ფრედ ვითამაშეთ.

ასე რომ, ტურნირის ფავორიტისა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის იმიჯს უნდა გავუფრთხილდეთ. ამიტომაც სლოვაკურ კლუბს უნდა მოვუგოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ.

- "იბერიას" ელიტრაუნდის მატჩების თბილისში მასპინძლობა სურს. თქვენ ეს რეალური მიგაჩნიათ?

- თბილისი ინფრასტრუქტურულად საამისოდ მზად არის. მშვენიერია სპორტის სასახლე, მაყურებელი გულთბილი და მეგობრულია, გუნდის ბოლოდროინდელი შედეგებიც ამის უფლებას გვაძლევს. ეს "იბერიას" ხელმძღვანელთა სურვილია და როგორც ვიცი, საქართველო უეფაში განაცხადის შეტანას აპირებს. ასე რომ, ელიტრაუნდის მასპინძლობა არარეალური ნამდვილად არ უნდა იყოს.

და ბოლოს: უეფას თასის ბოლო ტური სპორტის სასახლეში დღეს გაიმართება. 15:30-ზე ბელარუსის „მაპიდი" შვეიცარიის „ჟენევას" დაუპირისპირდება, „იბერია" კი 18 საათზე „სლოვ მატიკის" ეთამაშება და ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვევა.

მერაბ მამულაშვილი

რეგიონი

სიმართლე საქართველოსთვის: ჩვენი ფეხბურთი ლეგიონერებზე კი არა, რეგიონერებზე დგას

სამნი ძმანი გურულები ოცნებობენ უმაღლესსო

ხარიტონ ჩხატარაშვილი

პირველ ლიგაში ექვსი ტური გაიმართა და ორივე ზონაში გურიის გუნდები კარგად თამაშობენ. ამ სეზონში ლანჩხუთის "გურიას" მიზანი უმაღლესში დაბრუნებაა და ბ ზონაში 14 ქულით მეორე ადგილზეა, ლიდერ საჩხერის "ჩიხურას" ორი ქულით ჩამორჩება. ოზურგეთის "მერცხალი" ა ზონაში 11 ქულით მესამეა, ლიდერ ბათუმის "დინამოზე" ოთხი ქულით ნაკლები აქვს, მაგრამ ერთი შეხვედრა „თადარიგში" აქვს.

ოზურგეთელი **ხარიტონ ჩხატარაშვილი**, ნიადაგ გურიის ფეხბურთზე მზრუნველი კაცი, "მერცხალის" დირექტორიც არის, მთავარი მწვრთნელიც და გურიის რეგიონში ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენაც ევალება, რადგან ფეხბურთის ფედერაციის ასაკობრივი ნაკრებების სელექციონერია.

მისი თქმით, წლეულს "მერცხალის" მიზანი მომავალი წარმატებებისთვის საფუძვლის ჩაყრაა: "ამ სეზონში მშვენიერი სტარტი ავიღეთ, რაც ძალიან გვაიმედებს. მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასვლა ჩვენი თვითმიზანი არ არის, გუნდის შენება გეგმაზომიერი პროცესია და საამისოდ საფუძვლი უნდა შევამზადოთ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ხანგრძლივი პროცესი, რომელიც დასაწყებია ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, საკლუბო სტრუქტურების ჩამოყალიბებითა და საფეხბურთო სკოლების მოღონიერებით. სხვაგავარად უმაღლესში გადასვლას აზრი არც აქვს.

ახლა გუნდში ბევრი 17-18 წლის ახალგაზრდაა. ახლახან ოთხი მოთამაშე დავიმატეთ: "გაგრადან' გიორგი ტყეშელაშვილი, ოლონ არა გუნდის კაპიტანი არამედ მისი სახნია და მოგვარე; ბათუმის "დინამოდან" ლაშა კალანდაძე, აგრეთვე ძმები ზურაბ და თემურ ვარდუაშვილები.. თამამად ვიტყვი, რომ დამატებულებმა გაგვაძლიერეს.

ისიც სათქმელია, რომ ოზურგეთში გამართული მატჩების გამო ფედერაციიდან ერთი საყვედურიც არ მიგვიღია, რაც ძალიან მეამაყება. ჩვენთან გუნდიც და მაყურებელიც ღირსეულად იქცევა".

წლეულს "მერცხალი" სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსეს. ადრე ეს პრობლემა იყო და მიუხედავად იმისა, რომ დიდი თანხა არ მიუღიათ, გუნდში მაინც მადლიერები არიან. ამავე დროს, კერძო ინვესტორზეც ოცნებობენ.

"მერცხალს" დიდი დაფინანსება არ აქვს, მაგრამ წინა წლებთან შედარებაც არ შეიძლება. ეს რაიონისა და რეგიონის ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომელთაც ფეხბურთის აღორძინება სურთ. მათ 2011 წელს გუნდის შესანახად 150 ათასი ლარი ჩაგვირიცხეს. თანხა ხელფასებში, პრემიებში, ტრანსპორტირებასა და კვებაში იხარჯება. თუ სახელმწიფოს დახმარებას კერძო ინვესტორიც დაემატება, ეს გუნდისთვის დიდი სტიმული იქნება" – ამბობს ჩხატარაშვილი და დასძენს, რომ გურიის ფეხბურთში დაპირისპირება აღარ არსებობს.

"ლანჩხუთის "გურიას" გაძლიერება ძალიან მახარებს. გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძვის და, ვფიქრობ, საამისოდ წლეულს მზად არის. ლანჩხუთელებმა სეზონი წარმატებით დაიწყეს და, იმედია, ასეც გააგრძელებენ. საბედნიეროდ, გურიის სამ რაიონს შორის დაპირისპირება აღარ არის. რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტად კახა ებრალიძის დანიშვნის შემდეგ ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის ქიშში წარსულს ჩაბარდა და ჩვენ შორის ახლა საქმიანი, მეგობრული და ძმური ურთიერთობაა. ახლა სამივე რაიონს ერთი საფიქრალი გვაქვს — უმაღლეს ლიგას დავუბრუნოთ გურიის რეგიონის გუნდი. იმედია, ჩვენი სურვილი ახდება და "გურია" სეზონს წარმატებით დასრულებს.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი რეგიონისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც: თუ ფეხბურთი პერიფერიებში არ განვითარდება, ქართულ ფეხბურთს არ ეშველება. ამიტომაც მახარებს "გურიას", "მერცხალისა" და სხვა ნებისმიერი გუნდის გაძლიერება. ასეთივე პროცესები მიმდინარეობს სხვა რეგიონებშიც, ბოლო დროს სახელმწიფომ ფეხბურთისკენ გამოიხედა და ეს ქვეყნის ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებზე სასიკეთოდ აისახება".

მერაბ მამულაშვილი

რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში"

E-mail:hr@kvirispalitra.com

ქართული ფეხბურთი

ტურის მწვრთნელი ინტერვიუ გიორგი ჭიაბრიშვილთან

ზესტაფონი გაზაფხულს გვპირდება

მიდი, აბა, წამოჰკარი, ვინმეს ხელი...

მიმდინარე სეზონში "ზესტაფონმა" უსიამოვნებებიც გადაიტანა და კარგი დღეებიც ნახა, მთლიანობაში კი, ბევრი ცვლილების მიუხედავად, კლუბში სამუშაო ვითარებაა და საქართველოს ჩემპიონები მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ.

ფეროელებმა ბოლო ორი მატჩი მოიგეს – ჩემპიონატში რუსთავის "მეტალურგს" სძლიეს, თასზე კი – ფოთის "კოლხეთს". "ზესტაფონის" თავკაცი გიორგი ჭიაბრიშვილი ტურის მწვრთნელად დავასახელეთ. ასეც რომ არ ყოფილიყო, მასთან სალაპარაკო თემები ისედაც დაგროვდა.

- სეზონის სტარტმა უკვე განვლო. როგორი გამოდგა ეს პერიოდი "ზესტაფონისთვის" და როგორია გუნდის ამჟამინდელი კონდიციები?

- იდეალურ მდგომარეობაში რომ არ ვართ, ეს შედეგებიდანაც კარგად ჩანს, თუმცა მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ და გვაქვს იმედი, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავა. სეზონის სტარტი ჩვენთვის საკმაოდ რთული გამოდგა, მაგრამ ზოგიერთ შეხვედრაში ურიგოდ ნამდვილად არ გამოვიყურებოდით, ახლა მთავარია, სტაბილურობას მივაღწიოთ და ხარვეზები დროულად აღმოვფხვრათ.

- გვერდს ვერ ავუვლით გორის "დილასთან" სენსაციურ 0:4-ს. რა იყო ამ მწარე მარცხის მიზეზი?

- როგორც ჩანს, ასეთი სხვაობით ლოგიკურად დავმარცხდით. ეს ნაწილობრივ მეტოქის შეუფასებლობის, ნაწილობრივ კი გადაღლილობის ბრალი იყო. შედეგი ჩვენთვის იმდენად მიუღებელია, რომ მიზეზების ძებნა არც გვიღირს, ფაქტია, რომ რაც მოხდა, ლოგიკურად მოხდა. ვისარგებლებ შემთხვევით და აღფრთოვანებასა და პატივისცემას გამოვხატავ "დილასა" და ვითამაშეთ და ამის კვალობაზე ნორმალურ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ როცა გამარჯვებას მატჩის ბოლო წამებზე უშვებ ხელიდან, ყოველთვის გულდასაწყვეტია.

- ვიცით, რომ "ზესტაფონის" მთავარი მიზანი ჩემპიონობის შენარჩუნებაა, თუმცა, ალბათ, არც თასისთვის ბრძოლაზე იტყვით უარს.

- რა თქმა უნდა. თასიც საკმაოდ პრესტიჟულია და ამ ტურნირზეც სრული მობილიზებით ვითამაშებთ.

- რამდენად დამაკმაყოფილებელია თქვენთვის პირველ მერვედფინალურ მატჩში ფოთის "კოლხეთთან" შინ მიღწეული 2:1?

- ეს ანგარიში დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ მჯერა, ფოთშიც დადებით შედეგს მივაღწევთ. დასანანი ის არის, რომ "კოლხეთთან" ორბურთიანი უპირატესობით დამაჯერებლად ვიგებდით, მეორე ტაიმში კი "ზესტაფონი" მოდუნდა და საკმაოდ სიმპათიურ მოწინააღმდეგეს ერთი ბურთის გაქვითვის საშუალება მისცა.

- ბოლო დღეებში მნიშვნელოვანი სიახლეები მოხდა "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბში – გიორგი ყიფიანი დაგემატათ, გურამ ასპინძელაშვილი და დავით ჯანელიძე კი "ტორპედოში" წავიდნენ.

- გულით მინდოდა, მათ ჩემთან ერთად განეგრძოთ მუშაობა, მაგრამ სხვაგვარად გადაწყვიტეს და მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. გიორგი ყიფიანი კომპეტენტური სპეციალისტია, იზიარებს ჩემს საფეხბურთო იდეებს და მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება. "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბს დაემატნენ ასევე დემურ გიორგობიანი, რომელიც, ამავდროულად, ბავშვთა აკადემიის კურატორიც იქნება, და მეკარეთა მწვრთნელი ოთარ ბოჭორიშვილი. ისინიც საკუთარი საქმის პროფესიონალები და სამწვრთნელო შტაბის სრულუფლებიანი წევრები არიან.

- სავარაუდოდ, როდის შევა "ზესტაფონი" ოპტიმალურ ფორმაში?

- შევეცდებით, პროგრესი სეზონის პირველ ნახევარშივე შეგვეტყოს, გუნდის ნამდვილი სახე კი ზამთრის შეკრებისას ჩამოყალიბდება. ჩვენი გათვლით, ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე "ზესტაფონი" საუკეთესო თვისებების გამოვლენას შეძლებს.

- ალბათ, შემადგენლობაში ცვლილებებიც არ უნდა გამოვრიცხოთ.

- გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და გარკვეული სიახლეები ყოველთვის საჭიროა. ზამთრამდე ამ შემადგენლობას კარგად დავაკვირდებით და საბოლოოდ ჩამოგვიყალიბდება აზრი იმის შესახებ, რომელ პოზიციებზე გვესაჭიროება კვალიფიციური ფეხბურთელების დამატება და ვისთან მოგვიწევს დამშვიდობება. მოკლედ, ცვლილებები აუცილებლად იქნება, მანამდე კი თავის გამოჩენის შანსს ყველა ფეხბურთელს მივცემ და მათ მოედანზე უნდა დაამტკიცონ, რომ "ზესტაფონში" თამაშს იმსახურებენ.

- კონკრეტულად რომელიმე რგოლის თამაშით ხართ უკმაყოფილო?

- ყველაზე დიდი პრეტენზია დაცვის ხაზის მიმართ მაქვს. ეს პრობლემა სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ზამთარში სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს გიორგი ხიდეშელი, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალაა, ნელ-ნელა ფორმაში შედის ედიკ საჯაიაც, რომლის გამოცდილებაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- მიმდინარე ჩემპიონატი რამდენად საინტერესოდ მიმდინარეობს?

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი დაძაბული ჩემპიონატი დიდი ხანია, არ გვქონია. უმაღლეს ლიგაში ერთი ხელწამოსაკრავი გუნდიც კი არ თამაშობს და თითოეული ქულის მოპოვებას დიდი ოფლისღვრა სჭირდება. მოკლედ, ძალიან საინტერესო და დაძაბულ სეზონს ველოდები, რომელიც, იმედი მაქვს, "ზესტაფონის" გამარჯვებით დასრულდება.

ლევან ჯანეზაშვილი

გიორგი ჭიაბრიშვილი

ზესტაფონი

ახალი კაცი ახალ თანამდებობაზე

"ზესტაფონის" სპორტული დირექტორი **მიხეილ ხუციშვილი** იქნება. იგი ბოლოს გორის "დილაში" ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცაღა გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ჩემპიონთა საკლუბო სტრუქტურაში გადასვლა ამჯობინა.

"ზესტაფონში" აქამდე სპორტული დირექტორის თანამდებობა არ არსებობდა და იგი კლუბის პრეზიდენტის, **ილია კოკაიასა** და მთავარი მწვრთნელის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** ერთობლივი მოსაზრებით შეიქმნა.

"ამ ადამიანს ყველა იცნობს როგორც თავისი საქმის პროფესიონალს. სპორტული დირექტორის თანამდებობა აუცილებლად გვჭირდებოდა, ჩემი აზრი კლუბის პრეზიდენტმაც გაიზიარა და ვფიქრობ, საუკეთესო კანდიდატურა შევარჩიეთ. მიშა აქ არაერთ საკითხს მიხედავს – ბავშვთა აკადემიას, ფეხბურთელების შერჩევას და ასე შემდეგ. "დილას" ბოლოდროინდელი წარმატებები მისი დამსახურებაცაა და მჯერა, "ზესტაფონისთვისაც" სასარგებლო მუშაკი იქნება", – გვითხრა გიორგი ჭიაბრიშვილმა.

შეგახსენებთ, ხუციშვილი ბოლოს სერბულ "ვოივოდინაში" თამაშობდა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფეხბურთელის კარიერაზე ნაადრევად თქვა უარი, საქართველოში კი მას არაერთი კლუბის ღირსება დაუცავს – მათ შორის თბილისის "დინამოსი", ქუთაისის "ტორპედოსი" და ბოლნისის "სიონის".

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

ჩიხურა–მეტალურგი 1:1

28.09. საჩხერე. ცენტრალური. 700 მაყურებელი

1:0 ლ. რაზმაძე (54), 1:1 ნ. გუშარაშვილი (71)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ჯ. ბერიანიძე, ნ. გუშარაშვილი, ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე (85. ლ. ვაშაკიძე), ლ. ბაკურაძე, ი. ლილუაშვილი (59. გ. სალარიძე), გ. სილაგავა (70. ა. ივანიშვილი), ნ. კვასხვაძე, თ. მუმლაძე.

სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, გ. ქიმაძე, ე. ზივზივაძე

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

მეტალურგი: გ. ბედიაშვილი, გ. სეთურიძე, ა. კვახაძე, გ. კვარაცხელია, ლ. ჯაფარიძე, ლ. რაზმაძე, ი. მაისურაძე, გ. ჭედია (66. გ. გავაშელიშვილი), გ. მიქაბერიძე (79. დ. დობროვოლსკი), რ. გეწაძე (70. ი. პავლიაშვილი), დ. ტატანაშვილი

სათადარიგოები: ზ. ბათიაშვილი, ლ. ჩადუნელი, მ. მახვილაძე, გ. ქავთარაძე

მწვრთნელი: კ. ჟორჟიკაშვილი

გაფრთხილებები: რ. თევდორაძე, ლ. ბაკურაძე, ლ. ვაშაკიძე; გ. მიქაბერიძე, რ. გეწაძე, ლ. რაზმაძე

არბიტრი: ჯ. ხორავა

ჭიათურა–ვიჩ ჯორჯია 2:3

28.09. ჭიათურა. თ. მაღრაძე. 300 მაყურებელი

0:1 ბ. ჩიმაკაძე (38), 0:2 ბ. ზაქრაძე (41), 0:3 ბ. ზაქრაძე (42), 1:3 გიორგი გურეშიძე (45 საკ. კარში), 2:3 გ. ქირია (64, პენალტით).

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი (46. დ. შეყილაძე), ლ. ცუცქირიძე, ბ. ჭუმბურიძე (62. ო. კურტანიძე), გ. ქირია, შ. ფირცხალავა, ლ. ბარათაშვილი (53. ზ. ნოზაძე), დ. ქირია, ზ. ხაჭიპერაძე

სათადარიგოები: ლ. მაჩაიძე, ლ. სარალიძე, ო. გაგნიძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

ვიჩ ჯორჯია: გ. ძაძამია, გ. გეთიაშვილი, გ. ადამაძე, ლ. კასრაძე, რ. ღანიაშვილი (46. ო. ჯავაშვილი), გ. ვასაძე, გ. ჯანელიძე, გ. კორიფაძე (73. გ. ჯუღელი), გიორგი გურეშიძე (54. დ. მაისაშვილი), ბ. ზაქრაძე, ბ. ჩიმაკაძე

სათადარიგოები: ჯ. რეჭია, ჯ. გოგიაშვილი, დ. ხურცილავა, ი. სიხარულიძე

მწვრთნელი: ზ. ბერიძე

გაფრთხილებები: გ. მეცხოვრიშვილი, გ. ძაძამია, ო. ჯავაშვილი

არბიტრი: თ. გვანცელაძე

გათუმი–ჭორაელო 0:2

28.09. გათუმი. აბელი. 300 მაყურებელი

0:1 გ. საბანაძე (16), 0:2 რ. გოცირიძე (27)

დინამო: შ. მამინაშვილი, ლ. რამიშვილი, ნ. ხუხია, ზ. ლობჟანიძე, კ. მაკარიანი, კ. თოდაძე, მ. ჟვანია, დ. მალაზონია (65. ი. ცანავა), ა. მუჯირი (46. ვ. თევდორაძე), ნ. დიასამიძე, ლ. გაბრიჭიძე (46. ა. ბაციკაძე).

სათადარიგოები: თ. კაკალაძე, მ. ჯორბენაძე, გ. გოგიტიძე, ნ. ნასუაშვილი

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

ტორპედო: მ. ქვილითაია, ც. ხარაბაძე, თ. ფარულავა, ს. თოდუა, გ. გურული, გ. იოსელიანი (67. ვ. ტაბატაძე), გ. დათუნაიშვილი (46. ო. თარხნიშვილი). გ. კუხიანიძე (74. თ. კაპანაძე), დ. კირკიტაძე, ნ. საბანაძე, რ. გოცირიძე

სათადარიგოები: ო. მიგინეიშვილი, ნ. მანჩხავა, ბ. მირცხულავა, ო. ჩინჩალაძე

მწვრთნელი: გ. სუხიაშვილი

გაფრთხილებები: ლ. რამიშვილი, ნ. საბანაძე, თ. კაკაბაძე

არბიტრი: ლ. სილაგავა

სულორი–ბაგრა 1:2

28.09. ვანი. გ. ნიკოლეიშვილი. 500 მაყურებელი

0:1 მ. ნაკონეჩნი (37), 1:1 ბ. ბელექანია (45), 1:2 მაგაჯი (90)

სულორი: დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ლ. გაბუნია, გ. ნიკოლეიშვილი, ნ. გიორგაძე (60. თ. ძაგნიძე), პ. ბელთაძე, ბ. სულაბერიძე (72. გ. თევზაძე), მ. ნაფეტვარიძე (86. თ. კუხიანიძე), კ. კვიმსაძე, ბ. ბელექანია

სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, ბ. დვალიშვილი, დ. ივანიაძე, ბ. მჭედლიძე

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

ბაგრა: კ. სეფიაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, მ. ნაკონეჩნი, გ. ყურულაშვილი, გ. ზვიადაძე (70. შ. კვანტალიანი), ვ. ორდინსკი (58. ნ. ჭკუასელი), ლ. შარიქაძე (58. დ. სიჭინავა), ნ. ჯიშკარიანი, უ. მაგაჯი, გ. გაბედავა

სათადარიგოები: გ. ბეგაშვილი, გ. ჯგერენაია, გ. ფალავანდიშვილი, ბ. ქართველიშვილი

მწვრთნელი: ა. პისკოვეცი

გაფრთხილებები: ვ. ნუცუბიძე, ბ. ბელექანია

არბიტრი: ი. ურუშაძე

მერანი-სპარტაკი

გაია–სიონი 3:0

28.09. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 500 მაყურებელი

1:0, 2:0 ლ. გუგუჩია (16, 25), 3:0 გ. სამუშია (36)

გაია: გ. სომხიშვილი, დ. რიგვავა, ნ. მგელაძე, ნ. აფაქიძე, ლ. აკობია, ზ. სიხარულია, ა. ენდელაძე, ვ. ტყემალაძე, ლ. გუგუჩია (54. ი. ქობალია), გ. სამუშია (78. გ. ქვარცხავა), ი. ეხვაია (54. ნ. შონია).

სათადარიგოები: ვ. ჯომიდავა, ლ. წურწუმია, ლ. კუკავა, ი. ვეკუა

მწვრთნელი: ე. ქომეთიანი

სიონი: ვ. ლობჟანიძე, მ. კობაური, დ სვანიძე, გ. თარგამაძე, ს. ადამაშვილი, მ. ოქროპირიძე, შ. გაბრიჭიძე. ვ. ბოლქვაძე, მ. კობერიძე, ჯ. უგულავა (39. ზ. ხურციძე), ლ. კემოხტაშვილი (46. ა. ნოზაძე)

სათადარიგოები: გ. კიკაბიძე, ვ. ისიანი, ლ. ალფაიძე, ა. ალავიძე

მწვრთნელი: ლ. ბაჯელიძე

გაფრთხილებები: ნ. შონია; მ. კობაური, გ. თარგამაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

სხვა მატჩები

დინამო-დილა	2:2
ზესტაფონი-კოლხეთი	2:1
მერანი-სპარტაკი	2:0

საპასუხო მატჩები ჩატარდება 2 ნოემბერს

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მსახიობის თეატრი სან სიროზე

გერმანიის ჩემპიონს ევროსარბიელზე შარშანდელი ემართება: დორტმუნდს გამოცდილება არ ყოფნის

„ბარსელონა“ ბატე-ს კარგ გაკვეთილს რომ ჩაუტარებდა, ამაში ეჭვი, უკიდურესად ოპტიმისტი ბელარუსების გარდა (თუკი ასეთები არსებობენ), არავის შეჰპარვია. აი, „არსენალმა“ კი მოლოდინისამებრ იწვალა. „ჩელსიმ“ „ვალენსიასთან“ ქულაზე მეტი ვერ აიღო, „მილანმა“ კი „ვიქტორიასთან“ ჩვეულ სტილში მოიგო.

„მილანმა“ ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ანტონიო კასანოს გოლებით მოიგო

E ჯგუფი

ლევერკუზენი–გენკი 2:0

გოლები: 1:0 ლ. ბენდერი (30), 2:0 ბალაკი (92)
ბურთის ფლობა: 62%:38%; **დარტყმები**: 18:11; **კუთხურები**: 6:9
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: სიდნი სემი (ლევერკუზენი)

გერმანიის ვიცე-ჩემპიონს „გენკთან“ საშინაო მატჩში ნერვიულობა ეტყობოდა, რაც აშკარად იმის ბრალია, რომ „ლევერკუზენმა“ ეს სეზონი ძალიან არასტაბილურად დაიწყო. გერმანელები განსაკუთრებით პირველ 20 წუთში იყვნენ დაულაგებლები, მათი არაზუსტი პასების სიმრავლემ ბელგიური კლუბის ფეხბურთელებს უფრო თამამად მოქმედების საშუალება მისცა. თუმცა „ლევერკუზენმა“ თამაში დროთა განმავლობაში გააუმჯობესა. ეს პირველ რიგში „ფარმაცევტების“ გარემარბ **სიდნი სემის** დამსახურებაა, რომელიც ბევრს მოძრაობდა, კარგად იხსნებოდა, ბურთს ხშირად ითხოვდა და პირველ ტაიმში ფაქტობრივად ერთადერთი ლევერკუზენელი გახლდათ, რომელმაც „გენკის“ მცველები ანერვიულა. თუმცა **ლარს ბენდერის** გოლს, რომლითაც ანგარიში გაიხსნა, ლოგიკურს ნაღდად ვერ ვუწოდებთ.

მეორე ტაიმიც ასეთივე სცენარით განვითარდა: „ლევერკუზენს“ აშკარად უფრო სუსტ „გენკთან“ მეტი მოეთხოვებოდა. თუმცა მეორე ნახევარში „ბაიერის“ თავკაცმა **რობინ დუტმა**, როგორც იქნა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო და აბსოლუტურად უმაქნისი **რენატო აუგუსტო** გამოცდილი **მიხაელ ბალაკით** შეცვალა, რომელმაც „ლევერკუზენის“ თამაშში მეტი სიცოცხლე შეიტანა, გოლიც გაიტანა და მასპინძლები საბოლოოდ დაამშვიდა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვება „ლევერკუზენს“ თავდაჯერებას ნამდვილად ვერ შემატებდა, მაგრამ რაც მთავარია, სამი ქულა შემატა, რისი წყალობითაც, ორი ტურის შემდეგ, „ბაიერი“ ჯგუფში მეორე ადგილზეა.

ვალენსია–ჩელსი 1:1

გოლები: 0:1 ლემპარდი (56), 1:1 სოლდადო (87-პენ)
ბურთის ფლობა: 56%:44; **დარტყმები**: 17:9; **კუთხურები**: 6:5
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დიეგო ალვეში (ვალენსია)

„...და მერე სალომონ კალუს დრო დადგა!“ - მეორე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის მთელი დრამატურგიის გადმოსაცემად მხოლოდ ეს ერთი წინადადებაც საკმარისი იქნებოდა. წესით, პირველ ტაიმზე ერთი სიტყვაც არ უნდა ვთქვათ, მაგრამ არ გამოდის: „ჩელსიმ“ თითქოს კარგად (ყოველ შემთხვევაში, „ვალენსიაზე“ უკეთ) დაიწყო, მაგრამ ლონდონელებს დიდი მონდომება არ ეტყობოდათ, „ვალენსიას“ კი, პირდაპირ ვთქვათ, გოლის გასატანად თავი საერთოდ არ შეუწუხებია.

...და რისი იმედი უნდა გვქონოდა შესვენებაზე? ცხადია, ვერ ვიფიქრებდით, რომ „ჩელსი“ მეორე ტაიმში ძალიან მაგრად შეუტევდა, რათა **დიეგო ალვეშისთვის** კიდევ რამდენჯერმე მიეცა იმის დამტკიცების შანსი, რომ შესანიშნავი მეკარეა. ამიტომაც, იმის იმედად ვიყავით, რომ „ვალენსია“ ფხას გამოაჩენდა. თუმცა ეს მანამდე მაინც არ მოხდა, სანამ **ფრენკ ლემპარდმა** ბოლოს და ბოლოს „ღამურების“ კიპერს არ აჯობა და „ჩელსი“ არ დაწინაურდა.

...და მერე **სალომონ კალუს** დრო დადგა! ამ უკანასკნელმა სწორედ ლემპარდი შეცვალა და „ვალენსიასთვის“ გმირი, „ჩელსისთვის“ კი ანტიგმირი გახდა. ერთ-ერთი კუთხურისას კალუმ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რასაც პენალტი მოჰყვა, რომელიც **სოლდადომ** გამოიყენა და „ვალენსიას“ ქულა გადაურჩინა.

შახტარი–აპოელ 1:1

გოლები: 0:1 ტრიკოვსკი (61), 1:1 ჟადსონი (64)
ბურთის ფლობა: 62%:38%; **დარტყმები**: 26:4; **კუთხურები**: 9:2
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: პაულო ჟორჟე (აპოელ)

უკრაინელები უპირატესობას ფლობდნენ, მოედანზე მიმდინარე პროცესებს აკონტროლებდნენ, ტექნიკურად და ტაქტიკურად მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ, გოლების გატანა კი, 64-ე წუთის გამოკლებით, ვერაფრით მოახერხეს. შესაბამისად, სენსაცია ოთხშაბათსაც გამოცხვა: „შახტარმა“ „აპოელთან“ მხოლოდ ქულა რომ მოიპოვა, ეს დიახაც სენსაციაა. არადა, დონეცკელებს ძალიან ბევრი მომენტი ჰქონდათ, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ძალიან კარგადაც არ უთამაშიათ. კვიპროსელები კი პირველიდან ბოლო წუთამდე დაცვაში იდგნენ.

„აპოელმა“ გოლი ერთ-ერთი უიშვიათესი კონტრშეტევიდან გაიტანა და მერე რა, რომ „შახტარმა“ ანგარიში მაინც გაათანაბრა: ორი ტურის შემდეგ, ჯგუფს ნიქოზიელები ლიდერობენ, რასაც, დაგვეთანხმებით, არავინ ელოდა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აპოელ	2	1	1	0	3-2	4
2. ზენიტი	2	1	0	1	4-3	3
3. პორტუ	2	1	0	1	3-4	3
4. შახტარი	2	0	1	1	2-3	1

H ჯგუფი

მილანი–ვიქტორია 2:0

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (53-პენ), 2:0 კასანო (66)
ბურთის ფლობა: 52%:48%; **დარტყმები**: 14:14; **კუთხურები**: 5:4
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი)

„მილანი“ ჩემპიონთა ლიგაში წნეხის ქვეშაა მოქცეული. „ბარსელონასთან“ ერთად ჯგუფიდან გასვლა „როსონერისთვის“ უბრალოდ სავალდებულოა და სხვა ნებისმიერი შედეგი **მასიმილიანო ალეგრის** გუნდისთვის არა მარტო სენსაცია, არამედ უდიდესი სკანდალიც იქნება. ასე რომ, „მილანმა“ „ბატესაც“ და პლზენის „ვიქტორიასაც“ ყველა თამაში უნდა მოუგოს და თანაც, მაქსიმალურად ლამაზად.

ლამაზად თამაში და დიდი ანგარიშით გამარჯვება მილანელებს გუშინწინაც სურდათ. ერთი ეგაა, რომ ეს სურვილი მხოლოდ ქუსლებით პასებსა და დრიბლინგების მცდელობებით გამოიხატებოდა. ამავდროულად, მილანელებს სირბილი ეზარებოდათ და როცა სირბილი გეზარება, ლამაზი ფეხბურთის თამაში პლზენის „ვიქტორიასთანაც“ შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, ჩეხებს საკმაოდ კარგი მომენტები ჰქონდათ და კარი მშრალად რომ შეინახეს, მილანელები **აბიატის** უნდა უმადლოდნენ.

იბრაჰიმოვიჩი და **კასანო** ზედმეტად მარტივად ცდილობდნენ ჩეხი მცველების გაბითურებას, რაც ხშირად არ გამოსდიოდათ. ერთი სიტყვით, ანგარიშის გასახსნელად „მილანს“ პენალტი დასჭირდა, მერე კი, „ორი მსახიობის თეატრი“ კასანოსა და იბრაჰიმოვიჩის შესრულებით, მაინც შედგა. საბოლოო ჯამში, უკლასო „ვიქტორია“ მაინც უშანსოდ იყო...

ბატე–ბარსელონა 0:5

გოლები: 0:1 ვოლოდკო (19-საკ. კარში); 0:2 პედრო (21), 0:3 მესი (37), 0:4 მესი (55), 0:5 ვილა (89)
ბურთის ფლობა: 34%:66%; **დარტყმები**: 5:25; **კუთხურები**: 1:11
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლიონელ მესი (ბარსელონა)

„დავითი გოლიათის წინააღმდეგ“ - ამ დუელისთვის ასეთი ეპითეთის მინიჭებაც კი გადაჭარბებულია. ბატე-სა და „ბარსელონას“ შორის ძალიან დიდი სხვაობა რომაა, ამაზე საუბარი არც ღირს. თუკი ბორისოვოში მაინც სჯეროდა ვინმეს იმის, რომ ბატე-ს ამ მატჩის მცირე სხვაობით წაგება შეეძლო, სტატისტიკურ მონაცემებს უნდა გადახედოს: კუთხურები 11:1, ბურთის ფლობის მაჩვენებელი 70-ე წუთისთვის 77%:23% და **ჩავის** 112 პასი, საიდანაც 92 პროცენტი ზუსტი იყო.

ბატე-ს ფეხბურთელებმა „ბარსას“ ნახევარზე ხეირიანად გადასვლით გაბედნიერება მხოლოდ ბოლო ათი წუთის განმავლობაში მოახერხეს, როცა ტაბლოზე 0:5 ენთო და კატალონიელებს ეს გართობა მობეზრდათ. ისე კი, **გვარდიოლას** ბიჭებმა მორიგი რეკორდი დაამყარეს: „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ 23-ე შეხვედრაში მოედანი უგოლოდ არ დატოვა. ამ შეხვედრამდე კატალონიელები ამ რეკორდს მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად იყოფდნენ – რეკორდმაისტერმა ზედიზედ 22 მატჩში გოლის გატანა 1998-დან 2000 წლამდე მოახერხა.

მოკლედ, ჩემპიონთა ლიგას ან წელსაც „ბარსა“ მოიგებს, ანაც ის გუნდი, ვინც „ბარსას“ დამარცხებას შეძლებს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	2	1	1	0	7-2	4
2. მილანი	2	1	1	0	4-2	4
3. ვიქტორია	2	0	1	1	1-6	1
4. ბატე	2	0	1	1	1-6	1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	2	1	1	0	3-1	4
2. ლევერკუზენი	2	1	0	1	2-2	3
3. ვალენსია	2	0	2	0	1-1	2
4. გენკი	2	0	1	1	0-2	1

F ჯგუფი

მარსელი–ბორუსია (დ) 3:0

გოლები: 1:0 დ. აიუ (20), 2:0 რემი (62), 3:0 დ. აიუ (69-პენ)
ბურთის ფლობა: 47%:53%; **დარტყმები**: 8:16; **კუთხურები**: 4:11
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: სტივ მანდანდა (მარსელი)

მარსელში საღამოს 20 გრადუსი სითბო და უღრუბლო ცა იყო – მიუხედავად ამისა, **სულეიმან დიავარამ** იფიქრა, რომ შესცივდებოდა და მოედანზე ხელთათმანებით გავიდა... დორტმუნდელი ფანები კი შუადღეზე ბანაობდნენ და მერე პლაჟზე მზეს ეფიცხებოდნენ, საღამოს კი ყბები სულ სხვა რამის გამო ჩამოუვარდათ: ნახეს თავიანთი საყვარელი გუნდის საკმაოდ კარგი თამაში, დრიბლინგები და საგოლე მომენტები, მაგრამ „ბორუსიამ“ წააგო. თანაც, 0:3!

მოკლედ, „დორტმუნდის“ თავს ევროსარბიელზე წელსაც იგივე ხდება, რაც შარშან ევროპის ლიგაში ხდებოდა: **იურგენ კლოპის** გუნდი კარგად თამაშობს და მომენტებსაც ქმნის, მაგრამ ვერ იყენებს და დამსახურებულ ქულებს ანიავებს. ამჯერად გოლის გატანა ყველაზე ხშირად **მარიო გიოტცეს** შეეძლო, მაგრამ შესანიშნავ **სტივ მანდანდას** ვერაფერი მოუხერხა.

სამი უპატიებელი შეცდომა დაცვაში, ორჯერ მეტი არაკონცენტრირებული საქციელი თავდასხმაში და ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ **დიდიე დეშამის** გუნდს სამბურთიანი უპირატესობით მოეგო. აუცილებლად უნდა ვახსენოთ და გავკიცხოთ მატჩის ერთ-ერთი გმირის, **დედე აიუს** ძმა **ჯორდან აიუ**, რომელიც თამაშში 71-ე წუთზე ჩაერთო და ეგრევე ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რის შემდეგაც, დორტმუნდის კარიდან 25 მეტრში (!) **მატს ჰუმელსთან** ორთაბრძოლისას აბსოლუტურად უაზროდ ისიმულანტა, რის გამოც მეორე ყვითელი და შესაბამისად, წითელი ბარათი აუფრიალეს.

არსენალი–ოლიმპიაკოსი 2:1

გოლები: 1:0 ჩემბერლენი (8), 2:0 სანტოსი (19), 2:1 ფუსტერი (27)
ბურთის ფლობა: 54%:46%; **დარტყმები**: 10:15; **კუთხურები**: 5:6
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ანდრეი არშავინი (არსენალი)

„არსენალის“ მწვრთნელის რანგში 15-წლიან იუბილემდე ორი დღით ადრე, ლონდონელთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და 18 წლის **ალექს ოქსლეიდ ჩემბერლენი** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. ამ უკანასკნელს კი ზუსტად რვა წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ გამოცდილი სპეციალისტის ნდობა სადებიუტო მატჩშივე გოლით გაემართლებინა. მოგვიანებით, „არსენალის“ ხელმძღვანელობა **სანტოსმა** დაამშვიდა, რის შემდეგაც „მეთოფეებს“ ფეხბურთი აღარ უთამაშიათ. ვენგერის გუნდს დაეტყო ის თავდაუჯერებლობა და ნერვიულობა, რის გამოც „მეთოფეებს“ საქმე პრემიერლიგაშიც ცუდად მისდით. თავად განსაჯეთ: ლონდონელებმა კარისკენ 10-ჯერ დაარტყეს, ბერძნებმა კი - 15-ჯერ. თუმცა „ოლიმპიაკოსს“ შეხვედრის გადასარჩენად კლასი არ ეყო – არადა, ტაბლოზე 2:1 27-ე წუთიდან ენთო.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მარსელი	2	2	0	0	4-0	6
2. არსენალი	2	1	1	0	3-2	4
3. ბორუსია (დ)	2	0	1	1	1-4	1
4. ოლიმპიაკოსი	2	0	0	2	1-3	0

G ჯგუფი

ზენიტი–პორტუ 3:1

გოლები: 0:1 როდრიგესი (10), 1:1 შიროკოვი (20), 2:1 შიროკოვი (63), 3:1 დანი (72)
ბურთის ფლობა: 54%:46%; **დარტყმები**: 19:11; **კუთხურები**: 4:4
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: დანი (ზენიტი)

ევროპის ლიგის მოქმედ გამარჯვებულ „პორტუს“ ცივ რუსეთში მოუხდა მგზავრობა, სადაც სითბოს მიჩვეული პორტუგალიელებს რუსეთის ჩემპიონატის ლიდერი „ზენიტი“ ელოდათ. პეტერბურგელები ძალიან კარგ ფორმაში არიან, რაც ამ მატჩშიც დაეტყოთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი „პორტუმ“ გაიტანა, რუსებმა პირველიდან ბოლო წუთამდე უკეთ ითამაშეს. თუმცა შეიძლებოდა, მოვლენები მაინც სულ სხვანაირად განვითარებულიყო, რომ არა **ფუსილეს** სულელური საქციელი, როცა უკვე გაყვითლებულმა, ხელით ითამაშა და შესვენებამდე მოედნიდან გააძევეს. რა გასაკვირია, რომ მეორე ტაიმში „ზენიტი“ დომინირებდა. **კერჟაკოვმა** და **დანიმ** არაერთი მომენტი შექმნეს და შეიძლებოდა, „პორტუს“ უფრო დიდი ანგარიშითაც წაეგო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

შალკეს და ჰამბურგს ადლერი მოუნდათ!

ლევერკუზენი ალბათ ლენოს დაიტოვებს

რენე ადლერი

მას მერე, რაც 19 წლის მეკარე **ბერნდ ლენო** „ლევერკუზენის“ კარს ძალიან კარგად იცავს და ყურადღების ცენტრში მოექცა, კულისებში რაღაც-რაღაცებზე ალაპარაკდნენ. საქმე იმაშია, რომ „ბაიერს“ ახალგაზრდა მეკარე „შტუტგარტიდან“ არენდით ჰყავს აყვანილი და როგორც გაირკვა, შვაბები მზად არიან, ლენო კიდევ ერთი წლით გაანათხოვრონ, ან სულაც გაყიდონ. „ბილდის“ ინფორმაციით, „ლევერკუზენს“ ლენოს სამუდამოდ გადაბირება უნდა, რაც ახალ კითხვას ბადებს: რა ბედი ელის **რენე ადლერს** - „ლევერკუზენის“ პირველ მეკარეს, რომელიც ახლა ტრავმირებულია? გაირკვა, რომ გერმანიის ნაკრების მეორე მეკარის ყიდვა „ჰამბურგს“ და „შალკეს“ სურთ.

ლენომ ოთხშაბათს, „გენკთან“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან პერსპექტიული მეკარეა, „ლევერკუზენის“ შეფებისთვის კი ეს მორიგი არგუმენტი გახლდათ საიმისოდ, რომ ბერნდს კარი დიდი ხნით ანდონ. დღევანდელი მდგომარეობით, ლენო „შტუტგარტში“ პირველ იანვარს უნდა დაბრუნდეს, შვაბური კლუბის ბოსები კი მზად არიან, ეს ბიჭი „ლევერკუზენში“ დატოვონ. გამორიცხული არაა, რომ „ბაიერმა“ ზამთარში სულაც ლენოს საბოლოო გამოსყიდვა მოინდომოს, რაზეც „შტუტგარტი“ უარს ალბათ არ იტყვის.

და რა ეშველება 26 წლის ადლერს, რომელიც ახლა ლაზარეთშია? საინტერესო ის არის, რომ რენეს „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაუფორმებია. ლევერკუზენელებმა მას ახალი ნიადაგებით რამდენჯერმე მიმართეს, მაგრამ ადლერთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. როგორც ირკვევა, რენემ „ფარმაცევტებს“ ძალიან მაღალი ხელფასი მოსთხოვა. „კიკერის“ ინფორმაციით, „შალკე“ და „ჰამბურგი“ მზად არიან, ადლერს ასეთი მაღალი ჯამაგირი დაუნიშნონ – ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რენე „ლევერკუზენთან“ ახალ ხელშეკრულებას ზაფხულამდე არ გააფორმებს, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ივლისში ხსენებულთაგან ერთ-ერთ კლუბში უფასოდ გადავა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა

წამიც და ალექსანდერ ფრაი დავიდ დე ხეას კიდევ ერთხელ გაუტანს

ალექსანდერ ოლდ ზრეფორდელი

ჰელეს გიჭი და ასეთი უხეში?

„ბაზელის“ ფორვარდ **ალექსანდერ ფრაის** კარიერა, წესით, დალმასვლით უნდა მიდიოდეს - 32 წლის ფეხბურთელი, რომელიც „რენში“ და „დორტმუნდში“ თამაშით არის ცნობილი, 2 წელიწადია, რაც შშობლიურ შვეიცარიის ჩემპიონატს დაუბრუნდა. თუმცა „ბაზელში“ ის შეუცვლელია, 70-მდე თამაშში ამ კლუბის სახელით მან 50-მდე გოლი გაიტანა, მათ შორის კი - სამი წლევანდელ ლიგაზე. სწორედ ამის გამო „ოლდ ტრეფორდის“ სენსაციის მთავარი შემოქმედი ჩვენი სტატიის მთავარი გმირია - მხოლოდ მან გაიტანა ორ ტურში სამი გოლი. ფრაიმ სულ 7-ჯერ დაარტყა მეტოქეთა კარისკენ და აქედან სამჯერ შედეგიანად.

მოდი, გავეცნოთ უეფას ოფიციალური საიტის ექსპერტთა და სტუმართა შეფასებებსაც, წინასწარ ვიტყვით, რომ ფრაის გვარს იქ ვერ ნახავთ. ექსპერტებმა ტურის საუკეთესო ფეხბურთელად „ზენიტის“ ნახევარმცველი **რომან შიროკოვი** მიიჩნიეს, „პორტუს“ კარში დუბლის ავტორის თამაში 10-ბალიანი სისტემით 9 ქულით შეაფასეს. შემდეგ მოდიან **კაკა** (რეალი, 8,8) და **დიეგო ალვეში** (ვალენსია, 8,4). ფანების რჩეული კი **ლეო მესია** (ბარსელონა), მან 8,9 ბალი მიიღო. შემდეგ მოდიან **დენი უილბეკი** (მანჩესტერი, 8,5) და **მარიო გომესი** (ბაიერნი, 8,2). ვიტყვით, რომ „რეალის“ გერმანელი 10-იანი **მესუთ იოზილი** ერთადერთია, რომელიც ორივე სიმბოლურში მოხვდა.

აი, მე-2 ტურის სიმბოლური ნაკრებები: **ექსპერტთა ვერსია**: *დიეგო ალვეში* (ვალენსია, 8,8) - *დანიელ ალვეში* (ბარსელონა, 7,4), *პაულო ჟორჟე* (აპოელ, 7,4), *გაკარი კონე* (ლიონი, 7,0) - *რომან შიროკოვი* (ზენიტი, 9), *მესუთ იოზილი* (რეალი, 8,3), *ნიკოლას გაიტანი* (ბენფიკა, 8,0), *ლარს ბენდერი* (ლევერკუზენი, 8,0) - *კაკა* (რეალი, 8,8), *ლიონელ მესი* (ბარსელონა, 8,4), *მარიო გომესი* (ბაიერნი, 8,0).

ფანების ვერსია: *მანუელ ნოიერი* (ბაიერნი, 7,3) - *ლუსიო* (ინტერი, 7), *ფილიპ ლამი* (ბაიერნი, 7), *მარსელო* (რეალი, 6,9) - *ფრანკ რიბერი* (ბაიერნი, 7,7), *ჩავი ერნანდესი* (ბარსელონა, 7,5), *რაიან გიგზი* (მან. იუნ, 7,3), *მესუთ იოზილი* (რეალი, 7,2) - *ლიონელ მესი* (ბარსელონა, 8,9), *დენი უილბეკი* (მან. იუნ, 8,5), *მარიო გომესი* (ბაიერნი, 8,2).

იცით თუ არა, რომ...

მატჩი რომ 15-წუთიან მონაკვეთებად დავყოთ, ყველაზე მეტი გოლი ჩემპიონთა ლიგაზე 61-75 წუთების პერიოდზე მოდის - 17, 16 გოლი გავიდა 16-30 წუთის ინტერვალში. ყველაზე ცოტა გოლი გავიდა საწყის 15 წუთში - 7. მსაჯის მიერ წამატებულ დროში 3-3 გოლი გავიდა (I და II ტაიმებში).

ამსტერდამში „აიაქსი“-“ლიონის“ თამაში მარტო იმიტომ კი არ იყო უინტერესო, რომ გოლი არ გასულა, არამედ იმიტომაც, რომ ფაქტობრივად მცდელობაც არ ყოფილა - მეტოქეებმა ჯამში კარში ზუსტად 5-ჯერ დაარტყეს. სხვათა შორის, 5-ზე მეტი დარტყმა არ ყოფილა არც „ტრაბზონი“-“ლილის“ დაპირისპირებაში, მაგრამ იქ ორი გოლი გავიდა - 1:1.

ზაგრებში, „დინამოსა“ და „რეალის“ მატჩში 13-ჯერ დაარტყეს ორივე კარში ზუსტად, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გავიდა („რეალმა“ 1:0 მოიგო). ეს მეკარეების საიმედოობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ლიგაში. 13-დან 11-ჯერ მასპინძელთა მეკარე **ივან კელავას** დაურტყეს (10-ჯერ აიღო).

რა თქმა უნდა, ყველა თამაშში მოწოდეს კუთხური, მაგრამ „ოლიმპიაკოსი“-“მარსელის“ თამაშში ის ძალიან ცოტა იყო - 5.

ზემოთ ნახსენები მატჩი კიდევ ერთი გარემოებით გამოირჩა - დაინიშნა ყველაზე მეტი, 42 ჯარიმა. წარმოიდგინეთ, ყოველ 2 წუთსა და 10 წამში მსაჯი იძულებული იყო ჩაესტვინა. მან 5 ყვითელი ბარათი და ერთი წითელიც უჩვენა მოთამაშეებს.

ამის საპირისპიროდ, ცსკა-“ინტერი“ ყოველ მხრივ თვალსასეირო მატჩი გამოდგა - 5 გოლი გავიდა და მეტოქეებიც ჯამში სულ 16-ჯერ დაჯარიმდნენ.

ყველაზე უხვგოლიანი H ჯგუფია (13), ნაკლები გოლი გავიდა D-ში და E-ში (6-6). ჯ ჯგუფზე ლეგენდების შეთხზვაც შეიძლება - აქ ყველაზე მეტი გაფრთხილება (21) და გაძევებაა (4). თუმცა ამ ჯგუფში არ დაჯარიმებულან (114) ყველაზე მეტჯერ, A ჯგუფში 133 ფოლი დაფიქსირდა.

ბუნებრივია, ბურთს ყველაზე მეტად „ბარსელონა“ აკონტროლებს (69%), კატალონიელებს ამ ორ ტურში 53 წუთის განმავლობაში ჰქონდათ ბურთი. ამიტომაც გაიტანეს ყველაზე მეტი, 7 გოლი ალბათ. საბრალო „გენკი“, ბელგიური გუნდი ორ ტურში ჯამში 22 წუთს ფლობდა ბურთს.

„ბაიერნს“, „ლიონს“, „მარსელსა“ და „რეალს“ ჯერ არ გაუშვიათ გოლი, „აიაქსს“, ზაგრების „დინამოს“, „გენკს“ და „ვილიარეალს“ ჯერ არ გაუტანიათ.

„ტრაბზონსპორმა“ მეტოქეთა კარში სულ 3-ჯერ დაარტყა ზუსტად და 2 გოლი გაიტანა! მაშინ, როცა „ჩელსიმ“ 19-ჯერ დაარტყა ზუსტად მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.

ჯერ არც ერთი აიაქსელი არ გაუფრთხილებიათ.

ყველაზე „სუფთად“ მოთამაშე გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ 12-ჯერ დაჯარიმდა (მატჩში სულ 6-ჯერ), მაშინ, როცა ყველაზე უხეში „ლევერკუზენი“ - 39-ჯერ.

ყველაზე მეტად „ვილიარეალის“ ფეხბურთელებს ურტყამენ ფეხში - 41-ჯერ. არადა, დორტმუნდის „ბორუსიას“ წინააღმდეგ სულ 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

მაურო სარატე (ნაპოლი) ყოველ 19,6 წუთში ერთხელ ურტყამს კარში ზუსტად. **ნილს პეტერსენი** (ბაიერნი) კი უფრო ხშირად - 15 წუთში ერთხელ, თუმცა ის სულ ერთი ტაიმი ათამაშეს ლიგაზე.

ზენიტელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** აცილების დიდოსტატია - ყოველ 16,3 წუთში ერთხელ არტყამს არაზუსტად. არანაკლებ „ყოჩაღობს“ პორტუელი **ჰალკი** - 18,6 წუთში ერთხელ აცილებს.

მხოლოდ კერჟაკოვი 7-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში.

აბედი პელეს უმცროსმა ვაჟმა, 20 წლის **ჯორდან აეუმ** (მარსელი) 41 წუთში სამი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო, ბოლო კი წითლად ექცა.

გაუგებარია, მაგრამ ფაქტია - ლიგის ყველაზე უხეში ფეხბურთელი ჯერჯერობით ამპლუით ფორვარდი **შტეფან კისლინგია** (ლევერკუზენი) - 11 ჯარიმა. ისე, ჯარიმების ინტენსივობით იმავე ჯორდან აეუს (მარსელი) - 6,8 წუთში ერთი ჯარიმა და მსოფლიოს ჩემპიონ **კარლოს მარჩენას** (ვილიარეალი) ვერავინ შეედრება - ვეტერანი ყოველ 12,8 წუთში ჯარიმდება.

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლები

გოლი	ფეხბ.	გუნდი	წუთი
3	ალექსანდერ ფრაი	ბაზელი	179
2	ანდრე აეუ	მარსელი	89
2	დენი უილბეკი	მან. იუნ.	90
2	მარიო გომესი	ბაიერნი	136
2	ედინსონ კავანი	ნაპოლი	155
2	პედრო როდრიგესი	ბარსელონა	159
2	რომან შიროკოვი	ზენიტი	165
2	ფაბიან ფრაი	ბაზელი	167
2	დავიდ ვილია	ბარსელონა	174
2	მუსა სოვი	ლილი	176
2	სეიდუ დუმბია	ცსკა	180
2	ლიონელ მესი	ბარსელონა	180

საგოლე პასები

2	რაიან გიგზი	მან. იუნ.	151
2	ფერნანდო ტორესი	ჩელსი	162
2	ნიკოლას გაიტანი	ბენფიკა	167

კარში დარტყმა (ზუსტი)

6	მაურო სარატე	ინტერი	118
6	დავიდ ვილია	ბარსელონა	174
6	კრისტ. რონალდო	რეალი	180
6	ლიონელ მესი	ბარსელონა	180
5	ოსკარ კარდოსო	ბენფიკა	180
4	ანტონიო კასანო	მილანი	152
4	პედრო როდრიგესი	ბარსელონა	159
4	რობ. ლევანდოვსკი	დორტმუნდი	162
4	ფერნანდო ტორესი	ჩელსი	162
4	ბენუა პედრეტი	ლილი	167
4	ვილიანი	შახტარი	171
4	ალექსანდერ ფრაი	ბაზელი	179
4	ბას. შვაინშტაიგერი	ბაიერნი	180

კარში დარტყმა (არაზუსტი)

11	ალექს. კერჟაკოვი	ზენიტი	180
10	ლიონელ მესი	ბარსელონა	180
9	ჰალკი	პორტუ	168
5	გაფტიმბი გომისი	ლიონი	148
5	ძარიმ ბენზემა	რეალი	157
5	მიშელ ბაშტოში	ლიონი	180
5	შტეფან კისლინგი	ლევერკ.	180

გაცხარებული

7	ალექს. კერჟაკოვი	ზენიტი	180
6	გაფტიმბი გომისი	ლიონი	148
5	დიეგო მილიტო	ინტერი	125
5	მარიო გომესი	ბაიერნი	136
4	ესეკიელ ლავეცი	ნაპოლი	146
4	კოლბეინ სიგტორსონი	აიაქსი	171
4	მარკო შტრელერი	ბაზელი	171

ჯარიმა

11	შტეფან კისლინგი	ლევერკ.	180
8	ბენუა პედრეტი	ლილი	167
8	მარკო შტრელერი	ბაზელი	171
8	ლივიუ ანტალი	ოცელული	180
8	დიდიე ზოკორა	ტრაბზონი	180

ჯარიმა (მასზე)

13	ფრანკ რიბერი	ბაიერნი	180
10	ლიონელ მესი	ბარსელონა	180
9	ედენ აზარი	ლილი	180
8	კევინ მირალიაში	ოლიმპიაკ.	165
8	ნიკოლას გაიტანი	ბენფიკა	167

გაფრთხილება

3	ჯორდან აეუ	მარსელი	41
2	მარსელო	რეალი	73
2	ბრუნო ალვეში	ზენიტი	76
2	დმიტრო ჩიგრინსკი	შახტარი	80
2	გენიამინ ჰუგელი	ბაზელი	87

გაძევება

1	როდ ფანი	მარსელი	8
1	იაროსლავ რაკიცკი	შახტარი	40
1	ჯორდან აეუ	მარსელი	41
1	მარსელო	რეალი	73
1	ბრუნო ალვეში	ზენიტი	76
1	დმიტრო ჩიგრინსკი	შახტარი	80
1	ადრიან სალაგეანუ	ოცელული	82
1	გენიამინ ჰუგელი	ბაზელი	87
1	ხორხე ფუნესი	პორტუ	135

გუნდური სტატისტიკა

გოლები

გოლი	გუნდი	საშ.
7	ბარსელონა	3,5
5	ბაზელი	2,5
4	ბაიერნი	2
4	ცსკა	2
4	მან. იუნ.	2
4	მარსელი	2
4	მილანი	2
4	რეალი	2
4	ზენიტი	2

კარში დარტყმა (ზუსტი)

19	ბარსელონა	9,5
19	ჩელსი	9,5
19	რეალი	9,5
17	ინტერი	8,5
16	ბაიერნი	8
14	ბენფიკა	7
14	ლილი	7

კარისკენ დარტყმა (არაზუსტი)

22	ზენიტი	11
21	პორტუ	10,5
21	ვალენსია	10,5
20	ბარსელონა	10
20	ლიონი	10
18	შახტარი	9

ჯამურები

22	ბარსელონა	11
17	ბენფიკა	8,5
17	დორტმუნდი	8,5
16	აიაქსი	8
16	შახტარი	8

ბურთის ფლობა %

69	ბარსელონა
64	ვალენსია
61	პორტუ
59	ჩელსი
56	ბაზელი
56	მან. იუნ.

ჯარიმა

39	ლევერკუზენი	19,5
37	ოცელული	18,5
36	გენკი	18
36	ოლიმპიაკოსი	18
36	ვილიარეალი	18
35	ბაიერნი	17,5

ჯარიმა (მასზე)

41	ვილიარეალი	20,5
36	ლილი	18
35	ბაიერნი	17,5
32	ტრაბზონი	16
30	ნაპოლი	15
27	ოცელული	13,5

გაფრთხილება

6	ლილი	3
6	ნაპოლი	3
6	ტრაბზონი	3
5	ბაზელი	2,5
5	მან. სიტი	2,5
5	ოცელული	2,5

გაძევება

2	მარსელი	1
2	შახტარი	1

ყველაზე, ყველაზე...

მეტი გოლი მატჩში: 6 - მან. იუნაიტედი-ბაზელი (3:3)
მეტი ზუსტი დარტყმა კარში: 16 - ვალენსია-ჩელსი (1:1)
მეტი აცილება: 22 - მან. სიტი-ნაპოლი (1:1)
მეტი კუთხური: 17 - სიტი-ნაპოლი (1:1), დინამო-რეალი (0:1), აიაქსი-ლიონი (0:0)
მეტი თამაშგარე: 11 - ნაპოლი-ვილიარეალი (2:0)
მეტი ჯარიმა: 42 - ოლიმპიაკოსი-მარსელი (0:1)
მეტი გაფრთხილება: 7 - აპოელ-ზენიტი (2:1)
მეტი გაძევება: 2 - პორტუ-შახტარი (2:1), ბაზელი-ოცელული (2:1)

● მალიორკა

მალიორკას ნადალი გაწვრთნის

შაბათს „ოსასუნასთან“ მატჩში „მალიორკას“ **მიგელ ანხელ ნადალი** გაიყვანს, ოთხშაბათიდან მოყოლებული **მიქაელ ლაუდრუპისგან** მიტოვებული ბალეარული კლუბი ნადალის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ნადალი, რა თქმა უნდა, დროებითი თავკაცია, სანამ კლუბის ხელმძღვანელობა დანიელი სპეციალისტის შემცვლელს მოძებნის. *„კლუბი ახალი მწვრთნელის ძიებაშია, რომელიც გუნდს ახალ სიმაღლეებზე გაიყვანს. როგორც კი ახალი მწვრთნელი დაინიშნება, მე მისი ერთ-ერთი ასისტენტი გავხდები“*, - განაცხადა ნადალმა.

მიგელ ანხელ ნადალი 45 წლისაა, „მალიორკას“ ყოფილ ფეხბურთელს თამაშის სტილის გამო თავის დროზე „მხეცი“ შეარქვეს. ის 1986 წლიდან 1991 წლამდე თამაშობდა ბალეარულ კლუბში, შემდეგ 8 წელიწადი „ბარსელონაში“ გაატარა და ისევ „მალიორკას“ დაუბრუნდა, სადაც 2005 წელს ფეხბურთელის კარიერაც დაასრულა. ნადალს შეეძლო თამაში, როგორც დაცვაში, ასევე ნახევარდაცვაში, ესპანეთის ნაკრებში მან 62 მატჩში 3 გოლი გაიტანა. ესპანეთის ღირსება მან სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიცვა. ნადალი სამი სეზონის განმავლობაში ლაუდრუპის თანაგუნდელი იყო „ბარსელონაში“, „მალიორკაში“ კი ის სწორედ ლაუდრუპის შტაბში მუშაობდა.



გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

განსაკუთრებული კაცი

მოჯის ზაფხულის ფრაზები

„კალჩოპოლის“ ცნობილი მოვლენების შემდეგ, ლუჩანო მოჯი ხუთი წლით მოკვეთეს ფეხბურთიდან, მისი „იუვენტუსი“ კი სერია B-ში დააქვეითეს და ქულებიც უხვად დააკლეს. გავიდა ხუთი წელი, მოჯი ემზადებოდა კიდეც ფეხბურთში დასაბრუნებლად, თუმცა კვლავ გაეხვია სკანდალში, კვლავ ამხილეს მატჩების ჩაწყობის მცდელობაში და უკვე საბოლოოდ მოკვეთეს კალჩოდან. დიახ, თუ ფედერკალჩომ გადაწყვეტილება არ შეცვალა, მოჯი ცხოვრების ბოლომდე ვეღარ გაეკარება იმ საქმეს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს. სამაგიეროდ, არ ცხრება ლუჩანო და დღემდე აქტიურად აკეთებს კომენტარებს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც იტალიურ ფეხბურთში ასე თუ ისე აქტუალურია. ამას წინათ, პრესაში მოჯის ხუთი ყველაზე გახმაურებული გამონათქვამი გამოქვეყნდა, რომელთა შესახებაც ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის ნაკლებად ცნობილია. არ გეგონოთ, ეს ციით, რომის ცირკში სწორედ ჟანგლიორის ვაკანსიაა თავისუფალი“.

4. მოჯი: აბეტე ჭკუასუსტია

საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ლუჩანო მოჯისა და **ჯანკარლო აბეტეს** ერთმანეთისადმი კარგი დამოკიდებულება არასდროს ჰქონიათ. ფედერკალჩოს პრეზიდენტმა პირადად შეიტანა დიდი წვლილი „კალჩოპოლის“ პროცესებში და მოჯის დისკვალიფიკაციაც მისი ინიციატივა გახლდათ. გამომდინარე აქედან, ლუჩანოს კომენტარი ერთ-ერთ თოქშოუში არავის გაკვირვებია:

„აბეტეს გაკრიტიკებას არ ვაპირებ, რადგან ამას არავითარი აზრი არ აქვს. ფედერაციის პრეზიდენტი იმდენად ჭკუასუსტია, რომ იმის უნარიც კი არ აქვს, ჯანსაღი აზრი მოისმინოს და გაითვალისწინოს. აბეტე მეთოდურად ასამარებს იტალიურ ფეხბურთს, ჩვენ შველას ვსაჭიროებთ და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ“.

ლუჩანო მოჯი

მასიმო მორატი

გამონათქვამები წლების განმავლობაში გროვდებოდა, ლაპარაკია ფრაზებზე, რომლებიც გასულ ზაფხულს ითქვა. მაშ ასე, „სენიორ კალჩოპოლის“ ცინცხალი ტოპ-5-ეული...

5. მოჯი რომას გადასწვდა

ლუჩანო მოჯის არასდროს ჰქონია პრობლემები „რომას“ მესვეურებთან, თუმცა ამ ზაფხულს ტრადიცია დაარღვია და დედაქალაქელებსაც გადასწვდა. როგორც ჩანს, „სენიორ კალჩოპოლს“ „ჯალოროსის“ ახალი მეპატრონე **ტომას დი ბენედეტო** არ მოსდის თვალში - დანარჩენებს კომენტარიდან შეიტყობთ:

„ვერაფერს იტყვი, რომაელებმა ნამდვილად იაქტიურეს სატრანსფერო ბაზარზე და ბევრი საინტერესო ტრანსფერიც გაჩარხეს. მაგალითისთვის, მხოლოდ ერიკ ლამელას მოყვანაც კმარა, რომელიც ბურთს ფანტასტიკურად ფლობს და ნამდვილი ჟანგლიორია. ჩემი ინფორმაციით, რომის ცირკში სწორედ ჟანგლიორის ვაკანსიაა თავისუფალი“.

3. ისევ მოჯი და ინტერი

ლუჩანო მოჯისა და „ინტერის“ ურთიერთდამოკიდებულება ცალკე სალაპარაკო თემაა. „კალჩოპოლის“ ერთ-ერთი ინიციატორი სწორედ „ნერაძურის“ პრეზიდენტი, **მასიმო მორატი** გახლდათ და ბუნებრივია, რომ მხარეებს შორის არცთუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. „ინტერს“ მოჯის კრიტიკა არ აკლია და აქვე, კიდევ ერთი ასეთი გამოვლინება:

„რა კომენტარს გავუკეთებდი სამუელ ეტოოს „ანყიში“ გადაბარგებას? - დიდი ხანია ვიცი, რომ მასიმო მორატისთვის მთავარი ფულია და შესაბამისად, კამერუნელის რუსეთში გადაბარგება ნამდვილად არ გამკვირვებია. არავინ თქვას, რომ „ნერაძურიმ“ ამ გარიგებით ფინანსურად ვერ იხეირა, რეალურად სწორედ მილანური გრანდი იყო ყველაზე მეტად ეტოოს გაყიდვით დაინტერესებული. სწორედ ასე მოიქცა მორატი, როდესაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ბარსელონაში“ გაუშვა, თავის დროზე კი რონალდო „რეალს“ მიჰყიდა. „ინტერის“ პრეზიდენტი ყოველთვის მზადაა ფულის სანაცვლოდ საუკეთესო ფეხბურთელსაც კი შეელიოს“.

2. მოჯი და აჟერას ტრიუმფი

„კალჩოპოლის“ პროცესები 2005/2006 წლების სეზონში აგორდა და იმ პერიოდში დასრულდა, როდესაც იტალიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე სასპარეზოდ ემზადებოდა. როგორც იცით, 2006 წელს „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თანაც ამ გუნდში „იუვენტუსის“ არაერთი ფეხბურთელი ასპარეზობდა. მოჯის ერთ-ერთი საგაზეთო კომენტარი სწორედ ამ თემას ეხმაურება:

„ამბობენ, რომ „იუვენტუსი“ ოფისებში იგებდა შეხვედრებს, მოედანზე განვითარებული მოვლენები კი ფიქცია იყო. საინტერესოა, რას იტყვით მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მეტწილად „ბიანკონერის“ ფეხბურთელებით მოიგო. როგორც გამოჩნდა, ჯანლუიჯი ბუფონს, ფაბიო კანავაროს, ჯორჯო კიელინის, ალესანდრო დელ პიეროს და სხვებს თავისუფლად შეუძლიათ, რომ ყველაზე მაღალი მწვერვალები დაიპყრონ. საერთოდ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირადად მე დიდი წვლილი მიმიძღვის იტალიის ნაკრების გაჩემპიონებაში. მაშინ, როდესაც მორატი აქცენტს ლეგიონერებზე აკეთებდა, მე ნაკრებს ფეხბურთელებს ვუმზადებდი“.

1. მოჯი: ინტერს ახალი კალჩოპოლი თუ უშველის

მოგეხსენებათ, სწორედ „კალჩოპოლის“ შემდეგ დაიწყო „ინტერისთვის“ წარმატებული პერიოდი, მიჯრით მოგებულ სკუდეტოებს ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასიც დაემატა. მოკლედ, მასიმო მორატიმ აიხდინა დიდი ხნის ოცნება და დროის მოკლე პერიოდში უამრავი ტროფეი მოიგო. ლუჩანო მოჯი ყველანაირად ცდილობს, რომ ეს წარმატებები შებღალოს, რაზეც მისი კომენტარი ნათლად მეტყველებს:

„როგორც ჩანს, „ინტერის“ სახელზე გაფორმებულ „კალჩოპოლის“ საკრედიტო ბარათზე ლიმიტი უკვე ამოიწურა და მილანური გრანდი ძველ ცხოვრებას უბრუნდება. „ნერაძური“ ყოველთვის ამბიციური გუნდი იყო, მაგრამ ტიტულებს ვერაფრით იგებდა, ეს ტენდენცია კი ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად აღდგება და გაგრძელდება. რას ვურჩევდი მორატის? - იფიქროს ახალი „კალჩოპოლის“ ავორებაზე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაუბრუნდება „ინტერი“ იტალიური და ევროპული ფეხბურთის მწვერვალს“.

აეკ-შტურმი 1:2

A ჯგუფი

რუბინი (რუსეთი)–პაოკ (საბერძნეთი) 2:2

გოლები: 0:1 ათანასიადისი (22), 1:1 ვალდესი (52), 2:1 დიადიუნი (66), 2:2 ფოტაკისი (80)

ჭოტენჰემი (ინგლისი)–შემროკი (ირლანდია) 3:1

გოლები: 0:1 რისე (50), 1:1 პავლიუჩენკო (60), 2:1 დეფო (62), 3:1 დოს სანტოსი (66).

B ჯგუფი

ვორსკლა (უკრაინა)–პანოვერი (გერმანია) 1:2

გოლები: 0:1 აბდელაუ (32), 0:2 პანდერი (44), 1:2 კურილოვი (50).

სპანდარდი (ბელგია)–კოპენჰაგენი (დანია) 3:0

გოლები: 1:0 სეიასი (57), 2:0 ფელიპე (72), 3:0 კანუ (79).

C ჯგუფი

ლეგია (პოლონეთი)–პაპელი თ. (ისრაელი) 3:2

გოლები: 0:1 ტემილე (34), 1:1 ლიუბოჟა (67), 2:1 კომოროვსკი (72-პენ.), 2:2 ლალა (79), 3:2 რადოვიჩი (89).

რაპიდი (რუმინეთი)–ჰსკ (პოლანდია) 1:3

გოლები: 1:0 ალექსა (28), 1:1 ბუმა (43), 1:2 ტოივონენი (88), 1:3 მატავუჟი (90).

D ჯგუფი

ჭალლუი (რუმინეთი)–ციურიხი (შვეიცარია) 2:2

გოლები: 0:1 ალფონსე (32), 1:1 ლოპესი (62-პენ.), 2:1 ტემვანიერა (77), 2:2 ალფონსე (79).

სპორტინგი (პორტუგალია)–ლაციო (იტალია) 2:1

გოლები: 1:0 ვოლფსვინკელი (26), 1:1 კლოზე (40), 2:1 ინსუა (45).

E ჯგუფი

მაქაბი თ. (ისრაელი)–დინამო (უკრაინა) 1:1

გოლები: 0:1 იდეე (9), 1:1 მიჩა (44).

სტოკი (ინგლისი)–ბეშიქთაში (თურქეთი) 2:1

გოლები: 0:1 ჰიბერტი (13), 1:1 კრაუჩი (15), 2:1 უოლტერსი (78-პენ.).

F ჯგუფი

ზალცბურგი (ავსტრია)–სლოვანი (სლოვაკეთი) 3:0

გოლები: 1:0 ლეონარდო (60), 2:0 სარატე (77), 3:0 სვენტო (90).

ბილბაო (ესპანეთი)–ჰსჰ (საფრანგეთი) 2:0

გოლები: 1:0 გაბილონდო (20), 2:0 სუსაეტა (45).

G ჯგუფი

მეტალისტი (უკრაინა)–ალკმაარი (ჰოლანდია) 1:1

გოლები: 0:1 ალტიდორი (26), 1:1 ტაისონი (76).

მალმიო (შვედეთი)–აუსტრია (ავსტრია) 1:2

გოლები: 0:1 ბარაზიტე (17), 0:2 გრიუნვალდი (36), 1:2 რეინჯი (82).

H ჯგუფი

ბრაგა (პორტუგალია)–ბრიუგე (ბელგია) 1:2

გოლები: 1:0 ბარბოსა (53), 1:1 აკპალა (71), 1:2 დონკი (90).

მარიბორი (სლოვენია)–ბირმინგემი (ინგლისი) 1:2

გოლები: 1:0 ვოლასი (29), 1:1 ბურკი (64), 1:2 ელიოტი (79).

I ჯგუფი

სელტიკი (შოტლანდია)–უდინეზე (იტალია) 1:1

გოლები: 1:0 კი (3-პენ.), 1:1 აბდი (88-პენ.).

რენი (საფრანგეთი)–ატლეტიკო (ესპანეთი) 1:1

გოლები: 1:0 მონტანო (56), 1:1 ხუანფრანი (87).

G ჯგუფი

შალკე (გერმანია)–მაქაბი ჯ. (ისრაელი) 3:1

გოლები: 1:0 ფუხსი (8), 1:1 ვერედი (35), 2:1 ფუხსი (65), 3:1 ხურადო (81).

აეკ (კვიპროსი)–სტიაუა (რუმინეთი) 1:1

გოლები: 1:0 მრდაკოვიჩი (59), 1:1 კოსტეა (65).

K ჯგუფი

ჭენჯე (პოლანდია)–ვისლა (პოლონეთი) 4:1

გოლები: 0:1 ბიტონი (8), 1:1 იონგი (32), 2:1 იანკო (45), 3:1 იანკო (57), 4:1 იანსენი (80).

ოდენსე (დანია)–ფულჰემი (ინგლისი) 0:2

გოლები: 0:1 ჯონსონი (36), 0:2 ჯონსონი (88).

L ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი)–ანდერლეხტი (ბელგია) 0:2

გოლები: 0:1 სუარესი (11), 0:2 მბოკანი (71).

აეკ (საბერძნეთი)–შტურმი (ავსტრია) 1:2

გოლები: 1:0 სტანდფესტი (50-საკ. კარში), 1:1 ბურგშტალერი (87), 1:2 ჰაასი (90).

მოსაზრება

ლიპი: საუკეთესო ზიდანია

იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, მარჩელო ლიპის თქმით, ბოლო ოცი წლის საუკეთესო ფეხბურთელი **ზინედინ ზიდანია** და მასთან ახლოსაც კი არ დგას არავინ. ბევრს გაუკვირდა მაესტროს ასეთი მოსაზრება, რადგან 2006 წლის მუნდიალის ფინალური მასტჩის შემდეგ, ზიდანი არაერთხელ გახდა ლიპის კრიტიკის ობიექტი. უფრო სწორად, მარჩელო მის შეგირდს, **მარკო მატერაცის** იცავდა და გზა დაგზა, ზიდანიც შემოელანძღებოდა ხოლმე. ამჯერად კი ალჟირული წარმოშობის ფრანგი ქებით ცაში აიყვანა და შემდეგი განაცხადა:

„ვინ არის ბოლო ოცწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი? - რა თქმა უნდა, ეს ზინედინ ზიდანია, რომელმაც საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს ყველაფერი მოაგებინა. ზიზუს მოედანზე აბსოლუტურად ყველაფრის კეთება შეეძლო, რაც მის თანაგუნდელებზეც შესანიშნავად მოქმედებდა. დღესაც ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ირჯება, მაგრამ ზინედინს ვერც ერთ მათგანს ვერ შევადარებდი. რაც შეეხება ზიდანამდე პერიოდს, საუკეთესო უდავოდ დიეგო მარადონა გახლდათ, რომელიც მოედანზე სასწაულებს სჩადიოდა“.



მარჩელო ლიპი

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

lariwin.com
the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე ვალმერსტონიდან

რაგბი. მსოფლიოს თასი

გმირი ამოროსინო ძირითადში ბრუნდება

რუმინეთის ნაკრებთან მიღწეული გამარჯვების შემდეგ, "ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** გუნდი ერთი დღით დაასვენა. პალმერსტონში ბედად ამინდიც კარგი დაიჭირა და ქალაქის ქუჩები ადგილობრივი მოსახლეობითა და მსოფლიოს თასზე მონანილე გუნდების ქომაგებით აივსო.

ქალაქის ცენტრში, "ქუინ გარდენში" კი მერიის ორგანიზებით კონცერტი და გართობა-თამაშობანი მოეწყო. ერთი სიტყვით, პალმერსტონს დიდი რაგბი ეწვია და ადგილობრივებთან ერთად, სტუმრებიც კარგად გაერთნენ.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი მორაგბეები ვარჯიშისგან თავისუფალნი იყვნენ. თუმცა, ვისაც "სტეჟარის" ძლევაში მონაწილეობა არ მიუღია, დილით ძალოსნობის დარბაზში ივარჯიშა. დღეს ძირითადი წვრთნა ადგილობრივი დროით 16 საათზე დაიწყება, რის შემდეგაც რიჩი დიქსონი არგენტინის ნაკრებთან საბრძოლო შემადგენლობას გამოაცხადებს.

"პუმებმა" კი ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ მოთამაშეთა ვინაობა დანიშნულ დროზე ბევრად ადრე გააცხადა. შოტლანდიის ნაკრებთან მატჩისგან განსხვავებით, მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** ხუთი ცვლილება განახორციელა.

"სკოტებთან" დაპირისპირებაში მძიმედ დაშავდა და "ბორჯღალოსნებთან" ვერ ითამაშებს არგენტინელთა ერთ-ერთი ლიდერი, გუნდის ვიცე-კაპიტანი **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე,** მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში **ლეონარდო სენატორე** დაიკავებს.

ძირითად შემადგენლობაში დააწინაურა ფელანმა "ნარშავებთან" მატჩის გმირი **ლუკას ამოროსინო,** რომელმაც, ფაქტობრივად, თავისი დიდოსტატური სოლო გარღვევით შოტლანდიის ნაკრები მეოთხედფინალის მილმა დატოვა. მარტინ როდრიგესმა კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

22-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა **გონსალო კამაჩო,** მის ნაცვლად გარემარბის პოზიცია ფელანმა ახალგაზრდა **ხუან იმხოფს** ანდო.

„პომების" შერკინების პირველ ხაზში ვეტერან **როდრიგო რონსეროს** ნაცვლად ითამაშებს **მარკოს აიერსა.** მეორეხაზელ **მანუელ კარისას** კი **მარიანო გალარსა** ჩაანაცვლებს. მწყობრში არიან ასევე ვეტერანი პირველხაზელები **მარიო ლედესმა** და **ხუან ფიგალო.**

შეგახსენებთ, რომ არგენტინისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირება პალმერსტონში კვირას, 2 ოქტომბერს გაიმართება. ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ ერთი დღით ადრე შოტლანდიის ნაკრები ინგლისის ეროვნულ გუნდთან მატჩში, თუნდაც ერთი პრემიალური ქულის აღებას შეძლებს.

არგენტინის ნაკრები: **15. ლუკას ამოროსინო, 14. ორასიო აგულა, 13. მარსელო ბოსხი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმხოფი, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. მარკოს აიერსა, 2. მარიო ლედესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მარიანო გალარსა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ხუან ლეგუსამონი, 8. ლეონარდო სენატორე.**

16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. ტომას ვალეხოსი, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლალანე, 21. ავგუსტინ გოსიო, 22. მარტინ როდრიგესი

მარტინ ჯონსონს არმითიჯის სჯერა

B ჯგუფში ყველაფერი ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებების მატჩში გაირკვევა. თეორიულად ისიც კი შესაძლებელია, რომ დაწინაურებული "პომები" პლეი ოფის მიღმა დარჩნენ. საამისოდ "სკოტებმა" ინგლისელებს მინიმუმ ოთხი ლელო უნდა გაუტანონ და ისე დაამარცხონ, რომ პრემიალური ქულის მოპოვების საშუალება არ მისცენ. ასეთივე შედეგი უნდა აჩვენოს არგენტინის ნაკრებმა "ბორჯღალოსნებთან" მატჩშიც. თუმცა, ეს მხოლოდ თეორიაა და თუ განხორციელდა, სასწაულის ტოლფასი მოვლენა იქნება. არადა, რაგბიში სასწაულები ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** შოტლანდიასთან მატჩის 22-კაციან განაცხადში არ შეიყვანა რუმინეთის ნაკრებთან დაპირისპირებაში ჰეთ თრიკის შემსრულებელი გარემარბი **მარკ კუეტო.** მის ნაცვლად "პომების" თავკაცმა ასევე შესანიშნავად მოთამაშე **დელონ არმითიჯი** დააყენა.

გუნდს დაუბრუნდა მეორეხაზელი **კორტნი ლოუ,** რომელსაც ორკვირიანი დისკვალიფიკაცია დაუსრულდა. ინგლისელთა მიერ აქამდე გამართულ ყველა შეხვედრაში მხოლოდ ოთხმა მორაგბემ ითამაშა, ესენია: **ბენ ფოდენი, მანუ ტუილაგი, დენ კოლი** და **ჯეიმზ ჰესკელი.**

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში გუნდის კაპიტანი **ლუის მუდი** 70-ე კეპს მოიხვეჭს. კარიერაში 90-ე მატჩი იქნება ეროვნულ ნაკრებში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონისთვის.**

"დელონ არმითიჯმა შესანიშნავად ითამაშა. მას ტრავმამ საშუალება არ მისცა, ექვსი ერის გათამაშებაში დაგვხმარებოდა. ყოველთვის მჯეროდა, რომ თუ დელონი ფორმაშია, ის გუნდში საუკეთესო იქნება.

რაც შეეხება კორტნი ლოუს, მას ორი კვირაა არ უთამაშია, თუმცა ის შესანიშნავი მორაგბეა და მისი გამოცდილება შოტლანდიასთან მატჩში დიდად წაგვადგება.

არ მინდა ვიფიქრო, ვის რამდენი ქულა აქვს და რამდენი სჭირდება. ეს რაგბია, ის ბრძოლაა. ჩვენც, ისევე როგორც ჩვენი მეტოქე, მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავდივართ" – თქვა მარტინ ჯონსონმა.

ინგლისის ნაკრები: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. მაიკ თინდოლი, 11. დელონ არმითიჯი, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. ბენ იანგზი. 1. მეთ სტივენს, 2. სტივე თომსონი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. კორტნი ლავი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ჯეიმზ ჰესკელი.

16. დილან ჰარტლი, 17. ალექს კორბიშერო, 18. ტომ პალმერი, 19. ნიკ ისთერი, 20. რიჩარდ ვაიგლსვორსი, 21. ტობი ფლუდი, 22. მეთ ბანაჰანი

რუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

გაცხარებულმა რობინსონმა ერთბაშად ექვსი შეცვალა

ამასობაში, შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა**, არგენტინელებთან უმნიშვნელოვანეს მატჩში დრამატული მარცხის შემდეგ, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ექვსი ცვლილება განახორციელა.

გუნდს დაუბრუნდა შერკინების ბურჯი **ევან მურეი**, რომელმაც "პუმებთან" რელიგიური მოსაზრებების გამო არ ითამაშა. არადა, ის საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა და მისი დიდი დამსახურებაა, "სკოტების" შერკინებამ საქართველოს ნაკრების შერკინებას რომ გაუძლო.

რიჩი ვერნონმა რვა ნომრის პოზიციაზე გადაინაცვლა. "ბორჯღალოსნებთან" მატჩში საუკეთესო მოთამაშე **ჯონ ბარკლიმ** კი ფლანკერის ადგილი დაიკავა. თადარიგში გადაინაცვლეს **ალი დიკინსონმა, ნიკ დე ლუკამ და დენ პარქსმა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შოტლანდიის ნაკრებს შანსი აქვს პლეი ოფში გაალწიოს, საამისოდ მას "პომების" შვიდზე მეტი ქულით დამარცხება სჭირდება. მსგავსი შედეგით "სკოტებმა" მეტოქეს ბოლოს 1985 წელს მოუგეს. 25 წლის განმავლობაში შოტლანდიელებმა ინგლისის ნაკრები მხოლოდ ოთხჯერ დაამარცხეს 1990, 2000, 2006 და 2008 წლებში. თუმცა ყველა ჯერზე ანგარიშში სხვაობა ექვს ქულაზე ნაკლები იყო.

"ველინგტონში გადაჭედილი ტრიბუნები შესანიშნავ სარაგბო ატმოსფეროს ქმნიდა. დარწმუნებული ვარ, ოქლენდშიც, ინგლისთან მატჩშიც ასე იქნება. ეს დამატებით მოტივაციას გვაძლევს, რომ ქომაგები არ გავაწბილოთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს შეხვედრა მოვიგოთ" – თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდიის ნაკრები: 15. კრის პატერსონი, 14. მაქს ევანსი, 13. ჯო ანსბრო, 12. შონ ლამონტი, 11. საიმონ დენიელი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. მაიკ ბელრი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. ალი სტროკოში, 7. ჯონ ბარკლი, 8. რიჩი ვერნონი.

16. სკოტ ლაუსონი, 17. ალი დიკინსონი, 18. ნათან ჰაინსი, 19. როს რენი, 20. კრის კაზიტერი, 21, დენ პარქსი, 22. ნიკ დე ლუკა.

B ჯგუფი

საბურნირო მდგომარეობა

1. ინგლისი – 14 ქულა, 2. არგენტინა – 10, 3. შოტლანდია – 10, 4. საქართველო – 4, 5. რუმინეთი - 0

1 ოქტომბერი

ინგლისი-შოტლანდია

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

ღლეს

სამხრეთ აფრიკა-სამოა 11:30

● მოსაზრება

მარკ იგანი: სათამაშო დონეებს შორის განსხვავება შემცირდა

მარკ იგანი

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი დასასრულს უახლოვდება. უკვე გარკვეული წინასწარი დასკვნების გაკეთება შესაძლებელია. IRB-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა რაგბის განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი **მარკ იგანის** მოსაზრებები. აი, რას ამბობს ის:

"მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებამ გვაჩვენა, რომ სათამაშო დონეებს შორის სხვაობა, ელიტურ და ეგრეთ წოდებულ, მეორე დივიზიონის გუნდებს შორის, ისეთების როგორიც საქართველო, რუმინეთი, კანადა, აშშ, იაპონია და სამოაა, საგრძნობლად შემცირდა.

რუმინელებმა მხოლოდ დასკვნით 10 წუთში წააგეს შოტლანდიასთან. საქართველომ ასევე მნიშვნელოვნად გაურთულა ცხოვრება იმავე შეტლანდიასა და ინგლისს. შესანიშნავად ითამაშეს კანადელებმა და იაპონელებმაც. მართალი იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი მარტინ ჯონსონი, როცა თქვა, "გიჟი უნდა იყო, 2011 წლის მსოფლიოს თასზე რომელიმე გუნდი სათანადოდ არ შეაფასოო."

ზემოთქმულის დასტურად სტატისტიკაც გამოდგება. წლეულს ელიტური და განვითარებადი ქვეყნების მატჩებში ანგარიშში სხვაობა საშუალოდ 21 ქულაა. მაშინ, როცა 2003 წლის მსოფლიოს თასზე ის 45 ქულას შეადგენდა, 2007 წელს კი 41-ს.

ვფიქრობ, რომ IRB-მ საინვისტიციო პროგრამა სწორად განახორციელა. ჩვენ სერიოზული ტექნიკური დახმარება გავუწიეთ საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის, კანადის, აშშ-ის და წყნარი ოკეანის კუნძულების ქვეყნების რაგბის კავშირებს, რამაც სრულიად ადეკვატური შედეგი მოგვცა.

მაგრამ, ამასთან ერთად ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გ ზა გვაქვს გასავლელი. საჭიროა აღებულ გე ზს არ გადაეუხვიოთ და აღნიშნულ ქვეყნებს რაგბის კიდევ უფრო განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეეუწყოთ ხელი."

მ.წ. 3-4 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საკალათბურთო კლუბი გამართავს 1996-97 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა შერჩევას. შერჩეული კალათბურთელები არ იბდიან კლუბში თამაშის გადასახადს და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ეკიპირებით. შერჩევა გაიმართება პოლიციის აკადემიაში,

მისამართი: გმირ კურსანტთა ქ. 1

ტელ: 257 35 49

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.Policeacademy.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● მშვილდოსნობა, ნაკრები

ქართულ მშვილდოსნობას GPS უმკურნალებს

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მშვილდოსნობის ფედერაციამ და ფარმაცევტულმა კომპანია GPS-მ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმეს და კომპანია ფედერაციის სპონსორი გახდა. მემორანდუმს ხელი ფედერაციის პრეზიდენტმა **მამუკა ქაცარავამ** და კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **დავით კილაძემ** მოაწერეს. ამ ცერემონიალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციას კი მათთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავაც** ესწრებოდა. ქაცარავამ განაცხადა, რომ სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის ფინანსური დახმარების მიუხედავად, დამატებითი მხარდაჭერა ნამდვილად სჭირდებოდათ და მადლობა გადაუხადა კომპანიას თანამშრომლობისთვის. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიც გაახმაურა. თქვა, რომ კორეელ მწვრთნელ **ან ჰიუნ სანს** ოლიმპიადის ჩათვლით გაუგრძელეს კონტრაქტი. ცხადია, ყველაზე მეტ ინტერესს მსოფლიოს ჩემპიონატზე სკანდალურად დაკარგული თუ წართმეული ლიცენზიებისთვის ბრძოლა იწვევდა - ქართული მხარე საქმის ლოზანის არბიტრაჟში განხილვას აპირებდა და სათანადო გამოცდილების იურისტებიც მოიძიეს ამერიკაში, მაგრამ მათ გასამრჯელოდ ნახევარი მილიონი ევრო მოითხოვეს. ეს კი ბევრად აღემატება ფედერაციის წლიურ ბიუჯეტს და განზრახვაზე ხელი აიღეს. სამაგიეროდ, გუნდის გაძლიერება გადაწყდა, რათა გაისად გასამართ სალიცენზიო ტურნირებს კიდევ უფრო უკეთ მომზადებულები შეხვდნენ. საამისოდ უკრაინიდან **იულია ლობჟანიძე** ჩამოჰყავთ. ის უკვე საქართველოშია და გუნდთან ერთადაც ვარჯიშობს, თუმცა ჯერ საბოლოო შეთანხმება არ შემდგარა. ქაცარავამ განაცხადა, რომ ის ძლიერი მსროლელია და ჩვენს გუნდს უთუოდ გააძლიერებსო. ეტყობა, კორეელი მწვრთნელიც ყაბულსაა და ეს საქმე დროის ამბავია. მით უფრო, რომ დუშეთის შემდეგ ლობჟანიძე უცხოეთშიც მიჰყავთ შეკრებაზე.

„სპორტი ნამდვილად არაა განებივრებული კერძო სექტორის თანადგომით და თანამშრომლობის თითოეული მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა კომპანია GPS-ს, აგრეთვე ქაცარავას და ყველა მწვრთნელს, რომელთა ძალისხმევითაც ქართულმა მშვილდოსნობამ ტრადიციები დაიბრუნა. მისი ამბიციებიც სავსებით გასაგებია, რადგან საამისო პოტენციალიც გააჩნია" - განაცხადა გალდავამ.

პრესკონფერენციაზე ნაკრების სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. ქალთა ნაკრები - **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე** დღეს ლონდონში გაემგზავრება, სადაც 2-8 ოქტომბერს ოლიმპიურ ტესტებში გამოვა. მშვილდოსნები ოლიმპიურ სასროლეთზე ივარჯიშებენ და მომავალი თამაშების არენას გაეცნობიან, მასპინძლები კი საკუთარ შესაძლებლობებს საორგანიზაციო საკითხებში გამოცდიან. იქიდან დაბრუნებული ეს სამეული, რომელსაც, ლობჟანიძე და **ნათია ცინცაძეც** დაემატება, კორეაში გაემგზავრება 2-თვიან შეკრებაზე. საერთოდ, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ოლიმპიადამდე დარჩენილ ამ ერთწლიან პერიოდს გუნდი განსაკუთრებული მომზადებით გაივლის.

ირაკლი თავაძე

● კრივი

კვარტეტს დუეტი შეემატა

AIBA WORLD BOXING CHAMPIONSHIPS

BAKU 2011

sponsored by

Sat&Co

გუშინ აზერბაიჯანის დედაქალაქის რინგზე კვლავ გვასახელეს ქართველმა მოკრივეებმა: AIBA-ს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ზაალ კვაჭატაძემ,** რომელიც წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, ტურნირზე მე-10 ნომრად განთესილ ალჟირელს - ილიას აბადის 9 ქულის უპირატესობით (22:13) აჯობა და მე-2 წრეში გავიდა, სადაც პოლონელი კამილ ჟერემეტას მძლეველ (14:10) თურქს - ონდა სიფალს დაუპირისპირდება. ამ წონის ფავორიტმა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა სერიკ საპიევმა (ყაზახეთი) მესამე რაუნდში ნოკაუტით მოუგო კარლოს სანჩესს (ეკვადორი), ხოლო წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ანდრეი ზამკავოიმ (რუსეთი) ქულებით (14:2) აჯობა მუსტაფა აბდულეის. მე-2 ნომრად განთესილმა ბრაზილიელმა მიკ რიბეირომ მოლდოველ ვასილი ბელოუსთან პაექრობისას პირველსავე რაუნდში მიიღო დისკვალიფიკაცია და შეჯიბრებას გამოეთიშა.

წლევანდელი კონტინენტის პირველობის მესამეადგილოსანია **მიხეილ ბახტიძეც.** (+91 კგ). ბაქოს რინგზე გუშინ მისი მეტოქე იყო მაკედონიელი პრიმისლავ დიმოვსკი. ქართველ მოკრივეს პირველი ბარიერის დაძლევა არ გასჭირვებია - ექსიუგოსლაველს 15:10 მოუგო და 2 ოქტომბერს მესამე ნომრად განთესილ ფილიპ ჰროგოვიჩს (ხორვატია) შეხვდება, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა.

შეგახსენებთ, რომ ათი წონითი კატეგორიიდან ქართველმა მოკრივეებმა შვიდში მოსინჯეს ძალები. მათგან მხოლოდ **გიორგი კილანავამ** (56 კგ) დათმო ორთაბრძოლა, დანარჩენები კი მე-2 წრეში გავიდნენ. კვაჭატაძისა და ბახტიძის გარდა, ესენი არიან **ავთანდილ ჭუბაბრია** (49), **სევერიან ჭილაძე** (52), **ლევან გულედანი** (81) და **დავით გოგიშვილი** (91).

დღეს შეჯიბრებაში ჩაებმება 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **კობა ფხაკაძე** (64 კგ), რომელიც განელ მიხაელ ამოო ბედიაკოს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

● თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

თავისუფლების სტამბოლური შუქ-ჩრდილები

ორნიშნა გამოსვლა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გამოსვლა პოსტფაქტუმ შევაფასეთ, „თავისუფლებზე" კი დღემდე არაფერი გვითქვამს, რადგან ძიუდოს ამბებმა, ცოტა არ იყოს და გადაგვიყოლა.

ძნელია, ერთნიშნად შევაფასოთ სტამბოლში „თავისუფალთა" გამოსვლა, რომლებმაც 3 მედალი, სამივე ბრინჯაოსი, და 4 ლიცენზია მოიპოვეს. პრიზიორები **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მოძმანაშვილი** (120) გახდნენ. რაოდენობრივად შვიდკაცა გუნდისთვის არც ჯილდოების რაოდენობაა ცუდი და არც - საგზურებისა, მაგრამ მედლების ხარისხის გაუმჯობესება ნამდვილად სასურველია. მით უფრო, ქართულ საჭიდაო თემს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 2007 წლის შემდეგ არ ღირსებია. თუმცა მაშინ ბერძენრომაელებმა ივარგეს - ბაქოში **დავით ბედინაძემ** (60) და **რამაზ ნოზაძემ** (96) იყოჩაღეს, თორემ „თავისუფლებმა" ეს ტიტული ბოლოს 2005-ში მოიპოვეს - ბუდაპეშტში **რევაზ მინდორაშვილმა** (84) გაიმარჯვა. დაგვეთანხმებით, დიდი შუალედია და წლეულს მის შევსებას ნამდვილად ველოდით, რადგან გუნდში ძალიან ნიჭიერი თაობა მოვიდა. სამი მედალოსნიდან ორი - ხუციშვილი და მარსაგიშვილი უშუალოდ ამ თაობის წევრია. ისინი, ჯერ კიდევ გუშინ, ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდნენ. თუმცა, ვეტერანი არც 25 წლის მოძმანაშვილს ეთქმის. უბრალოდ, ის გამოცდილებით აღემატება ახალგაზრდა კოლეგებს. ვფიქრობთ, მისთვის ეს ტურნირი ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანი და გარდამტეხიც კი გახდება. მისი ამბავი ყველას მოგეხსენებათ - 2008 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა შემდეგ დოპინგზე ჩავარდა და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. ესეც ძალიან ცუდი, მაგრამ უფრო სავალალო თანამდევი ფსიქოლოგიური პრობლემები აღმოჩნდა - მოძმანაშვილს გაუჩნდა სერიოზული შიში, რომ დამხმარე საშუალებების გარეშე ველარაფერს მოიგებდა. ამას სატურნირო პრაქტიკის დეფიციტიც დაემატა და აქამდე ებრძოდა საკუთარ თავს. მწვრთნელებმა ნელ-ნელა კი გამოიყვანეს მდგომარეობიდან, მაგრამ ამ სენის დასამარცხებლად დიდ ტურნირზე წარმატებაც სჭირდებოდა. ვფიქრობ, მისთვის ასეთად სტამბოლური არენა იქცეოდა - იქ ხომ ისეთ ძლიერ ფალავნებს მოუგო, როგორიც ირანელი მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი **ფარდინ მასოუმი ვალადი**, მასპინძელთა ევროპის ჩემპიონი **ფატიჰ ჩაკიროღლუ** და ამერიკელი მსოფლიოს პრიზიორი **ტერველ დლაგნევი** არიან. ვფიქრობ, ამით მან საკუთარი ძალებისაც ირწმუნა და ისიც, რომ მოგება ყველასთან შეიძლება.

ბოლო ორ სეზონში აშკარაა მოძმანაშვილისა და ხუციშვილის პროგრესიც, თუმცა პირველის შემთხვევაში ამას ახალგაზრდულ ტურნირებზეც თუ ვხედავდით, ხუციშვილს ასაკის გამო წლეულს იქ არ უჭიდავია და ამჯერად სრული მოულოდნელობა შემოგვთავაზა - შემტევ, ძალიან აგრესიულ სტილში იჭიდავა. ადრე ის ძირითადად დაცვიდან ჭიდაობდა, მშვენივრად იცავდა თავს და უფრო მეტოქის შეცდომას ელოდებოდა, ამჯერად კი აგრესიულ, ოღონდ არა უხეშ თავდამსხმელად მოგვევლინა და რაც მთავარია, შესაშური ჟინი, მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. სწორედ ამ თვისებებმა მოაგებინეს ბრინჯაოსთვის შეხვედრა ყაზახ **აბდულკამიკ შაპიევთან**. პირველი პერიოდის დასაწყისში ჩვენებურს კონცენტრაცია გაუჭირდა და მალევე დაკარგა ხუთი ქულა. პერიოდის ბედი, არსებითად, გადაწყვეტილი იყო და ბევრი ფარ-ხმალსაც დაყრიდა, მაგრამ ხუციშვილს წაგების საშიშროებამ თითქოს ბრძოლის სურვილი გაუათკეცა, ისე შეუტია მეტოქეს. მართალია, პერიოდი ვერ მოიგო, მაგრამ ყაზახი საგრძნობლად დაღალა, რამაც შედეგი მომდევნო პერიოდებში გამოიღო, სადაც ისევ აგრძელებდა ზეწოლას და გაიმარჯვა კიდეც. ის დაცვაში ადრეც შეუდარებელი იყო და თუ თვითონ ვერ აგროვებდა ბევრ ქულას, მოწინააღმდეგეებსაც ძალზე ცოტას უთმობდა. მისთვის ქულის ართმევა ნებისმიერი მეტოქისთვის ძნელი იყო. იმედია, ის დაცვაში ჭიდაობის ხელოვნებას სამომავლოდაც შეინარჩუნებს, ხოლო შემტევი სტილის გამომუშავებით კიდევ უფრო მრისხანე გახდა. სასიხარულოა, რომ ისიც და მარსაგიშვილიც ოლიმპიადის წინ უმატებენ და ერთ ადგილზე არ არიან გაჩერებულები. თან ორივე საკმაოდ ჭკვიანი მოჭიდავეა და ხალიჩაზე აზროვნებენ, რაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი პლუსია.

ნაგება არასოდეს არა არის გამართლებული, მაგრამ მედალოსანთა შემთხვევაში ნამდვილად აღსანიშნავია, რომ სამივე დამარცხდა წონის ლიდერთან და არა შემთხვევით მონაწილესთან - ხუციშვილი ირანელ მომავალ ფინალისტ **სადეგ საედ გოუდარზისთან**, მარსაგიშვილიც ასევე მომავალ ფინალისტთან, უკრაინელ მსოფლიოს ჩემპიონ **იბრაგიმ ალდატოვთან**, მოძმანაშვილი - მომავალ ჩემპიონთან, ბელარუს ევროპის ვიცეჩემპიონ **ალექსეი შემაროვთან**. მართალია, შემაროვს მან წლეულს თბილისშიც მოუგო „ოქროს დიდ პრიზზე", მაგრამ ბელარუსი მსოფლიოზე იმდენად კარგად მომზადებული ჩავიდა, ფინალში რუსთა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ბილიალ მახოვს** ზედიზედ მეოთხე პირველობაზე გამარჯვება არ დაანება. ცხადია, ამ სამეულის ნაგება ცუდია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მოსაგები ან მით უარესი - მოგებული შეხვედრები არ დაუთმიათ, როგორც **ვლადიმერ ხინჩეგაშვილს** (55). ალბათ იმ ორთაბრძოლებში დამარცხება, მეტოქეთა სიძლიერიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ლოგიკურიც იყო, თუმცა მთავარი ისაა, რომ მათ მოსაგები შეხვედრები მოიგეს. ეს უკვე მიღწევაა, გარკვეული დონეა, რასაც შენარჩუნება უნდა, ხოლო როცა ამას მოახერხებენ, მერე უკვე იმ ლიდერებსაც დაამარცხებენ. ამიტომ ვხედავ ამ ნაგებებში რაღაც პოზიტიურს იმის მიუხედავად, რომ კარგად მესმის - ძლიერთან მოგების გარეშე ვერასოდეს გახდები ჩემპიონი.

ცალკე სალაპარაკოა ახალი თაობის კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ხინჩეგაშვილი, რომელიც, ვფიქრობ, მაინც გამოუცდელობის გამო დარჩა უმედლოდ და უსაგზუროდ, თუმცა ის მომავალი ოლიმპიადის მაინც ერთ-ერთ ფავორიტად მიგვაჩნია. ბულგარელ **რადოსლავ ველიკოვ მარინოვთან** მეორე პერიოდში მან დამთავრებამდე 5 წამით ადრე დაკარგა ორი ქულა,



თუმცა ისე მომეჩვენა, რომ მეტოქის შემოტევას მოუმზადებელი შეხვდა, თითქოს არ ელოდა, ბულგარელი იერიშზე თუ გადავიდოდა. ასეა თუ ისე, ველიკოვთან მარცხს უფრო გამოუცდელობას ვაბრალებ, თორემ გამოცდილ ფალავანს 5-წამიან მონაკვეთში ორქულიანი უპირატესობის შენარჩუნება არ გაუჭირდებოდა. თუმცა ერთ-ერთ მიზეზად ფიზიკური მომუმზადებლობაც მიმაჩნია. მას ეს ნაკლი ჯერ კიდევ ახალგაზრდულ მსოფლიოზე შევამჩნიე, აქ კი კიდევ უფრო გაუჭირდა. მაგალითად, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ირანელ **ჰასან რაჰიმისთან** დამატებით პერიოდში ლეიბიდან ადგომაც გაუჭირდა, თუმცა სუნთქვა-გამძლეობაზე მეტად მას იქნებ უფრო შტანგებზე ვარჯიში, ფიზიკური ძალა აკლია. იმავე მარინოვთან ჰქონდა შემთხვევა, როცა ფეხში შეუვარდა, ორივე ხელიც ჩაავლო, მაგრამ ვერ წამოდგა, ვერ გადააგდო. არადა, პირველ პერიოდშიც ჰქონდა ანალოგიური შემთხვევა, თუმცა, როცა მწვრთნელებმა დაუძახეს, ადექი, ადექიო, კიდეც წამოდგა და ქულაც გააკეთა, შეხვედრის მიწურულს კი ეს ველარ შეძლო. სავარაუდოდ, მაშინ ვერ ასწია მეტოქე, თუმცა გამოცდილი ბულგარელიც მყისვე ჩააფრინდა ფეხებში - ადგომაში შეუშალა ხელი, წამოდგომა რომ მოეხერხებინა, ქულა გარდაუვალი იყო. სალიცენზიო ტურნირებამდე საკმაოდ დრო რჩება და იმედია, ხინჩეგაშვილი სათანადოდ მოემზადება. ნაგების მიუხედავად, ის მაინც გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მიგვაჩნია.

ირაკლი თავაძე

გაგრძელება იქნება

● ჭადრაკი

ტრიო სათავეში

სლოვენიაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ პირველი მარცხი იწვნია რუმინეთის „ტიმიშოარამ", რომლის შემადგენლობაშიც ქართველი დიდოსტატებიც გამოდიან. კრასნოტურინსკის AVS-მა 3,5:0,5 აჯობა კარპატელებს. მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ **ნანა ძაგნიძე** დაამარცხა, ორგზის ევროპის ჩემპიონმა კატერინა ლახნომ ანა ზატონსკიხს, ხოლო ნატალია პოგონინამ ანასტასია ბოდნარუკს სძლია. „ტიმიშოარა" მშრალი ანგარიშით მარცხისგან **ლელა ჯავახიშვილმა** იხსნა - იგი თეთრებით ევროპის წლევანდელ ჩემპიონს ვიქტორია ჩმილიტეს დაუზავდა.

მეორე და მეხუთე ადგილებზე მყოფი ერევნის "მიკას" და მოსკოვის „გიპრორეჩტრანსის" შეხვედრა 2.5:1.5 დამთავრდა: ნატალია ჟუკოვა-ელინა დანიელიანი 1:0, ბათჰუიანგ მონგონთუული-ჰარიკა დრონავალი 0.5:0.5, ელენა ზაიაცი-ჟუ ჩენი 0:1, ირინა ვასილევიჩი-ლილით მკრტჩიანი 0:1.

ხუთი ტურის შემდეგ "მიკას"(14,0), "ტიმიშოარას" (13,5) და AVS-ს 8-8 ქულა აქვთ. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

ერთეულებში ჩახნაშვილის იმედად

თელავში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე მე-6 ნომრადაა განთესილი **მარგალიტა ჩახნაშვილი.** გუშინ იგი პირველი წრის შეხვედრაში უკრაინელ ირინა ბურიაჩოკს დაუპირისპირდა. პირველი სეტი სტუმარმა 6:3 მოიგო, მეორე და მესამე ხელში ჩახნაშვილმა სძლია მეტოქეს - 6:4, 7:6 და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ქართველმა ჩოგბურთელმა გუშინ მე-2 წრის ორთაბრძოლაშიც მიაღწია წარმატებას - დაძაბულ პაექრობაში რუმინელ იონა-რალუკა ოლარუს აჯობა - 6:7, 7:6, 6:2. ერთეულთა თანრიგის მეოთხედფინალში იგი ჩვენებურთა ერთადერთი წარმომადგენელია, რადგან **სოფიო შაფათავამ** ამერიკელ ჯულია კოენთან წააგო - 7:5, 6:7, 0:6, ხოლო **თათია მიქაძე** სლოვაკ იანა გეპელოვას დანებდა - 2:6, 3:6. რუმინელმა ალექსანდრა კადანტუმ, რომელიც პირველ ნომრადაა განთესილი, ახალგაზრდებში როლან გაროსის შარშანდელი ფინალისტი ელინა სვიტოლინა (უკრაინა) დაამარცხა - 7:6, 6:4. „ბათუმის ნავთობტერმინალის“ წლევანდელმა გამარჯვებულმა ლესია ცურენკომ (უკრაინა, 3) სამ სეტში ხორვატი ანი მაიაჩიკა დაჯაბნა - 1:6, 6:2, 6:1. თექვსმეტი წლის მოსკოველმა ირინა ხრომაჩევამ პირველ წრეში მასზე ოთხი წლით უფროსი უნგრელი რეკა-ლუკა იანი ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:4, გუშინ კი თურქ კაგლა ბუიუკაკას დაამარცხა ფარ-ხმალი - 7:6, 6:7, 6:4. მე-2 წრის დანარჩენი 2 შეხვედრა ასე დამთავრდა: მიხაელა ბუზარნესკუ (რუმინეთი)-ლინა სტანკუტე (ლიტვა) 6:4, 6:4, ალექსანდრა პანოვა (რუსეთი, 4)-ელიზავეტა იანჩუკი (უკრაინა) 1:6, 6:4, 6:1.

მეოთხედფინალში ითამაშებენ: კადანტუ-კოენი, ცურენკო-ხრომაჩევა, ბუზარნესკუ-პანოვა, ჩახნაშვილი-გეპელოვა.

წყვილთა მეოთხედფინალური პაექრობებიდან გუშინ მხოლოდ ორი დუელი შედგა: ბოგდანი, ბუზარნესკუ (ორივე-რუმინეთი)-კოჩ-ბენვენუტო (ჩილე), პენკოვა 6:4, 6:1, ბურიაჩოკი (უკრაინა), იანი (უნგრეთი)-მაიაჩიკა (ხორვატია), ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია) 6:2, 6:4.

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მიქაძე, შაფათავა (ორივე-საქართველო)-დენტონი (იტალია), კლაფნერი (ავსტრია), გორგოძე (საქართველო), გრიმალსკა (იტალია)-ოლარუ (რუმინეთი), ცურენკო (უკრაინა).

ვაჟა დანელია

ლას ვეგასი მოგებით დაიწყო

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (89) წარმატებით დაიწყო ლას ვეგასის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. 21 წლის ქართველი იქ მეორე ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მან „უაილდ ქარდით“ მიწვეული ამერიკელი **ეიშა მუჰამედი** (372) დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა - 2:6, 6:3, 6:2. ახლა მისი მეტოქე რუსი **ვასილისა ბარდინაა**. 23 წლის ბარდინა ურეიტინგოა, თუმცა იყო დრო, როცა ის მსოფლიოს მოწინავე 50-ეულში ირიცხებოდა. ლას ვეგასამდე რუსს 2 წელი არსად უთამაშია.

წყვილთა ბადეში ტატიშვილისა და ამერიკელი **ჯეიმი ჰემპტონის** (135) დუეტი პირველივე წრეში დამარცხდა „უაილდ ქარდით“ მიწვეულ მასპინძლებთან, **როჯერსთან** და **უილთან**, 3:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქალათბურთი. ქართველი ესპანეთში

ბექა ბურჯანაძე უნიკახელი ტრემელ დარდენის წინააღმდეგ მატჩისას

ბექა და ევროკალათბურთის მექა: ესპანეთი

ევრობასკეტის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** გუნდში ახალგაზრდა კალათბურთელების ინტეგრაციაზე ილაპარაკა. მწვრთნელები საქართველოს ჩემპიონატის წარმომადგენლებსაც მისცემენ თავის გამოჩენის შანსს, თუმცა პირველი, ვინც ნაკრებში მოხვედრის პრეტენდენტად უნდა განვიხილოთ **ბექა ბურჯანაძეა**.

იგი 1994 წელსაა დაბადებული, ახალგაზრდაა, მესამე წელიწადია ესპანეთში ვარჯიშობს, „კახასოლის“ შემადგენლობაში ირიცხება. ვარჯიშობს და თამაშობს კიდეც: თავიდან ჭაბუკთა გუნდში გამოდიოდა, ახლა კი მთავარ შემადგენლობაშია და ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისთვის „კახასოლთან“ ერთად აქტიურად ემზადება. მწვრთნელმა, **ხოან პლაცამ** ბექას შარშანაც გამოუცხადა ნდობა - „კახასოლთან“ ერთად ევროთასის ოთხთა ფინალის სათამაშოდ იტალიაში წაიყვანა, მაგრამ მაშინ მოედანზე არ გაუყვანია. 2011-12 წლების მოსამზადებელ ეტაპზე კი მწვრთნელი ბურჯანაძეს 10-15 წუთს ათამაშებს. დასაწყისისთვის ესეც კარგია, რადგან ბექა ჯერ 17 წლისაა. მას ხან მსუბუქი, ხანაც მძიმე ფორვარდის პოზიციაზე უწევს თამაში. უფრო მეტ დროს მაინც მესამე ნომრად ატარებს.

- წინასასეზონო მატჩებისას მწვრთნელი მენდობა. „კახასოლის“ მსუბუქი ფორვარდი ხოან სასტრე ტრავმირებულია და ამიტომ ამ პოზიციაზე სათამაშო დროს ძირითადად მე და პანჩო იანსენი ვიყოფთ. ძნელი სათქმელია, როგორ შეიცვლება სიტუაცია სასტრეს დაბრუნების შემდეგ, თუმცა, მთავარია, რომ მწვრთნელი ჩემი მუშაობით უკმაყოფილო არ არის, - გვითხრა ბურჯანაძემ.

ხოან პლაცა „კახასოლამდე“ მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა და ესპანეთში ძლიერ სპეციალისტად ითვლება. შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდი კიდევ უფრო გააძლიერა და მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას.

- შარშანდელთან შედარებით უკეთესი გუნდი გვეყოლება. დაგვემატა კარლ ინგლიში, რომელიც გამორჩეული მსროლელია. ასევე გუნდში დარჩა პოლ დევისი, რომელიც შარშან ესპანეთის ჩემპიონატის სნაიპერთა შორის მეხუთე იყო. მწვრთნელიც კარგია და იმედი მაქვს, შარშანდელზე უკეთეს შედეგს ვუჩვენებთ, - ოპტიმისტურადაა განწყობილი ბექა ბურჯანაძე.

ესპანეთის ჩემპიონატი 9 ოქტომბერს დაიწყება და პირველ ტურში „კახასოლის“ სტუმრად „კახა ლაბორალს“ დაუპირისპირდება. ქვემოთ კი საკონტროლო მატჩებსა და მათში ბექას მონაგარზე მოგითხრობთ.

ანდალუსიის თასის ფინალში „კახასოლის“ მეტოქე მალაგის „უნიკახა“ იყო. გამარჯვებულის გამოსავლენად არც 40 წუთი აღმოჩნდა საკმარისი და არც - 45... საქმე ისაა, რომ თასის მფლობელი ორი მატჩის ჯამში გამოვლინდა. პირველი შეხვედრა სევილიაში გაიმართა და ფრედ, 80:80 დასრულდა. მატჩის ბომბარდირი **სატორანსკი** გახდა - 18 ქულა ჩააგდო, ბურჯანაძემ 2 ქულა მიითვალა. „უნიკახასა“ და ბულგარეთის ნაკრების უკანახაზელმა **ერლ როულანდმა** 13 ქულა ჩააგდო.

განმეორებით შეხვედრას მალაგამ უმასპინძლა და ადგილობრივი გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა - 91:59. „უნიკახას“ წარმატება ძირითადად **ფრილანდის** დამსახურებაა, რომელმაც 22 ქულას მოუყარა თავი. როულანდმა 2 ქულა ჩააგდო, ხოლო ბურჯანაძემ მატჩი უქულოდ დაასრულა.

ანდალუსიის თასამდე „კახასოლმა“ საკონტროლო მატჩი „სარაგოსასთან“ გამართა. გამარჯვება სევილიელებს დარჩათ (89:78). ამ მატჩში **პოლ დევისმა** 21 ქულა მოინაგრა, ხოლო 201 სმ სიმაღლის ქართველმა ახალგაზრდამ - 4.

„კახასოლმა“ ამხანაგურად **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ კლუბ „ფუენლაბრადასაც“ აჯობა - 63:58. ბექამ ქულათა გრაფის შევსება ვერ შეძლო, მისი თანაგუნდელებიდან კი ყველაზე მეტი **ბოგდანოვიჩმა** ჩააგდო - 12.

ვაჟა სიმონიშვილი

ქალათბურთი. ქართველი იტალიაში

ისევ მაკალები

ბო მაკალები აჩრდილივით თან დაგვყვება: ევრობასკეტზე მაკედონიის მასპინძლობით საქართველოს ნაკრებს 27 ქულა რომ ჩაუგდო, გემახსოვრებათ. მას მერე ბომ „მონტეპასკისთან“ ერთად **ნიკა მეტრეველის** „დინამო სისარი“ დაამარცხა, ახლა კი **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსს“ აჯობა.

ბოლონიელები და სიენელები ერთმანეთს „ბელაველიას მემორიალზე“ ეცილებოდნენ პირველობას. „მონტეპასკიმ“ პირველივე პერიოდში 10-ქულიანი უპირატესობა დაიბევა და მეოცე წუთამდე შეინარჩუნა. მეოთხე რაუნდის დაწყებამდე კი ვიქტორ სანიკიძის თანაგუნდელებმა სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს (50:54), თუმცა საბოლოო ანგარიშიც (65:79) ნათელჰყოფს, რომ მეოთხე პერიოდი „მონტეპასკისა“ იყო.

ვიქტორმა სიენელებს 6 ქულა ჩაუგდო, ხოლო მაკალებმა 9 ქულა მოაგროვა. მატჩის ბომბარდირი გამარჯვებულთა იტალიელი მოთამაშე **პიეტრო არადორი** გახდა - 21 ქულა.

მაკალებისა და ქართველთა დაპირისპირებები ჯერაც არ დასრულებულა: შაბათს, 1 ოქტომბერს „მონტეპასკი“ **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს“ იტალიის სუპერთასის მატჩში „დაეჭიდება“.

ვაჟა სიმონიშვილი

ქალათბურთი. ევროჩელენჯი

სოხუმმა და მინსკმა განაცხადეს

4 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში „სოხუმი“ ბელარუსის „მინსკს“ დაუხვდება. მატჩი ევროჩელენჯის ეგიდით გაიმართება და წყვილში გამარჯვებული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. თბილისის შემდეგ გუნდები ბელარუსში ჩავლენ და განმეორებით მატჩს 11 ოქტომბერს ითამაშებენ. ორივე შეხვედრა ადგილობრივი დროით 19 საათზეა დანიშნული.

წინასწარ ისიცაა ცნობილი, რომ „სოხუმსა“ და „მინსკს“ შორის გამარჯვებული ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე G ჯგუფში მოხვდება, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან გერმანიის „ბონი“, თურქეთის „ტურკ ტელეკომი“, ხოლო მეოთხე გრაფას ევროთასის პლეი ოფში თურქეთის „კარსიაკასა“ და საფრანგეთის „ლე მანს“ შორის დამარცხებული შეავსებს (პირველი მატჩი ფრანგებმა თურქეთში 80:73 მოიგეს, განმეორებითი 4 ოქტომბერს გაიმართება).

თითო ჯგუფიდან საუკეთესო ორი კლუბი მომდევნო ეტაპზე გავა და იქაც ოთხგუნდიანი ჯგუფები შეიქმნება, რასაც მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი მოჰყვება.

27 სექტემბერს, პირველ მატჩამდე ერთი კვირით ადრე ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილეებმა განაცხადები შეავსეს. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს როგორც „სოხუმის“, ასევე მისი მეტოქის, „მინსკის“ შემადგენლობის გაცნობა.

ვაჟა სიმონიშვილი

სოხუმი

მოთამაშე	პოზიცია	სიმ.	დაბ.თარ.	2010-11
სერგო ათუაშვილი	ცენტრი	220	28.03.1985	არმია
მიხეილ გერიშვილი	ფორვარდი	203	12.04.1987	თსუ
ირაკლი ჩლაიძე	უკანახაზელი	198	07.12.1989	სოხუმი
გიორგი გაფრინდაშვილი	გამთამაშებელი	188	25.03.1988	თსუ
გრენდონ გაი	ფორვარდი	203	08.08.1982	პეპინსტერი (გელგია)
ვახტანგ ძადარია	ცენტრი	206	20.07.1989	მინერალ არეა (NJCAA, აშშ)
ლაშა ფარღალავა	უკანახაზელი	190	07.02.1987	სოხუმი
ლევან ფაცაცია	მსროლელი	198	24.09.1988	სოხუმი
პიერ პირსი	გამთამაშებელი	192	07.06.1983	აზოვმაში (უკრაინა)
ფრენკ რობინსონი	მსროლელი	194	01.06.1984	მაძაბი (პაიფა, ისრაელი)
მარკ სალიერსი	ფორვარდი	204	28.02.1979	გიელა (იტალია)
ირაკლი სორდია	უკანახაზელი	190	20.11.1985	სოხუმი

მთავარი მწვრთნელი: აინარს ბაგაცკისი
მწვრთნელები: დიმიტრი ჟაკობავი, ვაჟა კვარაცხელია.

მინსკი

მოთამაშე	პოზიცია	სიმ.	დაბ.თარ.	2010-11
ვლადიმირ ჩარკო	უკანახაზელი	200	1974	მინსკი
დე ვონ ჰარდინი	ცენტრი	211	1986	იაშე (ისრაელი)
ჯასტინ ჰოუკინსი	ფორვარდი	201	1985	სტრასბური (საფრანგეთი)
ჯულიუს ჰოჯი	ფორვარდი	203	1983	ჯიანგსუ (ჩინეთი)
ვალიასტინ იჯნატჩუკი	უკანახაზელი	192	1991	მინსკი
ჯასტინ კნოქსი	ფორვარდი	205	1989	მიუნხენი (გერმანია)
ალექსანდრე კოჟინეცი	ცენტრი	207	1977	მინსკი
ალექსანდრე კუდრიავცევი	გამთამაშებელი	190	1980	მინსკი
ალექსანდრე ლაშკევიჩი	ფორვარდი	204	1978	მინსკი
ვერდან ნაკიჩი	გამთამაშებელი	184	1989	ბროტნიო (ბოსნია)
ალექსანდრე სემიანიუკი	ფორვარდი	205	1993	მინსკი
ალექსანდრე ტრატსინეტსკი	ფორვარდი	200	1986	მინსკი
როსტისლავ ვერგუნი	უკანახაზელი	196	1982	მინსკი

მთავარი მწვრთნელი: ანდრეი კრივოსოსი
მწვრთნელი: იგორ კორნეენკოვი

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ანდრეი შევჩენკო

ემოცია და სურვილი

გუშინ 2004 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელი ანდრეი შევჩენკო 35 წლის გახდა. იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე ის რუსულ "სპორტ ექსპრესს" უამრავ საინტერესო თემატიკაზე ელაპარაკა. სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მასალა მთლიანად მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს.

- როგორი განწყობით ელოდებით დაბადების დღეს?

- ჩემი დაბადების დღე დიდად არც არასოდეს მყვარებია, რადგან ძალიან ბევრი ყურადღება მექცევა და ბევრი ვინმე მირეკავს. საუკეთესო საჩუქარი ჩემთვის არის ის, რომ ჩემთან ჩემი მეგობრები მოვიდნენ, კეთილი და ბედნიერი ატმოსფერო შეიქმნას. ასე იყო, მაგალითად, "ჩელსიში" პირველი სეზონის დროს, როცა 30 წლის გავხდი. მაშინ ჩემთან მილანელებიც მოვიდნენ მოსალოცად და ჩელსელებიც. კარგი იყო "მილანში" პირველი სეზონის დროსაც. მთელი გუნდი რესტორანში შევიკრიბეთ, ჟორჟ ვეამ მიმღერა, ყველანი ვცეკვავდით. საოცარი ატმოსფერო იყო. "დინამოშიც" არაერთხელ აღმინიშნავს კარგად.

- როგორია 35 წლის ასაკში თამაშის მოტივაცია?

- შინაგანი, რადგან ჯერ კიდევ მსიამოვნებს ფეხბურთის თამაში. მოვდივარ ვარჯიშებზე, ვმუშაობ, ვყვირი, ლამის თავს ვიკლავ. ეს ემოციებია და ამით ღირს ცხოვრება.

- ეს სურვილი ნაკარნახებია თუ არა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატით?

- საერთოდ არა. ის დამოკიდებულია მხოლოდ ჩემს შინაგან სამყაროზე.

- ამჟამინდელი კარგ ფორმაში მყოფი შევჩენკო მილანელი შევჩენკოს რამდენი პროცენტი დარჩა?

- გამოცდილება ახლა უფრო მეტი მაქვს, თუმცა ფიზიკურად, ბუნებრივია, შედარება არ შეიძლება. ველარ დავრბივარ ისე, როგორც ადრე შემეძლო. თუმცა თავს კარგად ვგრძნობ. სტაბილურობის შეგრძნება გაჩნდა, ხერხემალი უკვე ნაკლებად მაწუხებს.

- ეს იმ ექიმის გამო ხომ არა, ანატოლი ტიმოშჩუკმა რომ გირჩიათ გერმანიაში?

- გერმანიის გამოც და იმის წყალობითაც, რომ კიევში კარგი ფიზიოთერაპევტი ვნახე.

- სიომინმა თქვა, რომ წონაში ძალიან დაიკელით.

- დიახ, 6 კილოგრამი დავიკლე იმის გამო, რომ ყბის მოტეხილობის შემდეგ უბრალოდ ჭამა არ შემეძლო. თუმცა ბოლოს ცოტა მოვიმატე უკვე. ოპტიმალურმდე 2 კილო კიდევ მაკლია.

- უეფამ გამოაცხადა, რომ სპეციალურ ჯილდოს დააწესებს იმ ფეხბურთელებისთვის, ვისაც ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (თავად შევჩენკოს უკვე 102 აქვს. რედ.). თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ ზღვარის გადალახვა?

- არა, მე არ ვარ სტატისტიკის დიდი მოყვარული და არც ჯილდოებზე ვარ დაგეშილი. სახლში ოქროს ბურთის გარდა არაფერს ვინახავ. ყველაფერს დედაჩემი აგროვებს.

- რა დამოკიდებულება გაქვს "ანჟის" მიმართ. გაგაკვირვათ იქ ეტოოს გადასვლამ?

- არ გამკვირვებია. გამოჩნდა კარგი პრეზიდენტი კერიმოვი, ვინც გადაწყვიტა ფეხბურთში ფული ჩაედო. ის იწვევს ხალხს, წყვეტს მათ საყოფაცხოვრებო და ფინანსურ პრობლემებს. სურს, რომ მაღალი დონის გუნდი გააკეთოს. ამ მოვლენის მიმართ დადებითი განწყობა მაქვს.

- თქვენ არ მიუწვევიხართ?

- არა

- ასე რომ მომხდარიყო?

- ვერ ვხედავ სადმე სათამაშოდ გადასვლის აზრს, რადგან ვთამაშობ გუნდში, სადაც მინდა კიდეც ჩემპიონატის მოგება.

ანდრეი შევჩენკოს ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ სიამოვნებს

- ერთი წამითაც კი არ გინანიათ ევროპიდან კიევში დაბრუნება?

- არა. არ მინანია არც "ჩელსიში" გადასვლა და არც იქიდან წამოსვლა. ასე მოხდა, ეს ცხოვრებაა. პირიქით, ლონდონში უამრავი საინტერესო მოვლენის მომსწრე გავხდი, ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ჩემთვის ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადამიანისთვის. ყველაფერი ისე ვერ მოხდება, როგორც მე მინდა, ხომ გესმით? ყველაფერს უნდა გავმკლავებოდი.

- თქვენთვის არ იყო მოულოდნელობა ის, რომ "ჩელსიმ" კარლო ანჩელოტი ჩემპიონობისა და თასის მოპოვებიდან ერთ წელიწადში გაუშვა?

- ეს შეკითხვა რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის. საამისოდ ალბათ რაღაც მიზეზები ჰქონდათ. პირადად დღემდე ვინარჩუნებ ურთიერთობას კარლოსთანაც და კლუბ "ჩელსისთანაც".

- "მილანისა" და "ჩელსის" ახლანდელ ახალგაზრდა მთავარ მწვრთნელებს ალეგრისა და ვილაშ ბოაშს თუ იცნობთ?

- დიახ, ორივეს. ალეგრის "მილანთან" კონტრაქტის გაფორმების დღეს შევხვდი. ბაზაზე ის ზუსტად მაშინ მივიდა, როცა გალიანისთან დასალაპარაკებლად ვიყავი შესული. კაბინეტიდან შემდეგ იმ დარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც ჯილდოებია განთავსებული. იქ ხედავ ჩემპიონთა ლიგის შვიდ თასს, უამრავ საჩემპიონო ტიტულს, სახელგანთქმული ფეხბურთელების ფოტოებს კლუბის ისტორიიდან. მეც მიყვარს ყველაფერ ამის თვალიერება. მილანში როცა ჩავდივარ, კლუბს ყოველთვის ვსტუმრობ. გალიანისა და ბრაიდას ვნახულობ, ასევე სხვებსაც, ვინც კლუბში წლების განმავლობაში მუშაობს.

- "ინტერი" წლების განმავლობაში ხდებოდა იტალიის ჩემპიონი. თქვენთვის ეს იყო თუ არა ნერვიულობის საბაბი?

- არა, ეს ნორმალური ციკლია. ჯერ "მილანს" ჰქონდა აღმავლობის ხანა, შემდეგ ჩავარდნა, ახლა ისევ ფორმაშია. ყველა დიდ კლუბს აქვს ჩავარდნის ეპოქა. სამუდამო არაფერია. "მილანი", "ბარსელონა", "რეალი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ბაიერნი" – ეს მხოლოდ დასახელებები არ არის, განსაკუთრებულ ენერგეტიკასთან გვაქვს საქმე.

- სადღაც წელიწადნახევრის წინ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ "მილანი" ქვრებოდა და უცბად...

- "მილანი" არასოდეს "ჩაქვრება" იქამდე, ვიდრე მისი პრეზიდენტი ბერლუსკონია. ამ დიდ კლუბში ყოველთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

- თქვენი აზრით, "ბარსას" დომინირება რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს?

- ვფიქრობ, ვიდრე მესი და კომპანია თამაშობს იქამდე.

- შარშან მესიმ ვერაფერი მოიგო, მაგრამ "ოქროს ბურთი" მიიღო. თქვენ, როგორც ამ პრიზის ერთ-ერთმა მფლობელმა, ეს ამბავი როგორ მიიღეთ?

- მესი ფეხბურთის ისტორიაა. იმის მიუხედავად, მოიგო თუ არა მან რამე, მოედანზე ისეთ რამეებს აკეთებს, რომ... ხარისხით, კლასით, გუნდისთვის გაწეული სამუშაოთი მასთან ახლოსაც კი ვერავინ მოდის. თუმცა ეს იყო წელიწადი, როცა ესპანეთმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მესის, ჩავისა და ინიესტას შორის ამ პრიზის გაყოფა შეიძლებოდა (ილიმის). უბრალოდ, არ შემიძლია მასზე წინ ვინმეს დაყენება.

- კრიშტიანო რონალდო მისგან შორს დგას?

- არ ვიცი სად დგას კრიშტიანო რონალდო, მაგრამ მესი ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი სხვა.

ლევან ბიბილაშვილი

საფრანგეთის ნაკრები

ბლანმა დაასახელა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ევროპის 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. "სამფეროვანთა" შორის ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიწვეულია "ლიონის" 26 წლის თავდამსხმელი **ბაფეტიმბი გომისი**, ვინც ლიგა 1-ში 6 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირთა დავაში **ალან ტრაორესთან** ერთად 1-2 ადგილებს იყოფს. ფრანგების შემადგენლობას მთლიანად აქვე გთავაზობთ.

მეკარეები: სედრიკ კარასო (ბორდო), უგო ლორისი (ლიონი), სტივ მანდანდა (მარსელი)

მცველები: ერიკ აბიდალი (ბარსელონა), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), იუნეს კაბული (ტოტენჰემი), ბაკარი სანია, ლორან კოშელნი (ორივე არსენალი), ადილ რამი (ვალენსია), ანტონი რევეიერი (ლიონი)

ნახევარმცველები: იოან კაბაი (ნიუკასლი), ფლორან მალუდა (ჩელსი), სამირ ნასრი (მანჩესტერ სიტი), ალუ დიარა, მატიე ვალბუენა (მარსელი), იან მვილა (რენი), მარვენ მარტენი (სოშო), ბლეზ მატუიდი, ჟერემი მენეზი (ორივე პარი სენ-ჟერმენი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი)

თავდამსხმელები: კარიმ ბენზემა (რეალი), კევინ გამეირო (პარი სენ-ჟერმენი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), ლოიკ რემი (მარსელი)

ლევან ბიბილაშვილი

ფრანკ რიბერი ფანტასტიკურ ფორმაშია

დანაშაული

ბრემბლის ნარკოსექსუალური თავგადასავალი

ჩვენში წლობით ტიტუს ბრამბლად ცნობილი „სანდერლენდის" 30 წლის ცენტრალური მცველი, **ტაიტუს ბრემბლი** ოთხშაბათს ღამით ქალაქ მიდლსბროს პოლიციაში დაკითხეს და დილის 6 საათზე თავდებით გამოუშვეს. მას სექსუალურ ძალადობასა და ეგრეთ წოდებული „ა" კლასის ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით აქვს პრობლემა. ფეხბურთელი, რომელმაც ორშაბათს „სანდერლენდისა" და „ნორვიჩის" შეხვედრაში (ნორვიჩელებმა გაიმარჯვეს 2:1), ოთხშაბათს ტისაიდში მიიღო მონაწილეობა, იარმის მახლობლად დააკავეს.

ფეხბურთელის გარშემო ატეხილმა სკანდალმა, რასაკვირველია, „სანდერლენდის" შეფობაც შეაშფოთა და ისინი ბრემბლის გუშინ საგანგებოდ შეხვდნენ. კერძოდ, ლაპარაკია მწვრთნელ **სტივ ბრუსსა** და თავმჯდომარე **ნილ ქუინზე**. კლუბის პრესმდივანმა განაცხადა:

„ჩვენი კლუბი ცდილობს, ბრემბლისთან დაკავშირებული საქმის ყველა წვრილმანი გამოიკვლიოს. ამ წუთას მეტს ვერაფერს მოგახსენებთ".

ფაქტია, რომ ტაიტუს ბრემბლი შაბათს სანდერლენდში „ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მის ადგილს სასტარტო შემადგენლობაში დაიკავებს **მაიკლ ტერნერი**, ფეხბურთელი, რომელსაც აპრილის შემდეგ მუხლის ტრავმის გამო არ უთამაშია.

ილია ბაბუნაშვილი

ამბები

ევიანი ლიდერებს კარგავს

"ნანსისთან" გასვლით მატჩში "ევიანს" სამი ლიდერი ვერ დაეხმარება. კვირის დასაწყისში გაირკვა, რომ გუნდს თავდამსხმელი, 23 წლის **კევინ ბერიგო** არ ეყოლებოდა, ახლა კი ექიმებმა 26 წლის ძირითადი მარცხენა მცველის **გიიომ რიპერისა** და 35 წლის საყრდენი ნახევარმცველის **სედრიკ ბარბოსას** ასპარეზობაც გამორიცხეს. უკანასკნელებს მუხლის ტრავმა აწუხებთ. თუმცა საექიმო შტაბმა **ბერნარ კასონის** კარგი ამბავიც ახარა, მას შეუძლია 31 წლის **კრისტიან პოულსენი** დაიხმაროს. ვეტერანმა დანიელმა წელს ერთადერთი შეხვედრა ჩაატარა და ისიც მე-5 ტურში "ბორდოსთან", სადაც ტრავმა მიიღო. მას ორი კვირაა არ უვარჯიშია, თუმცა მაინც ნორმალურ სათამაშო კონდიციებშია.

აფრიკა სამხრეთ აფრიკაში

სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციამ დაადასტურა, რომ ლიბიას, გასაგები მიზეზების გამო, კონტინენტის 2013 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვა და სამხრეთ აფრიკას გადასცა. ეს გადაწყვეტილება ორგანიზაციამ ოთხშაბათს ქაიროში გამართულ კონფერენციაზე მიიღო. ამასთან, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ლიბია აფრიკის ეროვნებათა თასს 2017 წელს მიიღებს. 2015-ის მასპინძელი რა ხანია, გარკვეულია და ეს მაროკოა. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორს აღნიშნული ტურნირისთვის მოსამზადებლად წელიწადზე ცოტა მეტი დრო რჩება, თუმცა ამ ქვეყანაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის პრობლემა არ დგას და სამხრეთაფრიკელებს დრო სტუმართა ღირსეულად დასახვედრად უნდა ეყოთ.

აი, აფრიკის უახლოეს ეროვნებათა თასს კი 2012 წლის იანვარ-თებერვალში ეკვატორული გვინეა და გაბონი ერთად უმასპინძლებენ, რის შემდეგაც ტურნირი მხოლოდ კენტ წლებში ჩატარდება.

კამათში არსენალიც ჩაება

"აიაქსის" ბელგიელი ცენტრალური მცველი, 24 წლის **იან ფერტონგენი** ზამთარში სათამაშოდ შეიძლება "არსენალში" გადავიდეს, - წერს ბრიტანული გამოცემა "დეილი სტარი". ლონდონელებმა აღნიშნული წინადადებით "აიაქსს" უკვე მიმართეს. ფეხბურთელს ამსტერდამელებთან ხელშეკრულება 2013 წელს უმთავრდება და ჯერჯერობით "აიაქსის" წინადადებებს კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ უარით პასუხობს. მას ძალების მოსინჯვა ერედივიზიეზე ძლიერ ჩემპიონატში სურს. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე მისადმი ინტერესს ადასტურებდნენ "ლივერპული", "ინტერი", "ბაიერნი", "მანჩესტერ სიტი" და "ლიონი", თუმცა "აიაქსმა" კაპიტნის გასხვისებაზე უარი თქვა.

ბაშტოში დარჩა

იესპიენ-ის ცნობით, ბრაზილიის ნაკრებისა და "ლიონის" 28 წლის უნივერსალმა მარცხენაფლანგელმა **მიშელ ბაშტოშმა** კლუბთან ახალი ხელშეკრულება 4 წლით, 2015 წლის ივნისის ბოლომდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ ლამის მთელი ზაფხულის განმავლობაში იყო ლაპარაკი, რომ მიშელი კარიერას "იუვენტუსში" გააგრძელებდა, მაგრამ ფრანგულმა კლუბმა ტურინელთაგან ღირსეული წინადადება ვერა და ვერ მიიღო. ფეხბურთელი დარჩა და განაცხადა, აქედან წასვლაზე მაინც არასოდეს მიოცნებიაო, ახლა კი კლუბს ერთგულება კიდევ 4 წლით შეჰფიცა.

კარლოსი და ანჟი

მახაჩყალის "ანჟიში" საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. კლუბის მმართველმა საბჭომ გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გამოცდილი **გაჯი გაჯიევი** თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ადგილას მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს დროებით მავანი **ანდრეი გორდეევი** და... **რობერტო კარლოსი** შეასრულებენ. კლუბი პარალელურად მოლაპარაკებებს აწარმოებს ლეგენდარულ ბრაზილიელთან ახალი კონტრაქტის 2014 წლამდე გაგრძელების შესახებ. 38 წლის ვარსკვლავს ხელშეკრულება ჩრდილოკავკასიურ კლუბთან 2013-მდე აკავშირებს.

ლევან ბიბილაშვილი

● სატრანსფერო სურვილი

რეინჯერსის თამამი გეგმა

პრემიერლიგაში ახალაღზევებული დასავლეთლონდონური კლუბის, „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თანამფლობელმა, **ამიტ ბატიამ** განაცხადა, რომ „რეინჯერსს“ მართლა სურს 36 წლის ვარსკვლავის, **დევიდ ბექჰემის** დამატება და ნოემბრისთვის კონტრაქტსაც ამზადებს. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის ხელშეკრულება ამერიკულ კლუბ „ლოს ანჯელეს გელექსისთან“ სწორედ ნოემბერში დაკარგავს ძალას და ლონდონელთა ახალმა მეპატრონემ, **ტონი ფერნანდესმა** და მისმა ამფსონმა ბატიამაც გადაწყვიტეს „დიდ სახელს“ გაეთამაშონ. სხვათა შორის, ბატია თავიდან უარყოფდა, რომ „რეინჯერსს“ ბექჰემთან დაკავშირება უნდოდა, მაგრამ ახლა „ფირფიტა ამოატრიალა“:

„თქვენ გაინტერესებთ, ბექჰემისთვის წინადადების შესათავაზებლად მზად თუ ვართ? ამ კითხვაზე მოკლედ გიპასუხებთ: დიახ! ჩვენ დევიდ ბექჰემს „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადმოსვლას შევთავაზებთ. მე და ტონი ამ საკითხზე ხშირად ვლაპარაკობთ და მას, ან მისი კალიბრის რომელიმე სხვა ფეხბურთელს აშკარად მოვიზიდავთ. კარგი იქნება თუ ბექჰემი დაგვთანხმდება, თუმცა, არც სხვა დიდ სახელზე ვიტყვით უარს. რასაკვირველია, უნდათ თუ არა „ქუინზ პარკში“ თამაში, მათი გადასაწყვეტი იქნება. კერძოდ, ბექჰემს პრემიერლიგაში ახალგადასულ კლუბში თამაში შესაძლოა არ უნდოდეს და თუ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას გადაწყვეტს, უფრო, ალბათ, „ტოტენჰემს“ აირჩევს“.

● მანჩესტერ სიტი

ტევესი ისტლენდიდან დაიფრინეს

სამშაბათს მიუნხენში „ბაიერნისა“ და „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრაში, 27 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა, **კარლოს ტევესმა** მეორე ტაიმის შუაში მოედანზე შესვლა გააპროტესტა, ერთგვარი გაფიცვა გამოაცხადა, რის გამოც კლუბმა მოკვეთა — ჯერჯერობით ტევესს ორი კვირით მოუნევს „ეტიჩედ სთედიუმიდან“ გარიდება, შემდეგ კი შეიძლება გამოუცხადონ, რომ სულაც გარიცხულია კლუბიდან. ეს გადაწყვეტილება ისტლენდელთა უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღო. თათბირში მონაწილეობდნენ კლუბის თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქი**, აღმასრულებელი შეფი **ჯონ მაკბითი**, ადგოკატთა ჯგუფი და, რასაკვირველია, მწვრთნელი **რობერტო მანჩინი**, რომელსაც ტევესის საქციელი ყველაზე მტკივნეულად შეეხო — როდესაც გუნდის თავკაცი ფეხბურთელს გახურებასა და შეცვლაზე შესვლას სთხოვს, ის კი პროტესტს აცხადებს და ეს ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ანუ საქვეყნოდ ხდება, სხვას თავი რომ დავანებოთ, შეურაცხმყოფელია.

თათბირი სწორედ მანჩინის მოთხოვნით გაიმართა. „სიტის“ შეფებს არც ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მოუტანიათ ჰაეროდან — ეს გახლავთ მაქსიმალური პერიოდი, რომლის ნებასაც ფეხბურთელთა პროფკავშირი იძლევა. ერთი სიტყვით, ტევესს გამოუცხადეს, რომ ხუთშაბათს ვარჯიშზე არ უნდა მივიდეს და, როგორც ბრიტანული მასმედია წერს, დიდი შანსია ეს არგენტინელისა და „მანჩესტერ სიტის“ სამუდამო დაშორებასაც ნიშნავდეს. ისტლენდელთა კლუბის იურისტები „ალიანს არენაზე“ მომხდარი ამბის ყველა მოწმისგან იწერენ ჩვენებებს. ისინი დაჰკითხავენ თითოეულ ფეხბურთელს თუ სხვა პროფესიის ადამიანს, რომელიც მანჩინისა და ტევესის კონფლიქტის ეპიზოდში სათადარიგოთა სკამზე ან სკამთან იყო. შესაძლოა ვინმეს გაუჭირდეს კითხვა, თუ რა საჭიროა ასეთი ძიება და მოკვლევა. საქმე ის გახლავთ, რომ ლაპარაკი დიდ ფულზეა. არგენტინელის გასამრჯელო კვირაში 200 ათას ფუნტს აღემატობოდა და ახლა, როდესაც ვექილები დააგროვებენ საკმარის სამხილს იმის დასამტკიცებლად, რომ ფეხბურთელმა კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი დაარღვია, საქმეს სასამართლოს გადასცემენ და კომპენსაციასაც მოითხოვენ.

ფეხბურთელის თავნებობამ ფიფაც აღაშფოთა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა, **ჯიმ ბოისმა** განაცხადა:

„თუ „მანჩესტერ სიტი“ საკმარის მტკიცებულებებს დააგროვებს და ფიფას დაარწმუნებს, რომ ფეხბურთელმა მართლა ის გააკეთა, რასაც კლუბი ამბობს, ჩვენ ტევესს შესაძლოა ფეხბურთში მოღვაწეობაც კი ავუკრძალოთ. ვფიქრობ, ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ის საქციელი, რაც თავდამსხმელმა მიუნხენში ჩაიდინა, საშინლად შეურაცხმყოფელია“.

ვერ გეტყვით, სადამდე მივა ეს საქმე, მაგრამ მანჩინი რომ შეუვალია, ფაქტია. „სიტის“ იტალიელი მწვრთნელი ტევესს თავის გუნდს აღარასოდეს მიაკარებს. ამბობენ, რომ ისტლენდელთა მწვრთნელთა საერთო აზრიც იგივეა. დისკვალიფიკაცია, როგორც მოგახსენეთ, სწორედ იტალიელმა მოითხოვა და განაცხადა, რომ თუ ტევესი ოდესმე (რასაკვირველია, ორკვირიანი დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ) „მანჩესტერ სიტის“ ბაზაზე დაბრუნდება, მთავარ გუნდს ახლოსაც ვერ მიეკარება. ერთადერთი, შეუძლია რეზერვისტებთან ერთად ივარჯიშოს.

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ტევესი ჯერ კიდევ გასულ შაბათს, პრემიერლიგაში, „ევერტონთან“ 2:0 მოგებული თამაშის დროს სათადარიგოთა სკამზე დარჩენით გახლდათ უკმაყოფილო — მანჩინიმ ის შეცვლაზეც არ შეუშვა. მწვრთნელი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ ფეხბურთელი ბოლო დროს ცუდად ვარჯიშობდა და ფიზიკურად არ იყო ჯეროვნად მომზადებული.

და, როგორია თავად არგენტინელი თავდამსხმელის რეაქცია? სანამ ამას ვიტყვით, აღვნიშნოთ, რომ მისმა საქციელმა მანჩესტერში ფანები აღაშფოთა და თავის დასზღვევად კლუბმა მიუნხენიდან დაბრუნებულ ფორვარდს საგანგებო დაცვის ესკორტიც კი გამოუყო, რათა აეროპორტიდან შინ მშვიდობით მისულიყო. საინტერესოა, რომ ტევესმა მეორე დილით ოფიციალურად განაცხადა, რომ მას მოედანზე შესვლაზე უარი არ უთქვამს! ტევესმა დაწერა:

„მინდა ბოდიში მოვუხადო მანჩესტერელ ფანებს, რომლებთანაც ყოველთვის საუკეთესო ურთიერთობა მაკავშირებდა. ამ ხალხმა კარგად იცის, რომ მე მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. მიუნხენში გაუგებრობა მოხდა. მე გახურებულიც ვიყავი და თამაშისთვისაც მზად გახლდით. უფრო დაწვრილებით ლაპარაკისთვის ახლა შესაფერისი დრო არ არის, კერძოდ, ვინ ვის რა უთხრა, ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ, თუმცა მინდა იცოდეთ, რომ მე თამაშზე უარი არ მითქვამს. მზად ვარ, დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში ძველებური თავდადებით ვითამაშო“.

● მერსისაიდური დერბი

ჯერარდი სკამზე იჯდება

შაბათს პრემიერლიგაში მერსისაიდური დერბია, „გუდისონ პარკზე“ „ევერტონი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს და როგორც „წითლების“ ბანაკიდან გახდა ცნობილი, ამ შეხვედრაში მათი ლიდერი და კაპიტანი, 31 წლის **სტივენ ჯერარდი** სასტარტო შემადგენლობაში კვლავ არ იქნება — **კენი დალგლიში** მას სათადარიგოთა სკამზე უპირებს დასმას. მოგეხსენებათ, ჯერარდი საზარდულის ტრავმამ დიდი ხნით გამოთიშა საქმეს. მან ოპერაცია გაიკეთა და შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდიც გაუჭანჭყლდა. საბოლოოდ ის გამოჯანმრთელდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლია.

„ევერტონთან“ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ჰოლანდიელი **დირკ კუიტი** ითამაშებს, რომელსაც „წითლების“ ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ სამში აქვს მონაწილეობა მიღებული. კუიტს 24 წლის ურუგვაელ **ლუის სუარესთან** მოუწევს პარტნიორობა. სუარესზე ლაპარაკისას ის ამტკიცებს, რომ ურუგვაელი თანდათანობით კიდევ უკეთ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ სუარესი „ლივერპულში“ იანვარში, 24 მილიონ ფუნტად „აიაქსიდან“ გადავიდა. ჰოლანდიის ლიგიდან პრემიერლიგაში „ისკუპა“ რვა წლის წინ კუიტმაც – ის „ფეიენოორდის“ ფეხბურთელი იყო — და მან ყველაზე კარგად იცის თუ რამხელა ნაბიჯის გადადგმა უწევთ ფეხბურთელებს რომლებიც ამ გზას გადიან.

„ვატყობ ხალხს დაავიწყდა, რომ ლუისი ერედივიზიედან გადმოვიდა, ეს კი ძალიან დიდი ნახტომია. ინგლისში სულ სხვა სისწრაფით თამაშობენ და ტაქტიკურადაც სულ სხვანაირი ფეხბურთია. სუარესი ძალიან მოკლე დროში დიდებულად ათამაშდა და „ლივერპულის“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. მაგრამ, მერწმუნეთ, მომავალში ის კიდევ უკეთ ითამაშებს. მას პრემიერლიგასთან ადაპტაცია ჯერ ბოლომდე არ გაუვლია“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● საორგანიზაციო საკითხი

გლაზგოელებს პრემიერლიგაში რა უნდათ?

ვერ გეტყვით „უიგანის“ მეპატრონე **დეივ უილანს** ვინ ეკითხებოდა, მაგრამ ის ამბობს, რომ „გლაზგო რეინჯერსი“ შოტლანდიის პრემიერლიგაში უნდა დაეტიოს, რადგან ინგლისისაში არავინ მიიღებს. „რეინჯერსს“ შოტლანდიის ქალაქ მოზრუელში დაბადებულ-გაზრდილი თავმჯდომარე, **კრეიგ უაიტი** უდგას სათავეში. მან სქოთთა ჩემპიონი სერ **დევიდ მიურეისგან** მაისში იყიდა და აღმოაჩინა, რომ ფინანსური კოლაფსის პირასაა. თუ ნოემბრამდე კლუბმა ჩვენთვის უინტერესო, მაგრამ მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ვალები არ დაფარა, შესაძლოა საქმეში ადმინისტრატორები ჩაერიონ. სხვა სიტყვებით, „რეინჯერსი“ გაკოტრებულად გამოცხადდება და მას გადააბარებენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ადმინისტრატორთა ჯგუფს, რომლებიც მდგომარეობის დალაგებასა და ახალი პატრონის მოძიებას შეეცდებიან.

როგორც ირკვევა, გამოსავლის ძიებაში უაიტი ბევრ სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობს, რომელთაგან ერთ-ერთი კლუბის ინგლისის პრემიერლიგაში გადაყვანაა. მეტიც, თურმე „რეინჯერსის“ თავმჯდომარე უფრო შორსაც წასულა და გამოსავალს ბრიტანეთის გარეთ, ევროპის კონტინენტზეც ეძებს. ის მზად არის, კლუბი რომელიმე სხვა შეჯიბრებაში გადასვას და აქტიურად უჭერს მხარს ეგრეთწოდებული „ატლანტიკური ლიგის“ ჩამოყალიბებას.

„ატლანტიკური ლიგის“ ამბავი „უიგანის“ მეპატრონე უილანს, რასაკვირველია, არ ანუხებს, მაგრამ პრემიერლიგას მკერდით გადაეფარა. ის ამტკიცებს, რომ პრემიერშიფის კლუბების თავმჯდომარეთა უმეტესობა, ისევე როგორც ორი წლის წინ, ახლაც დაბლოკავს „აიბროქს პარკის“ ბინადართა ინგლისში გადაბარგების მცდელობას.

„ვფიქრობ, „რეინჯერსის“ ახლმა მეპატრონემ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს, - ბრძანა უილანმა, - მისი გუნდი შოტლანდიის პრემიერლიგაში გამოდის, ისინი შოტლანდიელები არიან, ბინა იქ აქვთ. გარდა ამისა, ეს კლუბი მხოლოდ ლოცვებით არსებობს. დამივჯერეთ, „რეინჯერსი“ და „სელტიკი“ ინგლისური პრემიერლიგის წევრები ვერასდროს გახდებიან. სწორად გამიგეთ, ინგლისში გადმობარგების იდეა საკუთრივ „რეინჯერსისთვის“ მართლაც დიდებულია და მე ამას ვხედავ. ასევე ვხედავ, რომ ეს იდეა ზოგადად ბრიტანულ ფეხბურთს ძალიან წაადგება, მაგრამ ჩვენს, ინგლისურ ფეხბურთს დააკნინებს. გლაზგოური გუნდების ჩვენთან გადმოსვლის წინააღმდეგ ბოლო ამოსუნთქვამდე, კბილებითა და ფრჩხილებით ვიბრძოლებთ“.

ზემოთ ორი წლის წინანდელი ამბავი ვახსენეთ. ორი წლის წინ, „ბოლტონის“ თავმჯდომარე **ფილ გერთსაიდმა** ორსაფეხურიანი პრემიერლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. მან თქვა, რომ პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 36-მდე ან 40-მდე უნდა გაიზარდოს, ოღონდ ისინი ორ დონეზე უნდა გადანაწილდნენ და ქვედა დონეზე „რეინჯერსმა“ და „სელტიკმაც“ უნდა ითამაშონ. როგორი რეაქცია მოჰყვა ინგლისში ამ წინადადებას? პრემიერლიგაში მას კენჭიც კი არ უყარეს.

● ავტომოტოსპორტი


კეისი სტოუნერი

სარბოლო უქმეები

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ის ეტაპი დაგეგმილი არ არის, მაგრამ იაპონიასა და საფრანგეთში სხვა სერიის მოყვარულებს საინტერესო რბოლები ელით.

იაპონიის ტრასაზე მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება. ამ რბოლაში ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევიტყობთ ჩემპიონის ვინაობას, მაგრამ საერთო ჩათვლაში **ხორხე ლორენსოზე** დიდი უპირატესობა **კეისი სტოუნერს** ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. დარჩენილ რბოლებში ავსტრალიელს პოდიუმზე ასვლაც ეყოფა ტიტულის მოსაპოვებლად.

საფრანგეთი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის **სებასტიან ლოების** სამშობლოა და ეს ქვეყანა რალის ეტაპს უმასპინძლებს. ავსტრალიის ეტაპზე ლოების თანაგუნდელს **სებასტიან ოჟიეს** მიანიშნეს, რომ ამ სეზონში ტიტულოვან თანამემამულესთან კონკურენცია არ გამოუვა, ამიტომაც ლოებს ძირითადი საფრთხე **მიკო ჰირვონენისგან** ელის.

მოტოგრანპრი

იაპონიის გრანპრი

ჩატარების ადგილი - მოტეგო, იაპონია
წრის სიგრძე - 4 801 მ
საუკეთესო წრე - 1:47,091 (სტოუნერი, 2008)

საერთო ჩათვლა

1. სტოუნერი (ჰონდა) - 284 ქულა
2. ლორენსო (იამაჰა) - 240
3. დოვიციოზო (ჰონდა) - 185
4. პედროსა (ჰონდა) - 170
5. სპისი (იამაჰა) - 146
6. როსი (დუკატი) - 139
7. ნიკი ჰეიდენი (დუკატი) - 114
8. მარკო სიმონჩელი (ჰონდა) - 106

განრიგი

30 სექტემბერი, 06:10 - I პრაქტიკა
30 სექტემბერი, 10:10 - II პრაქტიკა
1 ოქტომბერი, 06:10 - III პრაქტიკა
1 ოქტომბერი, 09:55 - კვალიფიკაცია
2 ოქტომბერი, 11:00 - რბოლა

რალი

საფრანგეთი

შტაბი - ელზასი
საფარი - ასფალტი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 23
ბოლო გამარჯვებული (2010 წ) - სებასტიან ლოები

საერთო ჩათვლა

1. ლოები (სიტროენი) - 196 ქულა
2. ჰირვონენი (ფორდი) - 181
3. ოჟიე (სიტროენი) - 167
4. ლატვალა (ფორდი) - 116
5. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 110
6. ოსტბერგი (ფორდი) - 56

● ამბები

ფორმულა 1

ტორო როსოს ფრანგი პილოტი წაიყვანს

ფრანგი პილოტი **ჟან-ერიკ ვერნი**, რომელიც „რენოს“ მსოფლიო სერიაში გამოდის, კორეის გრანპრის დროს პარასკევის თავისუფალი პრაქტიკაზე „ტორო როსოს“ ბოლიდის საჭეს მიუჯდება.

ასევე გამორიცხული არ არის, რომ ვერნმა კორეისა და აბუ დაბის რბოლებში მიიღოს მონაწილეობა. ფრანგს უკვე დიდი ხანია უწინასწარმეტყველებენ „რედ ბულში“ გადასვლას, „ტორო როსო“ კი ფორმულა 1-ის დღევანდელი ლიდერის ერთგვარი „კლონი“ გახლავთ.

ბიატლონი

გრაისი იმედიანადაა

სამმზრის ოლიმპიური ჩემპიონი **მიხაელ გრაისი** აგრძელებს ფეხის მოტეხილობის შემდეგ აღდგენით პროცესს. ტრავმა მან ავგისტოში ერთ-ერთ ვარჯიშზე დაცემისას მიიღო. გერმანელს ამის გამო ოპერაციის გადატანა მოუწია. უახლოეს პერიოდში ექიმებმა უნდა გაარკვიონ, უნდა ამოუღონ თუ არა მეტალის ჭანჭიკი ფეხიდან თუ დაუტოვონ ზამთრის სეზონის დაწყებამდე.

„ოპერაციის შემდეგ თანდათან დავიწყე აღდგენა და მუშაობა. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და იმედი მაქვს, რომ ოქტომბრისთვის შეძლებ სრულფასოვანი ვარჯიშის დანყებას“, - ამბობს გრაისი.

კრივი

ოსკარი ფლოიდს ბრძოლაში იწვევს

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **ოსკარ დე ლა ჰოია** მოუწოდებს **ფლოიდ მეივეზერს** რევანში შანსი მისცეს **ვიქტორ ორტისს**.

დე ლა ჰოიასა და მეივეზერის სიტყვიერი ომი გრძელდება. „ოქრო ბიჭმა“ (ოსკარის მეტსახელი) „ტვიტერის“ საშუალებით მოუწოდა ფლოიდს, რომ ისევ შეხვდეს ორტისს.

მეივეზერის „პატიოსანი“ გამარჯვების შემთხვევაში დე ლა ჰოია დაბრუნდება რინგზე და მატჩ-რევანშს გამართავს ფლოიდთან.

„ძალიან ნაღვლიანი საყურებელია ის, როგორ სცემს მეივეზერი ხალხს და ფლანგავს ფულს, რომელსაც ვერასოდეს გამოიმუშავებს რინგის მიღმა, - ამბობს ოსკარი. - *ფლოიდ, მიეცი რევანშის შანსი ორტისს და თუ სუფთად მოუგებ, შესაძლოა, კიდევ ერთხედ მოგცე ჩემთან რინგზე შეხვედრის საშუალება“.*

● კალათბურთი

დღეს გადამწყვეტი შეხვედრაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის დევიდ სტერნის განცხადებით, სეზონის ბედი ამ უქმეებზე გაირკვევა

დევიდ სტერნი

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა გაიმართა, რის შემდეგაც Yahoo! Sports-ის ინსაიდერმა **ადრიან ვოინაროვსკიმ** დაწერა, რომ მოლაპარაკებების პროცესში კლუბების მფლობელებმა დათმობაზე წასვლა გადაწყვიტეს.

იტყობინებიან, რომ მფლობელები მზად არიან უარი თქვან მკაცრი სახელფასო ლიმიტის შემოღებაზე და ძალაში დატოვონ წინა სქემა, როცა მოქმედებდა ჯარიმა ბიუჯეტის მიღმა დახარჯულ თითოეულ დოლარზე.

მოკლედ, შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის ჩარჩოებიდან გამოსვლა, თუმცა ეს ჯარიმა გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე დღევანდელი „დოლარი დოლარში“, როგორც ეს წინა კოლექტიური ხელშეკრულების დროს იყო.

და კიდევ, ერთადერთი, რაშიც მფლობელები არ აპირებენ დათმობას, ეს არის მოგების გჯანაწილება კლუბებსა და მოთამაშეებს შორის.

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ მხარეებმა მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის თარიღად პარასკევი დაასახელეს. ახალ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს 15 მფლობელი, რომლებსაც მოთამაშეებიც შეუერთდებიან. საქმე ისაა, რომ პროფკავშირი აპირებს მოლაპარაკებების პროცესში კალათბურთელების ჩართვას, რათა მათ გავლენა იქონიონ მოლაპარაკებების მსვლელობაში. ვარსკვლავური სტატუსის მოთამაშეები სწორედ პარასკევის შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ მხარეებმა უქმე დღეებიც დაიტოვეს მოლაპარაკებების გასაგრძელებლად. როგორც პროფკავშირების პრეზიდენტმა **დერიკ ფიშერმა** განაცხადა, დაპირისპირებული ბანაკები კონსენსუსამდე მისვლის უდიდეს სურვილს გამოთქვამენ.

NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** მიიჩნევს, რომ პარასკევის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალი სეზონის ბედის გარკვევაში. სტერნი ამბობს, რომ დღევანდელი მოლაპარაკების შემდეგ დიდი ალბათობით იქნება შესაძლებელი იმის თქმა, საერთოდ შედგება თუ არა 2011-12 წლების სეზონი.

„ჩვენ ან მოვახერხებთ მოლაპარაკებების პროცესში წინ წაწევას, ან პროგრესი არ იქნება და შესაბამისად, საკითხი სეზონის დროულად დაწყების შესახებ თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან. საკმაოდ რისკიანი შეხვედრაა და მის შედეგებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული“, - ამბობს სტერნი ESPN-თან კომენტარში.

კობი ბრაიანტი: ვირტუსში გადასვლა რეალურია

NBA-ის ვარსკვლავმა დაადასტურა ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში

კობი ბრაიანტი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ დღეებში კალათბურთის მოყვარულებს აღელვებთ, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერის **კობი ბრაიანტის** იტალიურ კლუბში - ბოლონიას „ვირტუსში“ სავარაუდო გადასვლაა.

NBA-ის ვარსკვლავი იტალიაში სასპონსორო პრომოტურის ჩასატარებლად ჩავიდა და იქაურ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საკმაოდ მაღალია ბოლონიურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობა.

„შანსი იმისა, რომ იტალიაში ვითამაშო, საკმაოდ მაღალია. ყოველ შემთხვევაში, მე ამის დიდი იმედი მაქვს. უახლოეს დღეებში განვიხილავთ ბოლო შემოთავაზებას, - ამბობს კალათბურთელი „გაძეტა დელო სპორტთან“ კომენტარში. - *სწორედ ამ ქვეყანაში ვისწავლე პასების დარიგება და ბურთის სროლა. და როცა ამერიკაში გადავედი, ბურთს თანაგუნდელებზე უკეთ ვეპყრობოდი, მათ კი მხოლოდ ბურთის ჩატენვა იცოდნენ“.*

შეგახსენებთ, რომ ბოლო წინადადების თანახმად, იტალიური კლუბი მზად არის ამერიკელ მცველს თვეში 2.5 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

კობი ბრაიანტმა „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა. ის ამბობს, რომ მონაწილეობას მიიღებს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში და იქ აშშ-ის მთავარი კონკურენტი ესპანეთის ნაკრები იქნება.

„აუცილებლად ვითამაშებ 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე. ჩემი მეგობარი პაუ გასოლი და მისი გუნდი ჩვენთვის ყველაზე რთული მონინააღმდეგე იქნება.

ოლიმპიადაზე გამოსვლა - განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავ. ოქროს ოლიმპიური მედალი და NBA-ის საჩემპიონო ბეჭედი - სრულიად განსხვავებული ცნებებია“, - ამბობს ბრაიანტი.

უოლასი იარაღისთვის და სასმელისთვის დაიჭირეს

...

დეტროიტის გარეუბანში დააკავეს „დეტროიტ პისტონზის“ ცენტრი **ბენ უოლასი**. როგორც პოლიციელებმა გაარკვიეს, ვეტერანი კალათბურთელი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მანქანაში უკანონოდ ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს.

ინციდენტი ორი დღის წინ მოხდა. პოლიციამ გზაზე „კადილაკი“ შეამჩნია, რომელიც უცნაურ მანევრებს აკეთებდა. უოლასი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო, ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი პისტოლეტი კი დატენილი არ ყოფილა.

NBA-ის 2004 წლის ჩემპიონი ხუთი ათასი დოლარის გადახდის შემდეგ თავდებში გაუშვეს. მისი საქმის განხილვა ორშაბათს გაიმართება.


ბენ უოლასი

ქალაქ კანზას-სიტის მერმა **სლაი ჯეიმსმა** და კომპანია AEG-ის (რომელსაც ეკუთვნის არენა „სპირიტ ცენტრი“) პრეზიდენტმა **ტიმ ლეივიკმა** განაცხადეს, რომ მზად არიან შეიძინონ NBA-ის კლუბი, თუმცა ამ საკითხში აჩქარებას არ აპირებენ.

„საკმარისი დრო გვაქვს. ჩვენ არ ვაპირებთ დაუფიქრებლად ნებისმიერი გუნდის შეძენას, რადგან ასე შეიძლება პროექტი ჩაგვივარდეს. კარგი გუნდის ყიდვა გვინდა, თანაც ნორმალურ ფასად. ჩვენ შესანიშნავი არენა გვაქვს და მომწონს ამ საკითხთან დაკავშირებით ქალაქის მერის პოზიცია“, - აცხადებს ლეივიკი.

საბონისმა რეანიმაცია დაჭოვა

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი **არვიდას საბონისი** სამშაბათს გადატანილი ინფარქტის შემდეგ ინტენსიური თერაპიის პალატიდან ჩვეულებრივში გადაიყვანეს. კაუნასის კარდიოლოგიური კლინიკის ექიმების ინფორმაციით, 46 წლის პაციენტის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ შესაძლებელია რეაბილიტაციისთვის მომზადება.

თუმცა ექიმებს უფრო გონივრულ ნაბიჯად მიაჩნიათ ის, რომ ვეტერანი კალათბურთელი კიდევ ერთი კვირა დარჩეს საავადმყოფოში. მათი შეფასებით, რეაბილიტაცია, რომლისთვისაც შეარჩევენ სანატორიუმს ლიტვაში ან საზღვარგარეთ, სამი-ოთხი კვირა გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ოლიმპიზმი

როგეს ახალი პრიორიტეტები

სექტემბერი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტისთვის **ჟან როგესთვის** - ბელგიელი ჩინოვნიკი ჯერ გაერთიანებული ერების ტრიბუნიდან გამოვიდა, შემდეგ კი პეკინში მონაწილეობა მიიღო მსოფლიო კონფერენციაში - „სპორტი ყველასთვის“.

ამ ღონისძიებებისას ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ როგემ ოლიმპიურ კომიტეტში თავისი საქმიანობის მიმართულება შეცვალა. როგორც ჩანს, მან გაიხსენა, რომ პროფესიით ექიმი გახლავთ. სხვანაირად ვერ აიხსნება მისი მოწოდებები ჯერ ნიუ იორკში და შემდეგ პეკინში.

უნდა ითქვას, რომ ამერიკაში როგეს გამოსვლა იყო პირველი და ერთგვარად საპროგრამო სიტყვა მას შემდეგ, რაც ოლიმპიურმა კომიტეტმა 2009 წლის ბოლოს გაერთიანებული ერების ეგიდით დამკვირვებლის სტატუსი მიიღო. სპეციალური სესია არაგადადამდებ სასიკვდილო ავადმყოფობებს ეძღვნებოდა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწაზე სასიკვდილო შემთხვევების 63 პროცენტი გულსისხლძარღვის, ონკოლოგიურ და სხვა არაგადადამდებ ავადმყოფობებზე მოდის.

„ყველა ეს ავადმყოფობა, რომელიც ბევრ ქვეყანაში მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია ეკონომიკური პროგრესისა და სოციალური განვითარების გზაზე, შეიძლება თავიდან ავიცილოთ ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვით, - ამბობდა სოკ-ის პრეზიდენტი. - *ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მტკიცებით, რეგულარული ფიზიკური ვარჯიშები, დაბალანსებულ კვებასთან და მონევაზე უარის თქმასთან ერთად, მოწოდებულია არაგადადამდებ ავადმყოფობებთან საბრძოლველად“.* როგემ მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ უწყობდა ხელს ოლიმპიური მოძრაობა ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და განვითარებას. ამასთან, როგემ აღნიშნა სოკ-ის შესაბამისი კომისიის დიდი როლი, რომლის ინიციატივა გახლდათ ყოველწლიურად 23 ივნისს ოლიმპიური დღის გამართვა.

მასობრივ დაავადებებთან ბრძოლაში სპორტისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის შესაძენად ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კიდევ რამდენიმე კონკრეტული წინადადება გამოიტანა:

- ადგილებზე ნებისმიერი სპორტული არენა უფრო ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მასობრივი ღონისძიებებისთვის;

- დამყარდეს ახალი პარტნიორული ურთიერთობები ცხოვრების არასპორტულ სექტორებთან - მრეწველობასთან, ტრანსპორტთან, ფინანსურ და სხვა სტრუქტურებთან;

- უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მთავრობასთან, რათა მათი დახმარებით გაიზარდოს სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების საათები;



ჯაკ როგე

- მხარში ამოუდგნენ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სპორტული ორგანიზაციების რიცხვის ზრდას;

„გაერთიანებული ერების წევრთა უმეტესი ნაწილი აცნობიერებს სპორტის როლს მათი ქვეყნების მომავალი განვითარებისთვის, ცხოვრების ხანგრძლივობის გაზრდისთვისა და ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის, - თქვა ბოლოს სოკ-ის პრეზიდენტმა. - *ყოველდღიურ ცხოვრებაში სპორტის ინტეგრაციის თაობაზე მსოფლიო თანამეგობრობის ახალ წევრთა მისწრაფება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივუახლოვდით საბოლოო მიზანს“.*

როგე ნიუ იორკიდან პირდაპირ პეკინში გაფრინდა რიგით მე-14 კონფერენციაზე, რომელსაც „სპორტი ყველასთვის“ ჰქვია. ეს ღონისძიება ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის განვითარების ასოციაციასთან ერთად მოაწყო. დღეს ეს ფორუმი უდიდესი მნიშვნელობისაა. დელეგატთა რიცხვი 527-ს აღწევდა, ურიცხვი იყო ჟურნალისტთა რაოდენობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ ეს კონფერენცია იღებს საკუთარ თავზე მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას.

როგორც ჩანს, სოკ-ის პრიორიტეტები იცვლება, ან მსოფლიოში სიტუაცია ითხოვს სპორტისადმი სხვაგვარ მიდგომას. ცნობილია, რომ სპორტში უმაღლეს მიღწევებს საფუძველი მასობრივ ფიზკულტურაში ეყრება. ყოველ შემთხვევაში როგეს ბოლო გამოსვლები სწორედ ამაზე მიუთითებს.

ჰოკეი

რასისტი ნაპოვნია

უეინ სიმონდსი

ონტარიოს პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელმაც „ფილადელფიას“ შავკანიან ფორვარდს **უეინ სიმონდსს** „დეტროიტთან“ საგამოფენო შეხვედრის დროს ბანანი ესროლა. თუ 26 წლის **კრის მურჰაუზს** დამნაშავედ აღიარებენ, ის იძულებული იქნება 2 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა გადაიხადოს.

მურჰაუზის დაკავების კომენტირებისას ლონდონის (ონტარიოს პროვინციის ქალაქი, სადაც აღნიშნული შეხვედრა გაიმართა) პოლიციის შეფმა **ბრედ დანკანმა** განაცხადა, რომ გამოძიება არენის ხელმძღვანელთა თხოვნით დაიწყეს, თავად ინციდენტი კი ვერ შეფასდება, როგორც დანაშაული სიძულვილის ფონზე.

„მართალია, ბანანი მოედანზე დაეცა, მაგრამ ამას მატჩის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია, ამიტომაც ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ, როგორც წვრილმანი ხულიგნობა“, - განაცხადა დანკანმა.

აღსანიშნავია, რომ რასისტის ძებნაში ქალაქის მოსახლეობა იყო ჩართული, რომლის დახმარებითაც მოხერხდა მურჰაუზის დაკავება.

ფორმულა 1

ლუისი არ ჩქარობს

„მაკლარენის“ ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** არ ჩქარობს თავის შეყვარებულზე, ცნობილ მომღერალ **ნიკოლ შერცინგერზე** დაქორწინებას.

მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი აცხადებს, რომ ჯერ მზად არ არის ნიკოლთან ურთიერთობის ოფიციალურად დაკანონებისთვის.

26 წლის ლუისი და 33 წლის ნიკოლი ოთხი წელია ერთად არიან. პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი შორდებიან ერთმანეთს, თუმცა წყვილი მაშინვე უარყოფს ხოლმე ამგვარ ჭორებს.

ივლისში ბრიტანული ტაბლოიდები წერდნენ ჰემილტონისა და შერცინგერის ნიშნობის შესახებ. ნიკოლმა მაშინვე იმედი გაუცრუა თაყვანისმცემლებს - ეს მხოლოდ ვიღაცის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ამასთან, მომღერალი მუდმივად აცხადებს, რომ ლუისთან ერთად ბედნიერია და სურს მასთან ერთად გაატაროს სიცოცხლის დარჩენილი წლები.

ამჯერად განცხადებით ლუისი გამოვიდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯერ მზად არის საოჯახო ცხოვრებისთვის. ქორწინებაზე უარის თქმა პილოტის სპორტულ ამბიციებს ემყარება. ჰემილტონის აზრით, ოჯახი და ბავშვები - ეს დამატებითი პასუხისმგებლობაა, რომელიც მას ტრასაზე რისკის საშუალებას არ მისცემს.

გვერდი მოამზადა
გაია თვალაბეიშვილმა

ბედნიერი წყვილი

ცხელი ხაზი

ერთიანი ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

რუბინი-პაოკ	2:2
ტოტენჰემი-შემროკი	3:1
სტანდარდი-კოპენჰაგენი	3:0
ვორსკლა-ჰანოვერი	1:2
ლეგია-ჰაპოელი (თ-ა)	3:2
რაპიდი (ბ)-ეინდჰოვენი	1:3
ვასლუი-ციურიხი	2:2
სპორტინგი-ლაციო	2:1
მაკაბი (თ-ა)-დინამო (კ)	1:1
სტოკი-გენტ	2:1
ბილბაო-ჰსჟ	2:0
ზალცბურგი-სლოვანი	3:0
მალმიო-აუსტრია	1:2
მეტალისტი-ალკმაარი	1:1
ბრაგა-ბრიუგე	1:2
მარიბორი-ბირმინგემი	1:2
სელტიკი-უდინეზე	1:1
რენი-ატლეტიკო	1:1
აეკ (ლ)-სტიაუა	1:1
შალკე-მაკაბი (ჰ)	3:1
ტვენტე-ვისლა	4:1
ოდენსე-ფულჰემი	0:2
ლოკომოტივი-ანდერლეხტი	0:2
აეკ (ა)-შტურმი	1:2

ნორვეგია

ოლესუნდი-ტრომსიო	1:0

შველეთის თასი

ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	2:0

თურქეთი

II დივიზიონი

ერჩიესი-დენიზლი	1:1
თავშანლი-ძართალი	1:1
ადანა-ბირეშუნი	2:1
ბუკა-ძონია	0:0

კალათბურთი

ევროლიგა

ციბონა-ზოლე	77:70
ალბა-ვეფ რიგა	82:60
ლეტ. რიტასი-ბუდუჩნოსტი	83:64
შარლერუა-დონეცკი	61:59

ფრენბურთი

ეკ. ჩემპიონატი

ქალები

გერმანია-ჩეხეთი	3:0
სერბეთი-პოლონეთი	3:0

ჰანდბოლი

გერმანია

კრეფელდი-ინგოლშტადტი	4:0
მანჰაიმი-შტრაუბინგი	3:2
მიუნხენი-იზერლონი	4:3 (ო)
ნიურნბერგი-ჰანოვერი	3:2

დანია

კოპენჰაგენი-ფრედრიკშავნი	3:4 (ო)
ესბერგი-ოდენსე	3:6
ოლბორგი-სონდერიისკი	1:2
ჰერლევი-ჰერნინგი	3:2

ნორვეგია

სტიორნენი-რუსენბორგი	0:3
ლორენსკოგი-სტავანგერი	2:4
მანგლერუდი-ფრისკ ასკერი	4:2
სტორჰამარი-ვოლერენგა	3:1

ფინეთი

იუვიასკიულა-ესეტი	2:5

ჩეხეთი

პლზენი-კარლოვი ვარი	6:2

შველეთი

აიკ-ლულეო	0:1
ტიმრა-ლინჩოპინგი	4:2
ფერისტედი-იურგორდენი	2:3 (ბ)
ჰ371-მოდო	6:1

ჩოგბურთი

ATP. ბანგკოკი

იანგი-გარსია ლოპესი	6:1, 6:7, 7:5
კამკე-სოედა	2:6, 6:7
ხირალდო-მონფილსი	4:6, 6:4, 1:6
მიურეი-ბერერი	6:4, 6:2
ბოლელი-დიმიტროვი	6:7, 1:6

ATP. კუალა ლუმპური

ისტომინი-ტროიცკი	1:6, 4:6
კუბოტი-დავიდენკო	3:6, 6:7
პეტცშნერი-ნიშიკორი	3:6, 6:4, 5:7
ალმაგრო-რამოსი	7:6, 7:6
ტიპსარევიჩი-ჩიპოლა	6:2, 6:4

WTA. ბოკიო

კირილენკო-ზვონარევა	3:6, 3:6
აზარენკა- ბარტოლი	7:5, 6:0
კვიტოვა-შარაპოვა	4:3 უარი
კანეპი-ა. რადვანსკა	2:6, 6:7

TV პროგრამა

30 სექტემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. ალკმაარი-ფეინოორდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. V ტური. კიევო-ჯენოა.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ლანუსი-კოლონი.
18:00 იტალია. მატჩის ისტორია.
18:30 იტალიის შოუ.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბოტაფოგო-სან პაულუ.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
21:30 ესპანეთი ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:00 იტალია ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. კაიზერი-შტუტგარტი (LIVE).
00:30 სუპერმატჩი.

GMG-სპორტი 1

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. კუალა ლუმპური. მალაიზია (LIVE).
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
17:00 ფეხბურთი ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
19:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
23:55 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

GMG-სპორტი 2

09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ტაილანდის ღია პირველობა (LIVE).
14:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ტაილანდის ღია პირველობა (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-მანჩესტერ იუნაიტედი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რუმინეთის ღია პირველობა.

1 არხი

11:25 რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. სამხრეთ აფრიკა-სამოა. ახალი ზელანდია (LIVE).
17:55 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. იბერია სტარი (საქართველო)-სლოვ-მატიკი (სლოვაკეთი) (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერი-შტუტგარტი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. 1/2 ფინალი. უორინგტონი-ლიდსი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

08:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

09:15 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
14:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. კუალა ლუმპური. მალაიზია (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

HTB-პლუსი (ქალათბურთი)

19:55 ევროლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი. 1/4 ფინალი. ხიმკი-ტუროვი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
17:00 სნუკერი. PTC-ის ტურნირი. I დღე. პოლონეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. PTC-ის ტურნირი. I დღე. პოლონეთი (LIVE).

EUROSPORT-2

11:30 სნუკერი. PTC-ის ტურნირი. I დღე. პოლონეთი (LIVE).
18:30 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ჯგუფური რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

სამპრასის რჩევა პარსკვლავებს ...

ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელს **პიტ სამპრასს** მიაჩნია, რომ მამაკაცთა ტურის კალენდარში ცვლილება მხოლოდ ვარსკვლავი ჩოგბურთელების ერთობლივი მოქმედებით თუ მოხერხდება.

„ჩემი აზრით, თუ მოთამაშეებს მართლაც სურთ, რომ მათი აზრი შეისმინონ, მაშინ პირველი ათეულის კალათბურთელები ერთ ოთახში უნდა შეიკრიბონ, შეათანხმონ საკუთარი პოზიციები და მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება.

ყველა წუწუნებს კალენდრის შესახებ. ჩემს დროსაც ასე იყო, მაგრამ არაფერი გვშველოდა. წამყვან მოთამაშეებს აქვთ ძალაუფლება, რადგან სწორედ მათ მოაქვთ ამ სახეობის პოპულარობა. თუ ნადალი, მიურეი, ჯოკოვიჩი და ფედერერი უარს იტყვიან რომელიმე ტურნირში მონაწილეობაზე ან უარით დაიმუქრებიან, დამიჯერეთ, მათ ყველაფერი გამოუვათ“, - ამბობს სამპრასი.

ამასობაში, კიდევ ერთი ყოფილი ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯიმ კურიე** მიიჩნევს, რომ თანამედროვე ჩოგბურთს ცვლილებები სჭირდება, მაგრამ, ამასთან, არ უნდა მივიჩნიოთ ტურის მოთამაშეები მსხვერპლად.

„მოდით, გულწრფელად ვაღიაროთ - ჩოგბურთელებს ძალიან ბევრს უხდიან. რაც მეტ ხანს დაარჩება ძლიერი მოთამაშე ტურში, მით მეტ სარგებლობას მოუტანს ის სპორტის ამ სახეობას. სწორედ ამაზე უნდა კეთდებოდეს აქცენტი. ჩემი აზრით, მომავლისკენ უნდა ვიყუროთ. რა თქმა უნდა, ჩოგბურთელებს სჭირდებათ სეზონში ერთი დასვენება, მაგრამ ამაზე უკვე 30 წელია ვლაპარაკობთ, შედეგი კი არ არის“, - აცხადებს კურიე.

ფედერერი და სამპრასი

ფორმულა 1

ხაიმეს სიმღერაც იცის

„ტორო როსოს“ ესპანელი პილოტი **ხაიმე ალგერსუარი** რბოლების გარდა სხვა გასართობისთვისაც იცლის. ხაიმე ფორმულა 1-სგან თავისუფალ დროს დიჯეის პროფესიას მისდევს და ცოტა ხნის წინ გამოვიდა მისი პირველი სტუდიური ალბომი.

ალბომის სახელწოდებაა - Organic Life და მისი გამოსვლიდან ხუთი დღის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ესპანეთში iTunes-ის ჰიტ-აღლუმში. პილოტმა ეს ალბომი ბარსელონაში საკუთარ სტუდიაში ჩაწერა.

„სტუდიაში ვმუშაობდი უამრავი ტრეკსა და ჩანაწერზე. სწორედ ახლა წარმოვადგინე ალბომი, რადგან ვგრძნობ, რომ ეს სწორი დროა“, - აღნიშნა ხაიმე ალგეერსუარიმ.

აგრეთვე საინტერესოა, რომ ხაიმე ხშირად გამოდის იბიცაში Squire-ის ფსევდონიმით.

ალგერსუარის ალბომის გარეკანი

პილოტები მალდინის წინააღმდეგ

აბუ დაბის გრანპრის წინ მორიგი საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი გაიმართება ფორმულა 1-ის პილოტების გუნდსა (Nazionale Piloti) და ვარსკვლავების ნაკრებს შორის.

პილოტების წინააღმდეგ რამდენიმე პროფესიონალიც ითამაშებს - 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **ფაბიო კანავარო** და „მილანის“ ლეგენდა **პაოლო მალდინი**. ვარსკვლავთა გუნდში თამაში დაადასტურა მომღერალმა **ეროს რამაზოტიმ**.

ასე რომ, ავტომრბოლებს სერიოზული გამოცდა ექნებათ ჩასაბარებელი...

პილოტებმა ბოლო მატჩი მონაკოში ითამაშეს

მარიამ ცუდად დაამთავრა

მარიას ფეხი დაუცდა

მორიგი სათამაშო დღის შემდეგ ტოკიოში რუსი ჩოგბურთელების წარმომადგენლობა ერთამდე შემცირდა. ცხადი იყო, რომ რუსები ნახევარფინალში ერთ მოთამაშეს აუცილებლად გაიყვანდნენ, რადგან **ვერა ზვონარევასა** და **მარია კირილენკოს** შორის რუსული დერბი შედგა, **მარია შარაპოვამ** კი ვერ შეძლო **პეტრა კვიტოვასთან** მატჩის დასრულება.

შარაპოვასა და კვიტოვას დაპირისპირება რამდენიმე მიზეზით იყო საინტერესო. მაგრამ განსაკუთრებულ ელფერს ამ შეხვედრას ის ფაქტი მატებდა, რომ ამ ჩოგბურთელებმა წელს უიმბლდონის ფინალში გაარკვიეს ურთიერთობა.

იმ შეხვედრაში გამარჯვება კვიტოვამ მოიპოვა, მაგრამ სეზონის შემდეგი ნაწილი უკეთ მარია შარაპოვამ ჩაატარა. მის ანგარიშზეა ტიტული ცინცინატის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე, იმ დროს, როცა ჩეხმა ჩააგდო უიმბლდონის შემდეგ პრაქტიკულად ყველა შეჯიბრი, მათ შორის, ამერიკის ღია პირველობა, სადაც პირველივე წრეში დამარცხდა. მაგრამ აზიური ტურნირებისთვის პეტრამ გააუმჯობესა თამაში და გაცილებით ხარისხიან ჩოგბურთს აჩვენებდა, ვიდრე ამერიკაში.

ამ მატჩის სანახავად ბევრი მაყურებელი მივიდა, მაგრამ პროგნოზირებადი სპექტაკლი არ შედგა. თამაშის დასაწყისი მშვიდი გამოვიდა. ორივე ჩოგბურთელის ანგარიშზე ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მოდიოდა, რომელიც რუსმა ჩოგბურთელმა ვერ გამოიყენა. მერვე გეიმში საკუთარი მოწოდების შემდეგ შარაპოვას ფეხი დაუცდა და კორტზე დაეცა. რუსმა სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა. გარკვეული ხანი მარია ექიმთან კონსულტაციას გადიოდა, რის შემდეგაც მან უარი თქვა თამაშის გაგრძელებაზე. ასე რომ, თამაში სულ რაღაც ნახევარი საათი გაგრძელდა. რამდენად სერიოზულა ფეხის ტრავმა, ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი.

კვიტოვას კი ნახევარფინალში მეორე რუსი ჩოგბურთელი ვერა ზვონარევა ელოდება. ამ უკანასკნელს თანამემამულე მარია კირილენკოსთან ურთიერთშეხვედრებში ასპროცენტიანი უპირატესობა ჰქონდა - 5:0, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში კირილენკომ სერიოზული ბრძოლა გაუმართა მეტოქეს. თანაც მარიამ ბრწყინვალე ფორმა აკრიფა, რისი დამადასტურებელიც იყო ტოკიოში ორი გამარჯვება აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონთან **სამანტა სტოსურთან** და **ანა ივანოვიჩთან**.

მაგრამ რუსულ დერბიში განსაკუთრებული ბრძოლა არ ყოფილა და ზვონარევამ მეექვსედ დაამარცხა კირილენკო. თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მას საათზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა. მარია, ძირითადად, მეტოქის შეტევების მოგერიებით იყო დაკავებული. პირველი სეტის წაგების (3:6) შემდეგ, მან მეორე პარტიაში სცადა სიტუაციის გამოსწორება და ზვონარევას პირველივე გეიმში გაუმართა ბრძოლა მისსავე მოწოდებაზე. მაგრამ მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ჯერ ის გეიმი გადაარჩინა, შემდეგ მომდევნო ორი გეიმიც აიღო და 3:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ მატჩის მოგება რთული აღარ ყოფილა.

მარიონ ბარტოლისთვის ტოკიოს ტურნირი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ფრანგი WTA-ის საჩემპიონო რბოლაში მერვე ადგილზეა და წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად იბრძვის. მისი კონკურენტები - **ანდრეა პეტკოვიჩი** და **ფრანჩესკა სკიავონე** იაპონიის დედაქალაქში არ ჩავიდნენ, ასე რომ, ფრანგს მათთან უპირატესობის გაზრდის საშუალება ჰქონდა. მეოთხედფინალში ბარტოლის მეტოქე ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** იყო, რომელსაც საჩემპიონო რბოლაში კომფორტული მდგომარეობა აქვს და უკვე შეუძლია შეუკვეთოს ბილეთები სტამბოლის დასკვნით ტურნირზე.

ბარტოლისა და აზარენკას ურთიერთდაპირისპირებას საინტერესო ისტორია აქვს. ამ სეზონის სტარტამდე ბელარუსი 6:0-ს იგებდა, მაგრამ მარიონმა წლის დასაწყისში, ისტბურნის ტურნირზე გაქვითა ანგარიში. ჰარდის საფარზე ფავორიტი კვლავ აზარენკა იყო. პირველი პარტია დაძაბული გამოვიდა. ბოლოსკენ უფრო იღბლიანი და ზუსტი ბელარუსი ჩოგბურთელი იყო. მეორე სეტში კი ვიქტორია კიდევ უფრო აგრესიულად ითამაშდა და სეტი „მშვრალი“ ანგარიშით მოიგო - 7:5, 6:0.

აზარენკას ნახევარფინალში **აგნიეშკა რადვანსკასთან** მოუწევს შეხვედრა. პოლონელს წინა დღეს მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** მძლეველთან - **კაია კანეპისთან** უწევდა შეხვედრა, რომელთანაც აქამდე არასოდეს წაეგო. მსოფლიოს მე-13 ჩოგანი ამჯერადაც უფრო ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა ნახევარფინალში გასასვლელად თითქმის ორი საათი დასჭირდა. პირველ სეტში რადვანსკა დომინირებდა და მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო მეტოქეს, მეორეში კი დიდი ბრძოლა გაიმართა და ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გაირკვა, რომელშიც ასევე მინი-თრილერი გათამაშდა და ბოლოს პოლონელმა 9:7 მოიგო.

WTA

Toray Pan Pacific Open

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

1/4 ფინალი

ვერა ზვონარევა (რუს, 4)-მარია კირილენკო (რუს) 6:3, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 7) 7:5, 6:0; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5)**-მარია შარაპოვა (რუს, 2) 4:3 უარი; **აგნეშკა რადვანსკა (პოლ, 9)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 7:6(7).

1/2 ფინალი

ა. რადვანსკა (9)-აზარენკა (3); ზვონარევა (4)-კვიტოვა (6).

ჯოკოვიჩმა უარი დააღასტურა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** საბოლოო პასუხი გამოაცხადა შანხაის მასტერში მონაწილეობის თაობაზე. ეს ტურნირი 9 ოქტომბერს აიღებს სტარტს. სერბმა ჩოგბურთელმა ზურგის მოურჩენელი ტრავმა მოიმიზეზა და ჩინეთში გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

„არსებობს ტრავმის გამიზეზების შანსი, ამიტომაც უარი უნდა ვთქვა შანხაის მასტერსზე. ჯერჯერობით არ შემიძლია იმის თქმა, რამდენად ხანგრძლივი იქნება აღდგენითი პროცესი“, - ამბობს სერბი ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს ჯოკოვიჩი კორტზე დევისის თასის მატჩში გავიდა არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ და ვერ შეძლო **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** მატჩის დასრულება.

ასე რომ, უკვე ცნობილია მამაკაცთა ტურის სამი წამყვანი ჩოგბურთელის შესახებ, რომლებიც შანხაის მასტერსს გამოტოვებენ. ესენი არიან: ATP-ის რეიტინგის ლიდერი ნოვაკ ჯოკოვიჩი, მსოფლიოს მესამე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** და **რობინ სიოდერლინგი**, რომელიც კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილს იკავებს.

ნოვაკ ჯოკოვიჩი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა